პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
13 თებერვალი **ოთხშაბათი** 2013
№035 (13 951) ფასი 80 თეთრი



# სლოვაკი გრაიცარი თბილისის დინამოში

3

# ფეხის წამოკვრას ასეთი უნდა...

## 2020 წლის ოლიმპიადაზე ჭიდაობა, ალბათ, არ იქნება!

დამოუკიდებელ საქართველოს სულ 25 მედალი აქვს და აქედან 15 მედალი ჭიდაობაზე მოდის...

11

# ლადო ლეგიაში

დვალიშვილის ტრანსფერი გადაწყვეტილია?



2

# თამაში, რომელსაც მსოფლიო ელოდა

5



ჟოზე თუ ფერგი



?




რონი თუ რუნი




# პსჟ ცალი ფეხით, იუვე მეოთხედფინალშია!



**ვალენსია–პსჟ**

**1:2**

0:1 ლავესი (10)
0:2 პასტორე (43)
1:2 რამი (90)



4

**სელტიკი–იუვენტუსი**

**0:3**

0:1 მატრი (3)
0:2 მარკიზიო (77)
0:3 ვუჩინიჩი (83)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ლეგიონერი

# ნეტავ, უნგრელების კრიზისი გვანუხებდეს

**გივი იოსელიანმა** ქუთაისის "ტორპედოსთან" კონტრაქტი იანვარში გაწყვიტა და უნგრეთის უმაღლესი ლიგის "კეჩკემეტისთან" ერთად ათი დღე ემზადებოდა – 22 წლის ფლანგის ნახევარმცველმა ოთხი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა და ტრანსფერის ამბავიც ამ მოკლე ხანში გადაწყდა.

უნრული გუნდის ქართველ ახალწვეულს "ლელო" დაუკავშირდა და ინტერვიუ ჩამოართვა:

- დიახ, კონტრაქტი უკვე გავაფორმე, რომელიც 2,5-წელზეა გათვლილი, 6 თვე + 2 წელი.

**- ქუთაისის "ტორპედოდან" უსასყიდლოდ წამოხვედი?**

- "ტორპედოსთან" პირადი შეთანხმება მქონდა, რომ კონტრაქტს გაწყვეტის შემდეგ, ჩემი ახალი კლუბისგან არაფერს მოითხოვდნენ.

**– "ტორპედოში" იმედისმომცემ ფეხბურთელად გთვლიდნენ, მაგრამ მიმდინარე სეზონში ერთხელაც არ გითამაშია. მწვრთნელი არ გენდობოდა თუ ტრავმა გაწუხებდა?**

- არც ტრავმა იყო და არც მწვრთნელის ნდობა, აქ მხოლოდ ერთი ფაქტორი იყო: როგორც მითხრეს, გუნდის სათამაშო სქემაში ვერ ვჯდებოდი. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ინფორმაცია მაქვს. ეს ჩემთვის მართლაც რთული გადასატანი აღმოჩნდა, რადგან ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავვარდი; ძირითადის ფეხბურთელად ვითვლებოდ, მაგრამ, ჩემდა მოულოდნელად, დაიწყო ახალი ჩემპიონატი და ერთი შეხვედრაც არ მითამაშია. არ ვიცი, ალბათ, ასეთებიც ხდება ხოლმე. თუმცა, მიხარია, რომ ეს რთული პერიოდი გავიარე და კარიერაში ახალ ეტაპს გაათმაგებული მონდომებით ვიწყებ.

**- უნგრული კლუბი შენით როდის დაინტერესდა?**

- უნგრეთში გოგა გახოკიძის და დათო ყენიას სააგენტოსა და გოგას მეგობრის, ლაშა ოდილაძის დახმარებით აღმოვჩნდი, რისთვისაც მათ მადლობა უნდა ვუთხრა. ლაშა ქალაქთან და გარემოსთან შეგუებაშიც ძალიან დამეხმარა.

აქვე ხაზგასმით მსურს ვთქვა, რომ ქუთაისის "ტორპედოსა" და მის გულშემატკივარს წარმატებებს ვუსურვებ. ამ გუნდმა და ხალხმა ბევრი შემძინა და ბევრი კარგი რამ მახსენდება.

**– დანამდვილებით ვიცი, რომ კონკრეტული მიწვევა გქონდა ლატვიაში და მოსალაპარაკებლადაც იყავი - ახლა მაინც გვითხარი, რომელ გუნდს ელაპარაკებოდი?**

- "ვენტსპილსი" მიწვევდა, მაგრამ ლატვიაში გადასვლაში ხელს ის მიშლიდა, რომ გათავისუფლების ფურცელი არ მქონდა. შემდეგ, როდესაც "კეჩკემეტის" ვარიანტი გამოჩნდა, თავისუფალი აგენტი გავხდი და უნგრეთში წასვლა ვამჯობინე.

**- უნგრული ფეხბურთის დღევანდელობაზე ბევრი არაფერი ვიცით - რა დონის კლუბია?**

- უნგრეთის ფეხბურთის დონეზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, რაც შეეხება "კეჩკემეტის", მასზე უკვე შემიძლია გითხრათ, რომ ტექნიკური და ახალგაზრდა ფეხბურთელები არიან, მწვრთნელიც ახალგაზრდაა და გუნდს ლამაზ ფეხბურთს ათამაშებს.

**– გუნდს კარგი პირობები აქვს?**

- არც ისე დიდი ხანია, რაც გუნდში ვიმყოფები. მიუხედავად ამისა, შემიძლია გითხრათ, რომ "კეჩკემეტის" პირობებს არაფერი დაეწუნება, აქ ყველაფერია, რაც ფეხბურთელს სჭირდება: სავარჯიშო მოედნებიდან დაწყებული, სხვა ყველა წვრილმანის ჩათვლით. მოკლედ რომ გითხრათ, ეს ერთი დიდი და კარგად აწყობილი მექანიზმია, რაშიც ვრწმუნდებოდი და უფრო და უფრო მიხარია, "კეჩკემეტიში" რომ ჩავირიცხე.



გივი იოსელიანი

**- ფინანსური მხარეც ვთქვათ - ამ კუთხით უნგრული კლუბი ქართულს ბევრად უსწრებს?**

- უნგრეთი მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისით საკმაოდ დაზარალდა. მაგრამ მე სწორედ იმან გამაოცა, რაც ახლა უნგრულ ფეხბურთში ხდება. რაც ვიცი, უნგრეთში, თითქმის ყველა გუნდი ფინანსურად სტაბილურია. მაგრამ ამასაც, თურმე, კრიზისს ეძახიან. ნეტავ, ასეთი "კრიზისი" საქართველოში გვქონდეს, მათი პირობები ჩვენი კლუბებისთვის შესაშური იქნებოდა. ყველანაირი პირობაა, მხოლოდ ფეხბურთზე რომ იფიქრო და გონება პრობლემებით არ გადაიტვირთო. ორი აზრი არ არის, ამ მხრივ, ბოლო ორი წელია, ქართულ ფეხბურთშიც გარკვეული უკეთესობა შეინიშნება და წინ მიიწევს, მაგრამ სხვაობა მაინც საკმაოდ დიდია.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

# დვალიშვილი ლეგიაში გადადის!

## ტრანსფერი 100 პროცენტით გადაწყვეტილიაო

პოზნანის „ლეხი", ნიქოზიის „აპოელი", სამარის „კრილია სოვეტოვი" – ეს ის გუნდებია, რომლებიც საქართველოს ნაკრებისა და ვარშავის „პოლონიას" თავდამსხმელს, **ლადო დვალიშვილის** იწვევდნენ.

მეტიც, ერთ-ერთი პოლონური ინტერნეტგამოცემა ირწმუნებოდა, რომ ქართველი თავდამსხმელი მოლაპარაკებას პოზნანის „ლეხთან" მართავდა, რაც მართალიც იყო, მაგრამ...

*„ლადოს ახლა დავუკავშირდით და გვითხრა, რომ ვარშავის „ლეგიაში" ითამაშებს. ეს ასი პროცენტით გადაწყვეტილია, თუმცა, კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, „პოლონიას" პრეზიდენტის ჩასვლას ელის,"* – გვითხრეს გუშინ გვიან, დვალიშვილის ოჯახში.

ორიოდე დღის წინ თბილისის „დინამომ" თურქულ შეკრებაზე 26 წლის ქართველის გუნდთან ამხანაგურად ითამაშა, მაგრამ „პოლონიაში" დვალიშვილს არ უთამაშა. თურმე, მან და კიდევ 5 ფეხბურთელმა შეკრება პროტესტის ნიშნად დატოვეს – ლადოს 4 თვეა, ხელფასი არ აუღია. „პოლონიას" პრეზიდენტი **ირენეუშ კროლი** ადვოკატს შეჰპირდა, რომ დავალიანებას 31 იანვრამდე დაფარავდა, შემდეგ ბოლო დღედ 6 თებერვალი დათქვა, მაგრამ სიტყვა კვლავ გატეხა.

ახლა დვალიშვილმა წერტილი დასვა და კლუბიდან წავიდა. მას მაშინვე დაუკავშირდნენ ზემოთ დასახელებული კლუბები, მაგრამ ყველაზე მეტად პოლონეთის ჩემპიონატის ლიდერის, ვარშავის „ლეგიას" ახალმა პრეზიდენტმა **ბოგუსლავ ლესნოდორსკიმ** იაქტიურა, რომელიც „პოლონიას" პრეზიდენტს, დვალიშვილის საფასურად, სხვა მოთამაშეების დავალიანების გასასტუმრებლად გარკვეულ თანხას სთავაზობს. ტრანსფერს საბოლოოდ წერტილი უახლოეს დღეებში დაესმება. პოლონეთის ექსტრაკლასაში სეზონი 22 თებერვალს განახლდება.

პირველ წრეში „ლეგიამ" 33 ქულა დააგროვა, ჩემპიონატს ლიდერობს და „ლეხს" 4 ქულით უსწრებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ზესტაფონი

# ზესტაფონში ახალი ლეგიონერები გამოჩნდნენ

**ზესტაფონი–ტორპ. (ბელარუსი) 2:1**

1:0 კუტალია (67), 2:0 ჭანტურიშვილი (88), 2:1 ვ. გლები (90)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე (46. მეშველიანი), თ. ლონღაძე, თორ. გრიგალაშვილი, კაჭკაჭიშვილი (46. გაგოშიძე), სუმა (88. ჭანკოტაძე), ბენაშვილი (46. რეკრუკი), იელიჩი, პეტკოვი, ბაბუნაშვილი (46. ენდელაძე), აფციაური (46. სამუშია), კუტალია (80. ჭანტურიშვილი)

ტორპედო ბელაზი: ჩასნოვსკი, ჩელიადინსკი, იერგანი, პროკოპჩიკი, იაროსლავსკი, სელიავა, მაროვი, პლატონოვი, მენდი, იგნატენკო, სუჩკოვი

*შეცვლაზე შევიდნენ: სტეპანოვი, ლევიცკი, შჩეგრიკოვიჩი, კოზლოვი, კარშაკევიჩი, ვასკოვი, პლატონოვი, ჩერედნიჩენკო, იაცკევიჩი, ვ. გლები*

"ზესტაფონმა" ანთალიურ შეკრებაზე ბოლო ტესტ-მატჩი ჩაატარა და პირველი გამარჯვებაც მოიპოვა – ბელარუსული "ტორპედო ბელაზი" 2:1 დაამარცხა. პირველ ტაიმში მეტოქეები ერთმანეთს უგოლოდ დაშორდნენ, 67-ე წუთზე კი ფეროელთა ახალწვეულმა **ლევან კუტალიამ** მეტოქის მცველების შეცდომით ისარგებლა და თავისი გუნდი დააწინაურა. 88-ე წუთზე **ვახტანგ ჭანტურიშვილმა იგორ იელიჩის** გადაცემით ისარგებლა და "ზესტაფონის" უპირატესობა ორ ბურთამდე გაზარდა. ერთადერთი, რაც ჟოდინოელებმა შეძლეს, მათი ყველაზე ცნობილი ფეხბურთელის, ბელარუსის ნაკრების წევრის, **ვიაჩესლავ გლების** მიერ გატანილი პრესტიჟის გოლია. როგორც იცით, ფეროელთა თავკაცმა **კახა კაჭარავამ** უარი თქვა სერბ მცველ **ივიცა მილუტინოვიჩსა** და სენეგალელ ნახევარმცველ **პაპე დიაკიტეზე**, სამაგიეროდ, "ზესტაფონში" კიდევ ორი ახალი უცხოელი ისინჯება – სიერალეონელი მარცხენა მცველი **შერიფ სუმა** და ბულგარელი საყრდენი **დიმიტარ პეტკოვი**.

"ზესტაფონის" შეკრება დასასრულს უახლოვდება. ქართული სეზონი 22 თებერვალს, სუპერთასისთვის მატჩით განახლდება, სადაც ერთმანეთს ჩემპიონი "ზესტაფონი" და თასის მფლობელი "დილა" დაუპირისპირდებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მემორანდუმი

# ფედერაციის საჩუქარი უმაღლესი ლიგის კლუბებს

**გუშინ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ იტალიურ კომპანია Wyscouot-თან გააფორმა მემორანდუმი. ქართულ მხარეს ფედერაციის ტექნიკური დირექტორი **ნიკა ჩხეიძე** და მასობრივი ფეხბურთის განვითარების ხელმძღვანელი **დიმა ბოკერია** წარმოადგენდნენ.

Wyscouot.com - ეს არის ამ იტალიური კომპანიის ვებგვერდი, რომლის შესაძლებლობები უსაზღვროა. ამ საიტის მეშვეობით შეგიძლიათ მოიძიოთ ფეხბურთელი და მასზე ყველანაირი ვიდეოინფორმაცია მიიღოთ. როგორია ფეხბურთელის ტექნიკა, აზროვნება, დისციპლინა, რამდენად ძლიერია ის ბურთის ართმევაში, თანაგუნდელების დაზღვევაში, რამდენად აგრესიულია, როგორია ერთი-ერთზე თამაშში, გოლის გატანაში, როგორი დარტყმა აქვს... ანუ, ირჩევთ ფეხბურთელს და ამ ფეხბურთელის რა თვისებაც გაინტერესებთ, ყველაფერს კომპიუტერის მონიტორზე ხედავთ.

ყოველივე ეს არის დამხმარე საშუალება სელექციონერისთვის და მწვრთნელისთვის. არის სხვა საიტებიც, რომელთაც მსგავსი მომსახურება აქვთ, თუმცა ამ საქმეში ლიდერად ზემოთ ხსენებული კომპანია ითვლება.

სარგებლობა იაფი არ არის, მომსახურების მაქსიმალური პაკეტი შვიდი ათას ევრომდე ღირს, ასე ვიცი მე ეს იმ ქართველი მწვრთნელებისგან, საზღვარგარეთ რომ მუშაობენ.

მომსახურება მნიშვნელოვანი უნდა იყოს ჩვენი ეროვნული და ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელებისთვისაც, უცხოეთში არაერთი ისეთი ქართველი ფეხბურთელია, მათზე ინფორმაციის მოპოვება საკმაოდ რთული რომ არის.

გუშინ გაფორმებული მემორანდუმის მეშვეობით საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უმაღლესი ლიგის თორმეტივე კლუბს ჩუქნის ამ ვებგვერდით მომსახურების შესაძლებლობას, ანუ თორმეტივე კლუბს დაურიგდება პერსონალური კოდი, რომლითაც Wyscouot.com-ზე შესვლა იქნება შესაძლებელი.

*„ამ კომპანიის ვებგვერდზე მსოფლიოს 30 ეროვნული ასოციაციის ფეხბურთელების მონაცემებია ატვირთული, დაახლოებით 350 მოთამაშის. რამდენიმე ხნის წინ Wyscouot - ის წარმომადგენლები იყვნენ ჩამოსულები თბილისში და მოლაპარაკებაც მაშინ დაიწყო. გარდა იმისა, რომ ამ ვებგვერდის შესაძლებლობებით ქართული კლუბები და ჩვენი ნაკრებების მწვრთნელები ისარგებლებენ, მემორანდუმის თანახმად საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიც მოხვდება ამ ვებგვერდზე და შესაბამისად საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებზეც გაკეთდება ვიდეოანალიზი. ხელშეკრულება წელიწადნახევრიანია. ამ იტალიურმა კომპანიამ დიმა ბოკერია ხანმოკლე ტრენინგზე მიიწვია და ბოკერია საქართველოში რომ დაბრუნდება, მერე დავურიგებთ კოდს ქართულ კლუბებს"* - გვითხრა ნიკა ჩხეიძემ.

ერთი სიტყვით, ფედერაციამ ქართულ კლუბებს საკმაოდ საინტერესო საჩუქარი გაუკეთა და ფეხბურთელების ტრანსფერებზე მომუშავე აგენტებსაც საქმე გაუადვილა - საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებზე დაკვირვება უკვე ბევრს შეეძლება ოპერატიულად და თითქმის სრულყოფილად.

**დავით თავართქილაძე**

სამზადისი

# მეტალურგმა თურქეთში პირველი მატჩი მოიგო

**თურქულ** შეკრებაზე რუსთავის „მეტალურგმა" მესამე საკონტროლო შეხვედრა ითამაშა, კორეული „პოჰანგი" 1:0 დაამარცხა, 76-ე წუთზე გოლი რუსთაველთა ახალწვეულმა **გოგი ფიფიამ** გაიტანა.

„მეტალურგი": ბათიაშვილი, საჯაია, მახვილაძე (ცნობილაძე 68), ინწკირველი, სუხიაშვილი, ქავთარაძე, გეწაძე, ხაბელაშვილი (ლობჟანიძე 68), რაზმაძე, ახალკაცი (ფიფია 62) სიხარულიძე(დობროვოლსკი 67).

„პოჰანგი" წინა სეზონში კორეის 16-გუნდა ჩემპიონატში მე-5 ადგილზე გავიდა.

რუსთაველებს თურქეთში მორიგი შეხვედრა 14 თებერვალს ელით ნოვოკუზნეცკის (რუსეთი) „მეტალურგთან".

**დავით თავართქილაძე**

# გამარჯვება გერმანელებთან

"ზუგდიდმა" თურქულ შეკრებაზე პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და ერთ-ერთ გერმანულ სამოყვარულო კლუბ „ფალინგენს" დიდი ანგარიშით, 8:0 სძლია.

**ზუგდიდი–ფალინგენი 8:0**

1:0 გამეზარდაშვილი (18), 2:0 გაბედავა (32), 3:0 ფარჯიკია (56), 4:0 კუკავა (63), 5:0 ქანთარია (69), 6:0 შონია (74), 7:0 ქანთარია (76), 8:0 სიხარულია (82).

ზუგდიდი: ძაგანია, აფაქიძე, გამეზარდაშვილი, აკობია, ონიანი, ხუბუა, გუგუჩია, წურწუმია, ლომია, გაბედავა, ქობალია

*შეცვლაზე შევიდნენ: მაქაცარია, კანკია, აქუბარდია, ხუხია, გამრეკლიძე, ქვარცხავა, შონია, ქანთარია, სიხარულია, ფარჯიკია, კუკავა*

"ზუგდიდი" ანთალიის რეგიონში მდებარე დაბა ქემერში, ხუთვარსკვლავიან სასტუმრო "ლიმრაშია" დაბინავებული.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები



კრილია-დიორი, მარჯვნივ ალექსანდრე ამისულაშვილი

# ქართველები ტესტებს განაგრძობენ

**სეზონის** მეორე ნახევრისთვის მზადებას განაგრძობს ვლადიკავკაზის "ალანია", რომლის წევრებიც სულ ახლახან **მამუკა კობახიძე** და **გიორგი ჭანტურია** გახდნენ. გუშინ "ალანიამ" ტესტ-მატჩში უნგრულ "დიოშდიორს" 2:0 სძლია. ჭანტურია სასტარტო შემადგენლობაში იყო და შესვენებისას შეცვალეს, კობახიძემ კი მოედანზე მეორე ტაიმი გაატარა. ვლადიკავკაზელთა ორი გოლიდან ერთი ჰოლანდიელმა **როისტონ დრენტემ** გაიტანა, რომელიც ახლო წარსულში მადრიდის "რეალის" ფეხბურთელი იყო. ქართველებს საგოლე კომბინაციებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ხაბაროვსკის "სკა-ენერგიამ", რომელიც შეკრებაზე კვიპროსზე იმყოფება, "ტომთან" 0:0 ითამაშა. **გიორგი დარასელიას** გუნდის ძირითადში **ლაშა სალუქვაძე, გოჩა ხოჯავა** და **ოთარ მარცვალაძე** იყვნენ, ამათგან შეუცვლელად მხოლოდ სალუქვაძემ ითამაშა. "სკა-ენერგიას" კიდევ ერთი ახალწვეული შოთა **გრიგალაშვილი** გუნდს იმის გამო ვერ ეხმარება, რომ რამდენიმე დღის წინ ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაიკეთა.

დანიური "ორჰუსი", რომლის ღირსებასაც სამი ქართველი იცავს, შვედურ "ელფსბორგთან" სპარინგში 0:1 დამარცხდა. **დავით სხირტლაძემ** მატჩი შეუცვლელად ჩაატარა, **დავით დევდარიანი** კი 63-ე წუთზე **მათე ვაწაძემ** შეცვალა. აქვე იმას გეტყვით, რომ დევდარიანის შემდეგ, "ორჰუსთან" კონტრაქტი სხირტლაძემაც გაახანგრძლივა – მან კლუბს თავისი ბედი 2015 წლამდე დაუკავშირდა.

"კრილია სოვეტოვმა" უნგრულ "დიორის" 2:0 მოუგო. სამარელთა ახალწვეულმა **ალექსანდრე ამისულაშვილმა** პირველი ტაიმი ჩაატარა. მისმა გუნდმა ორივე გოლი შესვენებამდე გაიტანა. "დიორის" შემადგენლობაში მე-60 წუთიდან ითამაშა **გიორგი ქვილითაიამ**.

"მორდოვია", რომელთანაც ცოტა ხნის წინ კონტრაქტი **აკაკი ხუბუტიამ** გააფორმა, ყაზახურ "აქტობეს" დაუზავდა – 1:1. ქართველი მცველი სასტარტო თერთმეტეულში იყო და 30-ე წუთზე შეცვალეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი ლიგა

# უსტარიცი: ყველაზე ძვირად ღირებული ლეგიონერი

ზამთრის მოსამზადებელი ეტაპი კიდევ გრძელდება და ჯერ შეუძლებელია იმის თქმა, რომელი გუნდი კიდევ ვის დაიმატებს თუ გაუშვებს.

***დღეისათვის არსებული სურათით, გერმანულმა ინტერნეტსააგენტო "ტრანსფერმარკტმა" საქართველოს ჩემპიონატთან დაკავშირებით შემდეგი მონაცემები გამოაქვეყნა.***

| საქართველოს უმაღლესი ლიგა 2012/13 | | | | |
|---|---|---|---|---|
| კლუბი | მოთამაშ. რაოდ. | საშ. ასაკი | ჯამური ფასი | საშუალო ფასი |
| დინამო | 27 | 25,6 | 9.200.000/11.000.000 | 350.000/387.037 |
| დილა | 24 | 24,7 | 4.600.000/5.275.000 | 200.000/219.792 |
| ზესტაფონი | 23 | 23,7 | 4.500.000/5.600.000 | 200.000/221.739 |
| ტორპედო | 24 | 23,7 | 4.400.000/5.025.000 | 175.000/209.375 |
| მეტალურგი | 23 | 26,6 | 2.900.000/3.325.000 | 125.000/144.565 |
| ჩიხურა | 28 | 26,9 | 2.400.000/2.750.000 | 75.000/98.214 |
| სიონი | 33 | 26,3 | 2.300.000/2.625.000 | 75.000/79.545 |
| ზუგდიდი | 21 | 25,9 | 2.000.000/2.250.000 | 100.000/107.143 |
| ვიტ ჯორჯია | 26 | 22,0 | 1.900.000/2.150.000 | 75.000/82.692 |
| ბათუმი | 28 | 25,1 | 1.600.000/1.825.000 | 50.000/65.179 |
| კოლხეთი 1913 | 25 | 25,5 | 1.300.000/1.500.000 | 50.000/60.000 |
| მერანი | 21 | 24,2 | 1.300.000/1.475.000 | 50.000/70.238 |
| ლეგიონერთა რაოდენობა: 20 (საერთო რაოდენობის 6,6 %) | | | 38.654.000 | 127.063 |

** თანხები მოცემულია ევროებში*

** ჯამურ და საშუალო ფასებში მოცემულია წინა და ამჟამინდელი ორი მონაცემი*



უსტარიცი



ჩისკო

ამ ეტაპამდე აბსოლუტურად ყველა კლუბის ჯამური ფასი გაიზარდა, მაგრამ დეკემბერში გორის "დილაში" მომხდარი ცვლილების შემდეგ, საქართველოს კლუბების ჯამური ფასი 40 მილიონს ველარ აღწევს. მიზეზი ისაა, რომ რუსეთის პირველი დივიზიონის "სკა–ენერგიაში" გადავიდნენ ძვირად ღირებული ფეხბურთელები **ლაშა სალუქვაძე** (750 000) და **გოჩა ხოჯავა** (550 000), **გოგიტა გოგუა** (1,0 მლნ ევრო) კი "დილაში" ოფიციალურად ხელახლა ჯერ არ ჩარიცხულა.

ყველაზე მეტად გაიზარდა თბილისის "დინამოს" (1,8 მლნ ევრო), გორის "დილას" (0,675 მლნ ევრო), "ზესტაფონისა" (0,6 მლნ ევრო) და ქუთაისის "ტორპედოს" (0,6 მლნ ევრო) ჯამური ფასი. ბოლნისის "სიონმა" ლეგიონერთა ტრანსფერებიდან ისარგებლა - უდავოდ აღსანიშნავია ისრაელის ახალგაზრდული ნაკრების მცველის, **გალ საპირის** (75 000 ევრო) და პოლონელი ნახევარმცველის, **პაველ ჰაიდუჩეკის** (400 000 ევრო) გადმოყვანა.

თბილისის "დინამო" განსაკუთრებით ახეირა 29 წლის ბასკი ცენტრალური მცველის, **უსტარიცის** და სლოვაკი **პეტარ გრაიციარის** კონტრაქტებმა - პირველის მიახლოებით სატრანსფერო ფასად "ტრანსფერმარკტი" მილიონ ევროს ასახელებს. არც არის გასაკვირი, მან მთელი კარიერა ესპანეთის პრიმერადივიზიონში (ბილბაოს "ატლეტიკი", "ბეტისი") გაატარა და 150–მდე შეხვედრა ჩაატარა. გრაიციარის ფასი კი 750 ათასია.

მეორე ბუნდესლიგაში გამოცდილებამიღებული 28 წლის გერმანელი **პატრიკ მილხრაუმის** ჩარიცხვით "დინამოს" ჯამს 200 ათასი ევრო დაემატა.

თუ გორის "დილას" ლიტველი დამრიგებელი, **ვალდას ივანაუსკასი** რიგის "სკონტოსა" და "დაუგავას" ლატვიელ მეკარეს, **კასპარს იქსტენსს** დაიმატებს, საქართველოს თასის მფლობელის ფასი 200 ათასით გაიზრდება.

უცნობია "ზესტაფონის" ახალწვეულის, ესპანური "რეალ სარაგოსა 2"-ში ნათამაშები 19 წლის ალჟირელი ფორვარდის, **მოჰამედ რეკრუკის** მიახლოებითი სატრანსფერო ფასი. გუნდის პრეზიდენტ **ილია კოკაიას** თქმით, "ზესტაფონმა" კონტრაქტი გაუფორმა სანტანდერის „რასინგში" ნათამაშებ **ორიოლ ლოსანოს** - ესპანელი ცენტრალური მცველის მისვლით საქართველოს ჩემპიონის ჯამს კიდევ ნახევარი მილიონი ევრო დაემატა. თუმცა, ჯერ კიდევ უცნობია, "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი **კახა კაჭარავა** კიდევ ვის დაიმატებს.

ამრიგად, ყველაზე ძვირად ღირებული ლეგიონერების ათეულის სათავეში "დინამოს" ბასკი ახალწვეული უსტარიცი აღმოჩნდა და პირველობა თანაგუნდელ **ჩისკოს** ჩამოართვა, რომლის ტრანსფერის მიახლოებითი ღირებულებაც საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ 250 ათასი ევროთი შემცირდა.

ძვირად ღირებული ლეგიონერების ათეული კი ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. უსტარიცი (დინამო) | 1 000 000 |
| 2. ჩისკო (დინამო) | 750 000 |
| 3. გრაიციარი (დინამო) | 750 000 |
| 4. მიკელ ალვარო (დინამო) | 700 000 |
| 5. ორიოლ ლოსანო (ზესტაფონი) | 500 000 |
| 6. ნათან ჟუნიორი (დილა) | 450 000 |
| 7. ლეონარდო (დილა) | 300 000 |
| 8. კარლეს კოტო (დინამო) | 250 000 |
| 9-10. იგორ იელიჩი (ზესტაფონი) | 200 000 |
| ბოტი გოა (ზესტაფონი) | 200 000 |

**მერაბ მამულაშვილი**

საინტერესო იდეა



რომან ფიფია

# რომან ფიფია: ფეხბურთს საზღვრების გახსნა შეუძლია

გუშინ უკვე გაუწყეთ, რომ თურქულ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" საკონტროლო მატჩი ჩაატარა მოლდოვის „ტირასპოლთან". ამ შეხვედრას "დინამოს" პრეზიდენტი **რომან ფიფიაც** ესწრებოდა. კლუბის პრეზიდენტს "დინამოს" მზადებასთან დაკავშირებით დავეკითხეთ.

**რომან ფიფია:** *„მთავარია, ყველა ძალიან მონდომებულია, რომ სეზონის განახლებას „დინამო" სათანადოდ მომზადებული შეხვდეს და საამისოდ გუნდს ყველა პირობა აქვს. „ტირასპოლის" სახით საინტერესო მეტოქე გვყავდა. საინტერესო იმ თვალსაზრისით, რომ ქვეყანაში არსებული სიტუაციის მიუხედავად, დნესტრისპირეთის გუნდები მოლდოვის ჩემპიონატში მონაწილეობენ და მოწინავე პოზიციებზეც იმყოფებიან. მისაბაძი მაგალითია. ფეხბურთს საზღვრები არა აქვს. ფეხბურთს საზღვრების გახსნა შეუძლია. ქართველებს აფხაზებთან და ოსებთან თანაარსებობის გარეშე მომავალი, ალბათ, ვერ წარმოგვიდგენია. ჩვენ ხომ საერთო წარსული და საერთო მომავალი გვაქვს. აფხაზეთის და ცხინვალის გუნდები საქართველოს ჩემპიონატში შესანიშნავი იქნებოდა. აფხაზი და ოსი ფეხბურთელები ხომ ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებაში".*

www.fcdinamo.ge

ტრანსფერი

# სლოვაკი ახალწვეული



პეტერ გრაიციარი

თბილისის "დინამოს" თურქულ შეკრებაზე 29 წლის სლოვაკი შემტევი ნახევარმცველი **პეტერ გრაიციარი** შეუერთდა, - იუწყება კლუბის პრესსამსახური.

გრაიციარმა მიმდინარე საფეხბურთო სეზონის პირველი ნახევარი ჩეხეთის საუკეთესო კლუბში, პრაღის "სპარტაში" გაატარა.

სამშობლოში წარმატებული კარიერის შემდეგ 2008 წელს გრაიციარი პრაღის "სლავიაში" ჩაირიცხა, იქ ორი წელი ითამაშა და პირველივე სეზონში ჩეხეთის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. 37 თამაშში 14 გოლი გაიტანა.

2010/2011 წლების სეზონი სლოვაკმა თურქეთის სუპერლიგის "ქონიაში" გაატარა (26 მატჩი, 7 გოლი) და გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. 2011 წელს კი პრაღის "სპარტაში" გადავიდა (28 შეხვედრა, 5 გოლი).

**პეტერ გრაიციარმა** სლოვაკეთის ეროვნულ ნაკრებში სამი მატჩი ითამაშა და ბოსნიასთან გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში გატანილი გოლითაც გამოირჩა.

სლოვაკი ფეხბურთელი თბილისის "დინამოს" ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენი იქნება – გერმანული სააგენტო "ტრანსფერმაკტი" მისი ტრანსფერის ღირებულებად 750 ათას ევროს ასახელებს.

მართალია, თბილისური კლუბის პრესსამსახური კონტრაქტის გაფორმებაზე არაფერს იუწყება, მაგრამ გრაიციარი გუნდში უკვე ჩაირიცხა. ამაზე საერთაშორისო საინფორმაციო პორტალებიც ("ტრანსფერმარკტი", "ვიკიპედია"...) ადასტურებენ – გუშინ მათ სლოვაკის საკლუბო გრაფაში თბილისის "დინამო" მიუთითეს.

**მერაბ მამულაშვილი**

DINAMO TBILISI 1925

დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა იწყებს მიღებას!

დინამოს საფეხბურთო სკოლა იფუნქციონირებს კლუბის საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში საწვრთნელი პროცესი 1 მარტიდან დაიწყება.
დინამოს საფეხბურთო სკოლაში ფეხბურთელის მიღება იწარმოებს 6-დან 14 წლის ჩათვლით
დინამოს საფეხბურთო სკოლაში, სწავლების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 100 ლარს.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში მიღების წესი

გთხოვთ ანკეტის ელექტრონული ვერსია შეავსოთ და გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: info@fcdinamo.ge
ანკეტის მიღება, შევსება და ჩაბარება ასევე შესაძლებელია დინამოს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, ბორის პაიჭაძის ქუჩა.
დინამო არენა. მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი N2
რეგისტრაციის მიღების პირველი ეტაპის ბოლო ვადაა 15 თებერვალი.
მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ დინამოს ოფიციალურ ვებგვერდს: http://fcdinamo.ge/

# სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | მზადება, საკონტროლო მატჩები |
|---|---|---|---|
| ზესტაფონი<br>კახა კაჭარავა | **კობახიძე (ალანია, რუსეთი), მამალაძე (დილა), მენთეშაშვილი (?), ელიავა (სიონი, იჯარით), მილხრაუმი (დინამო თბ)** | ლ. კუტალია, ენდელაძე (ორივე ზუგდიდი), ჭანკოტაძე (სიონი, იჯარა დაუმთავრდა), რეკრუკი (?), ლოსანო (მურსია, ესპანეთი), ლოპესი (გვატემალა), სუმა (სიერა ლეონე), პეტკოვი (ბულგარეთი) | სპარტაკი 0:2,<br>დინამო ბთ 5:0<br>**29 იანვრიდან - ანთალიაში**<br>ყარაბახი (აზერბაიჯანი) 0:2<br>რუხი (პოლონეთი) 0:0,<br>ვორსკლა (უკრაინა) 1:1,<br>ლეხია (პოლონეთი) 1:1<br>ტორპედო (ბელარუსი) 2:1 |
| მეტალურგი<br>გიორგი<br>ყიფიანი | **დ. ჯანელიძე (თურანი, აზერბაიჯანი),** ი. მაისურაძე (დილა), ტატანაშვილი (დინამო თბ), თექთურმანიძე (დინამო თბ, იჯარა დაუმთავრდა), ჰოსმანი (?), კაკუშაძე (?), გიორ. გურეშიძე (?) | კორლალიძე (ზიმბრუ, მოლდოვა), ახალკაცი (დილა), მ. ალავიძე (?), ფიფია (თურანი, აზერბაიჯანი) | **12 იანვრიდან - რუსთავში**<br>სტუ 5:0<br>ვიტ ჯორჯია 2:1<br>**1 თებერვლიდან - ანთალიაში**<br>გურნიკი (პოლონეთი) 0:1<br>აკადემია (მოლდოვა) 1:2<br>პოჰანგი (კორეა) 1:0 |
| ტორპედო<br>გია გეგუჩაძე | იოსელიანი (კეჩკემეტი, უნგრეთი) | **გ. ონიანი (დილა), ცინცაძე (დაუგავა, ლატვია)** | **18 იანვრიდან - ქუთაისში**<br>სამტრედია 0:2,<br>საპოვნელა 13:0,<br>შუქურა 2:0,<br>სამგურალი 7:0<br>**1 თებერვლიდან - ესპანეთში**<br>რაპიდი (რუმინეთი) 1:1, პენ 4:3<br>დინამო (რუმინეთი) 1:2<br>დინამო (კიევი) 2:4 |
| დინამო (თბ)<br>დუშან უჰრინი<br>(უმცროსი) | **ვოსკობოინიკოვი (?), იაგუე (?), ლექვთაძე (სიონი, იჯარით), გოგუა (დილა), რობერტინიო (ინტერი, აზერბაიჯანი),** თექთურმანიძე (?), პარუნაშვილი (?), სეფიაშვილი (?) | **შაშიაშვილი (დილა), მილხრაუმი (ზესტაფონი), ტატანაშვილი (მეტალურგი), გრაიციარი (სპარტა, ჩეხეთი),** თექთურმანიძე (მეტალურგი, იჯარა დაუმთავრდა), შინდაგორიძე (?), დიასამიძე (დინამო ბთ), მენდი (?), რადოვანოვიჩი (?), უსტარიცი (ესპანეთი), | **15 იანვრიდან - თბილისში**<br>**21 იანვრიდან - ანთალიაში**<br>შახტიორი (ყაზახეთი) 0:1<br>ვორსკლა (უკრაინა) 0:2<br>ილიჩივეცი (უკრაინა) 2:2<br>**5 თებერვლიდან - ანთალიაში**<br>ამკარი (რუსეთი) 1:1<br>პოლონია (პოლონეთი) 2:1<br>ტირასპოლი (მოლდოვა) 2:2 |
| დილა<br>ვალდას<br>ივანაუსკასი | **გ. დარასელია (მთ. მწვრთნელი, სკა ხაბაროვსკი, რუსეთი), შაშიაშვილი (დინამო თბ), სკენდერი (სონდერიისკე, დანია), სალუქვაძე, ხოჯავა (ორივე სკა ხაბაროვსკი), ს. გურული (დინამო ბთ), გ. ონიანი (ტორპედო),** ახალკაცი (მეტალურგი), შ. კაშია (ჩიხურა), ბექვაია (ნეფტეხიმიკი, რუსეთი) | **ვ. ივანაუსკასი (მთ. მწვრთნელი)** ი. მაისურაძე (მეტალურგი), კვახაძე (უგუნდოდ), მამალაძე (ზესტაფონი), გოგუა (დინამო თბ), თოთაძე (დინამო ბთ), იკსტენსი (ლატვია), ი. ლომიძე (?), ალვარო (?), ალექსი (?), ლობე (?), ტატაულინი (?), მურატოვი (?), რამოსი (?), არაბული (?) | **17 იანვრიდან - თბილისში**<br>ვიტ ჯორჯია 2:0<br>**21 იანვრიდან - თურქეთში**<br>ნოიშტადტდი (ავსტრია) 1:1<br>ბარუერი (ბრაზილია) 2:1<br>სალუტი (რუსეთი) 1:1<br>ბოლესლავი (ჩეხეთი) 3:2<br>რადნიჩკი (სერბეთი) 0:1 |
| კოლხეთი<br>სოსო ფილია | **გაბუნია, ტყეშელაშვილი (ორივე დინამო ბთ), ცხადაია (სიონი),** | ზამ. ჯანაშია (?), როსინი (?) | **19 იანვრიდან - ფოთში**<br>სამტრედია 2:1<br>გურია 2:2,<br>სქური 1:0<br>მერანი 1:0 |
| მერანი<br>მალხაზ ჟვანია | გ. ჟვანია (დინამო ბთ), მჭედლიშვილი (ვიტ ჯორჯია) | **გ. მეგრელაძე (უგუნდოდ),** სიჭინავა (დინამო ბთ), **კრისი (ნიგერია),** ხუმარაშვილი (?) | **20 იანვრიდან - მარტვილში**<br>კოლხეთი (ფ) 0:1<br>**12 თებერვლიდან - ურეკში** |
| სიონი<br>არმაზ ჭელიძე | ქუცურუა (?), ჭედია (?), ჩიკვილაძე (?), დ. ლომაია (?), ხუბუა (?), მაჭავარიანი (?), რ. ჯიქია (?), ფეიქრიშვილი (?), ჭანკოტაძე (ზესტაფონი, იჯარა დაუმთავრდა), თარხნიშვილი (ვენტსპილსი, ლატვია) | ბიბილეიშვილი (სტუ), ფოფხაძე (ზუგდიდი), მიკუჩაძე (ისრაელი), ელიავა (ზესტაფონი, იჯარით), მერლანი (ზუგდიდი), ლექვთაძე (დინამო თბ, იჯარით), ახალაია (უგუნდოდ), ცხადაია (კოლხეთი), ო. გველესიანი (უგუნდოდ), ჩივაძე (უგუნდოდ), ჰაიდუჩეკი (პოლონეთი), საპირი (ისრაელი), ფალავანდიშვილი (?) | **18 იანვრიდან - თბილისში**<br>ზოოვეტი 2:1<br>სასკო 4:0<br>ჩიხურა 2:1<br>გაგრა 0:2<br>**5 თებერვლიდან - თურქეთში**<br>ტორპედო (მოსკ., რუსეთი) 0:0 |
| ვიტ ჯორჯია<br>მერაბ<br>კოჭლაშვილი | ჩიმაკაძე (დინამო ბთ), ზაქრაძე (?), ლანიაშვილი (?) | გ. ჯანელიძე (ნეფტეხიმიკი, რუსეთი), მჭედლიშვილი (მერანი) | **16 იანვრიდან - მცხეთაში**<br>სტუ 3:0<br>დილა 0:2<br>ჩიხურა 2:1<br>გაგრა 2:0 |
| ზუგდიდი<br>ელგუჯა<br>კომეთიანი | ს. თოდუა (გურია), კუტალია, ენდელაძე (ორივე ზეტაფონი), კოშკაძე (დინამო ბთ), მერლანი, ფოფხაძე (ორივე სიონი), დ. ბოლქვაძე (ჩიხურა) | ხუხია (დინამო ბთ), გამრეკლიძე (?) | **23 იანვრიდან - ზუგდიდში**<br>კოლხეთი (ხ) 3:2<br>გურია 0:0<br>ლაზიკა 2:1<br>**10 თებერვლიდან - თურქეთში**<br>ფალინგენი (გერმანია, მოყვ.) 8:0 |
| ჩიხურა<br>სოსო ფრუიძე | | დ. ბოლქვაძე (ზუგდიდი), ჩირიკაშვილი (უგუნდოდ), შ. კაშია (დილა), ჭედია (სიონი) | **16 იანვრიდან - საჩხერეში**<br>სიონი 1:2<br>ვიტ ჯორჯია 1:2<br>**4 თებერვლიდან - თურქეთში** |
| დინამო (ბთ)<br>გია გურული | დიასამიძე (დინამო თბ), ხუხია (ზუგდიდი), სიჭინავა (მერანი), კაკულია (?), კილაძე (გურია), ბალაძე (?), კლოვისი (?), ცნობილაძე (?), ტიმჩიშინი (?), თოთაძე (დილა) | **ს. გურული (დილა), ჩიმაკაძე (ვიტ ჯორჯია),** გ. ჟვანია (მერანი), გაბუნია, ტყეშელაშვილი (ორივე კოლხეთი), კოშკაძე (ზუგდიდი) | **16 იანვრიდან - ბათუმში**<br>გურია 3:0<br>**7 იანვრიდან - ანთალიაში**<br>აქჟაიკი (ყაზახეთი) 4:1 |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი*

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. მატჩები

# რა მნიშვნელობა აქვს ვინ გაიტანა, იუვე წინ მიიწევს

## პარიზულ მატჩს ინტრიგა... ზლატანმა დაუტოვა

**ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპი სტუმართა გამარჯვებებით გაიხსნა, რამაც საპასუხო მატჩებს ფაქტობრივად ინტრიგა დაუკარგა. პარიზში თუ კიდევ შეიძლება გაიბრძოლოს „ვალენსიამ", ტურინული მატჩი წმინდა ფორმალობა იქნება...**




იუვენტუსს მეოთხედფინალში გასვლა, წესით არ უნდა გაუჭირდეს

**სელტიკი–იუვენტუსი 0:3**

**გოლები:** 0:1 მატრი (3), 0:2 მარკიზიო (77), 0:3 ვუჩინიჩი (83).

**სელტიკი (4-5-1):** ფორსტერი - ლუსტიგი (59. მეტიუსი), ვილსონი, ამბროუზი, ისაგირე - ბრაუნი (80. კაიალი), ვანიამა, ფორესტი, მულგრიუ, კომონსი (73. ვოტი) - ჰუპერი.

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბარძალი, ბონუჩი, კასერესი - ლიხტშტაინერი, პირლო, ვიდალი, მარკიზიო, პელუზო (69. პადოინი) - ვუჩინიჩი (86. ანელკა), მატრი (81. პოგბა).

**გაფრთხილება:** ბრაუნი, ფორესტი, ჰუპერი – ლიხტშტაინერი, მარკიზიო, პადოინი.

**კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 12-12; **თამაშგარე:** 0-6; **კარში დარტყმა:** 15-5(7-4); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 45 000

„სელტიკი" ზემოტივირებული დაუხვდა „იუვენტუსს", სტადიონზე სკოტმა ფანებმა სრულიად არანორმალური ატმოსფერო შექმნეს, მაგრამ ამ ყველაფერმა შოტლანდიური ფეხბურთის ერთ-ერთ ფლაგმანს ვერაფერი უშველა. ტურინულმა გრანდმა საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარა „სელტიკს" და ორ-მატჩიანი დუელის ბედი გლაზგოშივე გადაწყვიტა.

მატჩი ახალი დაწყებული იყო, როდესაც ბრიტანელებს **ალესანდრო მატრი** გაეპარათ, რომელმაც კიპერს დასწრებაზე აჯობა და ბურთი კარში გადაგზავნა - სკოტთა მცველმა ბურთი უკუაგდო და დამატებაზე უკვე **კლაუდიო მარკიზიომ** იხეირა. მსაჯმა მარკიზიოს გოლი ჩათვალა, მაგრამ გამეორებაზე კარგად გამოჩნდა, რომ ბურთმა კარის ხაზი ჯერ კიდევ მატრის დარტყმისას გადაკვეთა. შედეგად, გოლი სწორედ ალესანდროს ჩაუთვალეს...

მეორე ტაიმში სკოტებმა სცადეს მატჩის გადარჩენა, მაგრამ კლასმა თავისი გაიტანა. 77-ე წუთზე, ალესანდრო მატრის შესანიშნავ გადაცემას, კლაუდიო მარკიზიოს კიდევ უკეთესი ფინტი და ზუსტი დარტყმა მოჰყვა, 2:0. მატჩის დასრულებამდე ათ წუთზე ნაკლები იყო დარჩენილი, როდესაც მარკიზიო უკვე ასისტენტის როლში მოგვევლინა, მისი ზუსტი პასით კი **მირკო ვუჩინიჩმა** იხეირა, 3:0. „იუვე" უფრო ძლიერია, ბევრად ძლიერი...

**ვალენსია–პსჟ 1:2**

**გოლები:** 0:1 ლავეცი (10), 0:2 პასტორე (43), 1:2 რამი (90).

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა – ჟოაო პერეირა, რამი, რიკარდო კოშტა, გუარდადო – პარეხო, ტინო კოსტა – ფეგული (83. ვიერა), ბანეგა (46. კანალესი), ჟონასი (46. ვალდესი) - სოლდადო.

**პსჟ (4-2-3-1):** სირიგუ – ჟალე, ალექსი, სახო, მაქსველი – მატუიდი, ვერატი – ლუკას მოურა (53. შანტომი), პასტორე (88. არმანი), ლავეცი (76. მენეზი) - იბრაჰიმოვიჩი.

**გაფრთხილება:** ჟოაო პერეირა - ვერატი.

**გაძევება:** იბრაჰიმოვიჩი (90).

**კუთხური:** 8-0; **ჯარიმა:** 10-13; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 8-12(2-8); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 55 000

„ვალენსიამ" პსჟ-სთან შეხვედრა ტერიტორიული უპირატესობით წარმართა, სხვა მხრივ კი ყველაფერში დაიჩაგრა. ფრანგებმა თავიდანვე მოკიდეს საქმეს ხელი და პირველივე ტაიმში ორი ბურთით დაწინაურდნენ. ჯერ **ესეკილ ლავეციმ** იხეირა, შემდეგ კი **ხავიერ პასტორემ... კარლო ანჩელოტიმ** ცენტრფორვარდის პოზიციაზე **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** გაამწესა, უკნიდან კი მას ყველაზე აქტიურად სწორედ გოლის ავტორები ეხმარებოდნენ.

შესვენებაზე ესპანელთა თავკაცმა ორი ცვლილება განახორციელა და თამაშში გარდატეხის შეტანა სცადა, მაგრამ ბევრი არაფერი გამოუვიდა. „ვალენსიას" შეტევებს სიმწვავე აკლდა, ფრანგები კი კონტრშეტევებზე იჩხვლიტებოდნენ. თუმცა, მატჩის მიწურულს, პირენეელთათვის ორი კარგი ამბავი მოხდა – „ღამურებმა" ჯერ ანგარიში შეამცირეს, შემდეგ კი ზლატან იბრაჰიმოვიჩმა წითელი ბარათი მიიღო... მოკლედ, იბრა მომდევნო მატჩს გამოტოვებს და ანგარიშიც ტოვებს სულ მცირე ინტრიგას...

**ლაშა წიკლაური**




მეორე გოლი ვალენსიას კარში ხავიერ პასტორემ გაიტანა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების წინ

# ჯახი, რომელსაც მსოფლიო ელოდა!

## აქეთ ჟოზე, იქით ფერგი, აქეთ რონი, იქით რუნი

„ეს არის მატჩი, რომელსაც მთელი მსოფლიო მოუთმენლად ელოდა. ჩვენ მზად ვართ!" - თქვა გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე მადრიდის „რეალის" თავკაცმა ჟოზე მოურინიომ. რაც გუშინ ვნახეთ, ჟურნალი იყო, კინოს კი დღეს, „სანტიაგო ბერნაბეუზე" ველოდებით, სადაც ერთმანეთს ჟოზე მოურინიოს „რეალი" და სერ ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერ იუნაიტედი" შეერკინებიან - დღეს ფეხბურთია, დიდი ფეხბურთი!

**რეალი–მანჩესტერ იუნ. 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რეალი (4-2-3-1):** დიეგო ლოპესი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, ფაბიო კოენტრაო - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია, იოზილი, კ. რონალდო - ბენზემა.

**მანჩესტერ იუნაიტედი (4-3-2-1):** დე ხეა - რაფაელ და სილვა, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ფ. ჯონსი, კაგავა, ქერიკი - ვალენსია, რუნი - ვან პერსი.

**არბიტრი:** ფელიქს ბრიხი (გერმანია)

**ურთიერთშეხვედრები**

**23.04.2003**

**მანჩესტერ იუნ.–რეალი 4:3**

**გოლები:** 0:1 რონალდო (12), 1:1 ვან ნისტელროი (43), 1:2 რონალდო (51), 2:2 ივან ელგერა (53-საკ. კარში), 2:3 რონალდო (59), 3:3 ბექჰემი (71), 4:3 ბექჰემი (84)

**08.04.2003**

**რეალი–მანჩესტერ იუნ. 3:1**

**გოლები:** 1:0 ფიგუ (11), 2:0 რაული (28), 3:0 რაული (49), 3:1 ვან ნისტელროი (51)

**19.04.2000**

**მანჩესტერ იუნ.–რეალი 2:3**

**გოლები:** 0:1 როი კინი (20-საკ. კარში), 0:2 რაული (50), 0:3 რაული (53), 1:3 ბექჰემი (64), 2:3 სქოულზი (88-პენ)

**04.04.2000**

**რეალი–მანჩესტერ იუნ. 0:0**

**15.05.1968**

**რეალი–მანჩესტერ იუნ.ი 3:3**

**გოლები:** 1:0 პირი (31), 2:0 ხენტო (41), 2:1 კიდი (43), 3:1 ამანსიო (44), 3:2 კიდი (72), 3:3 ფულკესი (77)

**24.04.1968**

**მანჩესტერ იუნ.–რეალი 1:0**

**გოლი:** 1:0 ბესტი (37)

**1956/1957**

**მანჩესტერ იუნ.–რეალი 2:2**

**1956/57**

**რეალი–მანჩესტერ იუნ. 3:1**

მადრიდში ესპანეთის ჩემპიონობაზე ხელი ჩაქნეული აქვთ, რადგან „რეალი" „ბარსელონას" 16 ქულით ჩამორჩება. შესაბამისად, „სამეფო გუნდის" მთავარი მიზანი მიმდინარე სეზონში ჩემპიონთა ლიგის თასია. ფინალამდე ჯერ კიდევ გრძელი გზაა გასავლელი და ჯგუფური ეტაპის შემდეგ მადრიდულ სუპერგრანდს პირველ მეტოქედ არც მეტი, არც ნაკლები, „მანჩესტერ იუნაიტედი" ერგო. დღევანდელი პაექრობის წინ სალაპარაკო ბევრია, **ჟოზე მოურინიომ** კი გუშინ მოკლედ მოჭრა - ეს არის თამაში, რომელსაც მთელი მსოფლიო ელოდაო.

2002 წლის შემდეგ „რეალი" ამაოდ ცდილობდა ჩემპიონთა ლიგის თასის მეათედ დასაკუთრებას. შარშან მადრიდელები ნახევარფინალამდე გავიდნენ და იქ მიუნხენის „ბაიერნთან" თერთმეტმეტრიანების სერიაში დამარცხდნენ. წელს ოდნავ განსხვავებული ვითარებაა იმ მხრივ, რომ ესპანეთის ჩემპიონატში „რეალს" შეუძლია, მშვიდად იყოს - „ბარსელონას" ველარ დაეწევა, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ მოურინიოს შეუძლია, მთელი ძალები ჩემპიონთა ლიგისკენ, პირველ რიგში კი „იუნაიტედთან" დუელებისკენ მიმართოს. თუმცა რაც უნდა კონცენტრირებული იყოს „რეალი", ჟოზესთვის და მისი გუნდისთვის ნერვების წყვეტა გარდაუვალია, რადგან მეორე მხარეს ფერგი და მისი ჯარი დგას.

### რონალდო, ოღონდ ბრაზილიელი

სტატისტიკა და ისტორია „რეალის" სასარგებლოდ მეტყველებს. მადრიდელები პლეი ოფებში მანკუნიანელებს ოთხჯერ გადაეყარნენ, რომელთაგან სამი „რეალმა" თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ბოლო დუელი თითქმის ათი წლის წინ გაიმართა, მაგრამ ის თამაში „რეალის" ერთ-ერთ ყოფილ ვარსკვლავს ალბათ სიკვდილამდე ეხსომება. მადრიდში დაფიქსირებული 3:1-ის შემდეგ („რეალმა" მოიგო), „ოლდ ტრაფორდზე" „სამეფო გუნდი" 3:4 დამარცხდა და ნახევარფინალში გავიდა. მადრიდელთა მხრიდან იმ თამაშში სამივე გოლი **რონალდომ** გაიტანა - ოღონდ, ცხადია, არა კრიშტიანომ, არამედ იმ რონალდომ... ბრაზილიელმა... „კიჭამ"!

ჰეთ-თრიკის ავტორი, რომლისთვისაც ის მატჩი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა იყო, 67-ე წუთზე შეცვალეს და მას მთელი „ოლდ ტრაფორდი" ფეხზე წამოუდგა - ინგლისელებს კარგი ფეხბურთელის დაფასება ხომ არ ეშლებათ, თუნდაც მტერი იყოს. *„ეს დღე და მანჩესტერის პუბლიკის ტაში არასდროს დამავიწყდება,"* - თქვა მაშინ „კიჭამ".



დღევანდელი მატჩის ინტრიგები: ფერგიუსონი მოურინიოს წინააღმდეგ და გაორებული კრიშტიანო რონალდო

### კრიშტიანო ოლდ ტრაფორდზე

დღევანდელ და საპასუხო დუელში კი ყურადღების ცენტრში სხვა რონალდო იქნება - პორტუგალიელი... კრიშტიანო... თანამედროვე რონი! ფერგის ხელში დაფრთიანებული ბარტყი მანჩესტერიდან წასვლის შემდეგ „ოლდ ტრაფორდზე" პირველად ითამაშებს. კრიშტიანომ გასულ უქმეებზე „სევილიასთან" ჰეთ-თრიკი შეასრულა და „იუნაიტედთან" ჯახს კარგ განწყობაზე ხვდება.

„მანჩესტერმა" კრიშტიანო 2003 წელს, ლისაბონის „სპორტინგიდან" 17.5 მილიონ ევროდ შეიძინა და მაშინ რონალდო 18 წლისა გახლდათ. პრემიერლიგაში პირველი ორი წელი ცოტა არ იყოს, გაუჭირდა, მერე კი გაიხსნა და მსოფლიო დონის ვარსკვლავად ჩამოყალიბდა. პორტუგალიელს ხშირად უთქვამს, **ფერგიუსონი** ჩემი მეორე მამააო. 2008 წელს კრიშტიანომ ჩემპიონთა ლიგა სწორედ „იუნაიტედის" ფეხბურთელის რანგში მოიგო, მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, 2009 წლის ზაფხულში კი „რეალმა" „იუნაიტედს" მის სანაცვლოდ 94 მილიონი ევრო გადაუხადა. მას მერე სამ-ნახევარი წელი გავიდა, „CR7" უფრო დაიხვეწა და დღეს ყოფილი გუნდის წინააღმდეგ პირველად ითამაშებს.

*„იმედი მაქვს, რომ მსოფლიოს ზუსტად ისეთ ფეხბურთს ვაჩუქებთ, როგორსაც ელოდა,"* - ესეც მოურინიოს სიტყვებია, რომელმაც კვირას „იუნაიტედის" თამაში „ევერტონთან" (2:0) ცოცხლად ნახა. რაკი „რეალმა" შაბათს ითამაშა, ჟოზემ კვირას მანჩესტერში ჩასვლა მოახერხა. აქვე ვთქვათ, რომ მოურინიომ „სევილიასთან" **მესუთ იოზილი, სამი ხედირა, ჩაბი ალონსო** და **ანხელ დი მარია** დაასვენა.

### ჟოზე და ფერგი მეგობრები არიან

მადრიდელთა თავკაცს მანჩესტერთან ბევრი რამ აკავშირებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შეუძლებელია ჟოზეს იმ ზეიმის დავიწყება, რომელიც მან „პორტუში" მუშაობის დროს, მერვედფინალში (2004 წლის მარტი), **კოშტინიას** მიერ ბოლო წუთზე გატანილი გოლის შემდეგ მოაწყო. რამდენიმე თვის შემდეგ მოურინიო „ჩელსის" თავკაცად დაინიშნა და თქვა, განსაკუთრებული ვარო. სერ ალექს ფერგიუსონთან კი მას მეგობრული ურთიერთობა აქვს და სხვათა შორის, ფერგიმ და ჟოზემ ერთმანეთთან სასაუბრო დრო კვირასაც გამონახეს. მოურინიოს ეჭვი ოდნავადაც არ ეპარება იმაში, რომ მისსა და ფერგიუსონის მეგობრობას ვერც დღევანდელი და საპასუხო მატჩი დააკლებს რამეს. გაგახსენებთ, რომ წლებია, ლაპარაკობენ, რომ თუკი ფერგი ერთხელაც პენსიაზე გადასვლას გადაწყვეტს, მას „იუნაიტედში" სწორედ მოურინიო შეცვლის.

### დე ხეას გამოცდა

ნილისყრის შემდეგ ფერგიუსონს ხშირად უთქვამს, „რეალთან" დუელებს მოუთმენლად ველიო და ეს ამჯერადაც კიდევ ერთხელ გაიმეორა. *„ერთმანეთს მსოფლიოს ორი უდიდესი გუნდი ხვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ გენიალური მატჩები უნდა გამოვიდეს,"* - აცხადებს შოტლანდიელი. მისი გუნდი პრემიერლიგაში 12-ქულიანი უპირატესობით ლიდერობს. მიუხედავად ამისა, „რეალთან" მატჩები სერ ალექსის შეგირდებისთვის სერიოზული გამოცდა იქნება. ეს პირველ რიგში 22 წლის მეკარე **დავიდ დე ხეას** ეხება, რომელმაც ფერგი თავის შესაძლებლობებში ბოლომდე ჯერ ვერ დაარწმუნა. თუკი მადრიდელი დე ხეა „რეალის" წინააღმდეგ კარგად ითამაშებს, ეს ფერგის საბოლოო ნდობისკენ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი იქნება.

ამ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედის" დაცვის ხაზი რამდენჯერმე შერაცხეს პრობლემატურად. სამაგიეროდ, მანკუნიანელთა თავდასხმა მონოდების სიმაღლეზე დგას - **რობინ ვან პერსი** შეუდარებელია და ბოლო დროს **უეინ რუნიც** ძველებურ ფორმაში შევიდა. მადრიდელთა დაცვის ბურჯი **სერხიო რამოსი** ალბათ ამიტომაც ამბობს, უმნიშვნელო შეცდომაც რომ დავუშვათ, „მანჩესტერი" ჩემპიონთა ლიგიდან გაგვაგდებსო.

# სამბა დონბასზე

## ეს ცეკვა დორტმუნდელებმაც იციან...



დორტმუნდის ლიდერები: მარკო როისი და მარიო გიოტცე

„შახტარისა" და „დორტმუნდის" დაპირისპირება ისეთი მატჩია, რომელშიც ყველაფერი შეიძლება მოხდეს და არც ერთი შედეგი არ იქნება გასაკვირი. ორივე გუნდი სწრაფ და ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს და მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის მოქმედმა ჩემპიონმა „სიკვდილის ჯგუფში" პირველი ადგილი დაიკავა და თვით „რეალსაც" მოუგო, „დორტმუნდის" ფავორიტად შერაცხვა მაინც არასწორი იქნებოდა.

**შახტარი–ბორუსია (დ) 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შახტარი (4-4-1-1):** პიატოვი - სრნა, ჩიგრინსკი, რაკიცკი, რაცი - ტაისონი, ფერნანდინიო, სტეპანენკო, ალექს ტეიშეირა - მხითარიანი - ლუის ადრიანო.

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ქელი, ს. ბენდერი - ბლაშჩიკოვსკი, გიოტცე, როისი - ლევანდოვსკი.

**არბიტრი:** ჰოვარდ ვები (ინგლისი)

**ურთიერთშეხვედრები**

**22.08.2001**

**ბორუსია (დ)–შახტარი 3:1**

**გოლები:** 0:1 აგაჰოვა (7), 1:1 კოლერი (49), 2:1 ამოროზო (64), 3:1 კოლერი (68)

**07.08.2001**

**შახტარი–ბორუსია (დ) 0:2**

**გოლები:** 0:1 რიკენი (35), 0:2 ოლისე (73)

დორტმუნდელები „ჰამბურგთან" მოულოდნელი განადგურების (1:4) შემდეგ კარგ განწყობაზე ვერ იქნებიან, თუმცა „ბორუსიას" მწვრთნელი **იურგენ კლოპი** გუნდის მოტივირების ოსტატია და ნაკლებად სავარაუდოა, რომ გერმანიის ჩემპიონს დღეს ჰამბურგისგან შაბათს მიღებული ცივი შხაპი დაეტყოს. „შახტარმა" იანვარში **ვილიანი** კი დაკარგა (მახაჩკალის „ანჟიში" გადავიდა), მაგრამ დონეცკურ კლუბს კიდევ იმდენი და ისეთი ბრაზილიელი ჰყავს, რომ ორი აზრი არ არსებობს, „ბორუსიას" „დონბას არენაზე" ურთულესი ბრძოლა ელის.

კლოპი კვლავ ვერ გამოიყენებს **კევინ გროსკროიტცს** და გუშინ გაირკვა, რომ „შახტარის" წინააღმდეგ ვერც **ილქაი გიუნდოგანი** ითამაშებს, რომელსაც იურგენი, რა თქმა უნდა, ძირითად შემადგენლობაში მოიაზრებდა. სამაგიეროდ, „ბორუსიას" დონეცკში გამოჯანმრთელებული **მარსელ შმელცერი** გაჰყვა, რაც კლოპს დაცვის მარცხენა ფლანგზე პრობლემას მოუხსნის. **ნევენ სუბოტიჩი** კი, როგორც იცით, დიდი ხნის დაშავებულია და მას დაცვის ცენტრში ბრაზილიელი **ფელიპე სანტანა** შეცვლის, რომელიც არავისზე ნაკლები მცველი არ არის.

„შახტარი" მოსამზადებელ პროცესშია და ოფიციალური მატჩები არ აქვს (უკრაინის პირველობა ხომ მარტში იწყება). 3 თებერვალს დონეცკელები ნორვეგიულ „ოდ გრენლანდს" ამხანაგურად ეთამაშნენ და 0:1 დამარცხდნენ.

„დორტმუნდი" და „შახტარი" ჩემპიონთა ლიგაში ერთმანეთს ერთხელ შეხვდნენ - 2001/02 წლების სეზონში, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე და ორი მატჩის ჯამში მაშინ „ბორუსიამ" დონეცკური კლუბის ბარიერი იოლად დასძლია (3:1, 2:0).

### ვაიდენფელერი: შახტარი საშიშია!

*„ჰამბურგთან" წაგებამ ყველას გვატკინა გული და კარგი ისაა, რომ „შახტართან" მატჩი კარს მოგვადგა. ეს თამაში ჩვენი ფანებისთვის ბოდიშის მოხდის საუკეთესო შანსია, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. მთავარია, დონეცკში შეცდომები არ დავუშვათ, რადგან „შახტარი" ამით აუცილებლად ისარგებლებს,"* - აცხადებს **ნური შაჰინი.**

*„პრესას რომ ვეცნობი, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ გერმანული საფეხბურთო საზოგადოება „შახტარს" ჯეროვნად არ აფასებს. დონეცკელებს ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ და ჩვენ სიფრთხილე გვმართებს. ფაქტია, რომ ურთულესი თამაში გველის, მაგრამ ჩვენ ამ ბრძოლისთვის ასი პროცენტით მზად ვართ,"* - ეს კი **რომან ვაიდენფელერის** სიტყვებია.

ბრაზილიელებთან ერთად, „შახტარში" ამინდს სომეხი **ჰენრიხ მხითარიანიც** ქმნის, რომელმაც დღევანდელი დუელის წინ უკრაინულ პრესაში ასეთი განცხადება გააკეთა: *„ჩემპიონთა ლიგაში ჩვენი მიზანი მაქსიმუმია, ანუ, თასის მოგება. კარგად მესმის ამ განცხადების მნიშვნელობა და ისიც ვიცი, რომ „დორტმუნდთან" ორი ურთულესი პაექრობა გველის, მაგრამ ეს ბარიერი უნდა გადავლახოთ."*

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

უცხოური ფეხბურთი

ლიბერტადორესის თასი

# ლიბერტადორესის თასი დაიწყო

**დღეს, გამთენიისას, სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე ლიბერტადორესის თასის 54-ე გათამაშება დაიწყო. ლათინური ამერიკის „ჩემპიონთა ლიგა“, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მაღალი დონის საკლუბო ტურნირია. წლევანდელ გათამაშებაში, ისევე როგორც ბოლო წლებში, სამხრეთ ამერიკის 10 ქვეყნის კლუბების გარდა, მონაწილეობას ორი მექსიკური კლუბიც მიიღებს...**

### ისტორია

ლიბერტადორესის თასის პირველი გათამაშება 1960 წელს ჩატარდა და მასში სულ შვიდმა კლუბმა („სან ლორენსო“, „ბაია“, „ხორხე ვილსტერმანი“, „უნივერსიდად დე ჩილე“, „მილიონარიოსი“, „ოლიმპია“ და „პენიაროლი“) ითამაშა. საბოლოოდ, გამარჯვება ურუგვაულ „პენიაროლს“ დარჩა, რომელმაც ფინალში პარაგვაის „ოლიმპიას“ მოუგო (1:0, 1:1). 60-70-იან წლებში, მოქმედი ჩემპიონი ასპარეზობას პირდაპირ 1/2 ფინალიდან იწყებდა, ამის გამო, ჩემპიონი ტიტულის შენარჩუნებას ხშირად ახერხებდა.

ტურნირს „კოპა ლიბერტადორესი“ 1966 წელს ეწოდა. ამით, საფეხბურთო ჩინოვნიკებმა, პატივი მიაგეს ადამიანებს, ვინც სამხრეთ ამერიკის კონტინენტის დამოუკიდებლობისთვის (გათავისუფლებისთვის), ესპანეთთან და პორტუგალიასთან იბრძოდნენ. სხვა ბევრ პიროვნებასთან ერთად, ყველაზე ცნობილი „ლიბერტადორესები“ არიან: **სიმონ ბოლივარი, ხოსე დე სან მარტინი, ხოსე არტიგასი, ბერნადრო ოჰიგინსი, პედრო I, მანუელ ბელგრანო** და სხვები.

ლიბერტადორესის თასის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი „ინდეპენდიენტე“ გახლავთ, ვინც ტურნირის მოგება 7-ჯერ მოახერხა. აღსანიშნავია, რომ „ინდეპენდიენტეს“ სულ 7 ფინალი აქვს ნათამაშები. ისე, საინტერესო დამთხვევაა: ტურნირს „გამათავისუფლებლები“ ჰქვია, ყველაზე ტიტულოვან გუნდს კი „თავისუფლება“...

ლირიკული (ლინგვისტური) გადახვევის შემდეგ, ისევ ფეხბურთს დავუბრუნდეთ... ტიტულების მიხედვით, მეორე ადგილზე „ბოკა ხუნიორსია“ (6-გზის ჩემპიონი), რომელსაც ლეგენდარული **კარლოს ბიანკი** დაუბრუნდა, ვინც ამ ტურნირის რეკორდსმენია – ბიანკი არის ერთადერთი მწვრთნელი, რომელმაც ლიბერტადორესის თასი 4-ჯერ მოიგო (ერთხელ „ველეს სარსფილდში“, სამჯერ „ბოკაში“).

5-გზის ჩემპიონი „პენიაროლი“ გახლავთ, ხოლო 4-ჯერ გამარჯვება „ესტუდიანტესმა“ შეძლო. როგორც ხედავთ, ყველაზე ტიტულოვანი ოთხი გუნდიდან, სამი არგენტინას წარმოადგენს. რა გასაკვირია, რომ ქვეყნებშიც არგენტინა ლიდერობს – მათ ანგარიშზე 22 საჩემპიონო ტიტულია. მეორე ადგილზეა ბრაზილია (16 ტიტული), მესამეზე კი ურუგვაი (8 ტიტული). მონაწილე ქვეყნებიდან, პერუს, მექსიკას, ბოლივიას და ვენესუელას გამარჯვებული არასდროს ჰყოლიათ.

## ფავორიტები და ვარსკვლავები

### ბრაზილიელები

ბოლო სამი ტურნირი ბრაზილიურმა კლუბებმა მოიგეს, შესაბამისად, წელსაც მთავარ ფავორიტებად მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონთა ქვეყნის კლუბები მიიჩნევიან. სულ, წლევანდელ ლიბერტადორესის თასზე 6 ბრაზილიური გუნდი ითამაშებს. ჩვენი აზრით, საბოლოო წარმატების ყველაზე ნაკლები შანსი სერია ა-დან გავარდნილ „პალმეირასს“ და „ატლეტიკო მინეიროს“ აქვთ. კი, ამ უკანასკნელს **რონალდინიო** და **ჟო** ჰყავს, მაგრამ საეჭვოა ეს საკმარისი იყოს.

ერთ-ერთი ფავორიტია მოქმედი ჩემპიონი „კორინთიანსი“, რომელმაც ყველა ნამყვანი ფეხბურთელი (**კასიო, ალესანდრო, ჩიკაო, რალფი, პაულინიო, დანილო, გერერო, ემერსონ შეიკი, რომარიონიო**) შეინარჩუნა და გუნდი **ალეშანდრო პატოთი, რენატო აუგუსტოთი** და **ჟილით** გააძლიერა.

გამარჯვებისთვის იბრძოლებს ბრაზილიის 2012 წლის ჩემპიონი „ფლუმინენსეც“, რომელმაც საკუთარი რიგები სამი გამოცდილი ფეხბურთელით, **ფაბიან მონსონით** (ლიონიდან), **ველინგტონ სილვათი** (ფლამენგოდან) და **ფელიპეთი** (ვასკო და გამადან) შეავსო. გარდა ამ მოთამაშეებისა, „ფლუმ“ ყველა ლიდერი შეინარჩუნა (**ფრედი, ტიაგო ნევეში, დეკუ, რაფაელ სობისი, ველინგტონ ნემი** და ა.შ.)

ძალიან გაძლიერდა „გრემიო“, რომელმაც ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას, გუნდში მყოფ ვარსკვლავებს (**ზე რობერტო, ელანო, მარსელო მორენო, ფაბიო აურელიო**), არაერთი ცნობილი ფეხბურთელი დაუმატა. **ვანდერლეი ლუშემბურგომ**, იანვარ-თებერვალში მეკარე **დიდა**, მცველები **კრისი** და **ანდრე სანტოსი** და სამი გამოცდილი ფორვარდი, **ერნან ბარკოსი** (პალმეირასიდან), **ველინტონი** (სპარტაკიდან) და **ედუარდო ვარგასი** (ნაპოლიდან) შეიძინა.

**ლუკას მოურას** დაკარგვის მიუხედავად, მეოთხე საჩემპიონო ტიტულისთვის იბრძოლებს 2012 წლის კოპა სუდამერიკანას გამარჯვებული „სან პაულო“. პსჟ-ში წასულ ლუკასს, **პაულო ენრიკე განსო** შეცვლის, ხოლო დაცვის ხაზს **ლუსიო** გაამაგრებს.

### არგენტინელები

ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, მონაწილეთა შორის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი, „ბოკა ხუნიორსი“. კარლოს ბიანკიზე უკვე ვთქვით, გარდა ამისა, გუნდში ბრუნდება **ხუან რომან რიკელმე**. „ბოკამ“ ზამთარში „კორინთიანსიდან“ **ხუან მანუელ მარტინესი** დაიმატა, რომელიც გუნდს უმალვე შეეწყო. შემადგენლობის მიხედვით (**სანტიაგო სილვა, ლეანდრო სომოსა, გილერმო ბურდისო, აგუსტინ ორიონი, ვალტერ ერვიტი, ლეანდრო პარედესი, ლაუტარო აკოსტა, პაბლო ლედესმა, კლემენტე როდრიგესი, გილერმო „პოლ“ ფერნანდესი, ლუკას ვიატრი, დიეგო რივერო, ნიკოლას ბლანდი, ხუან სანჩეს მინიო**), ბიანკის გუნდი მთელ კონტინეტზე ერთ-ერთი საუკეთესოა.

ფავორიტებში უნდა ჩავწეროთ არგენტინის მოქმედი ჩემპიონი „ველეს სარსფილდი“, რომელმაც ზამთარში ნახევარდაცვა **ფერნანდო გაგოთი** გააძლიერა.



კარლოს ბიანკი დაბრუნდა და მეხუთე ტიტულს უმიზნებს

ძნელი სათქმელია, მოკლე სათადარიგო სკამის გამო, რამდენად შორს წავა „ნიუელსი“, მაგრამ ამ გუნდს, **ხერარდო მარტინოს** სახით, შესანიშნავი მწვრთნელი ჰყავს. როსარიოელებს არც გამოცდილი ფეხბურთელები აკლიათ. **გაბრიელ ჰაინცე, მაქსი როდრიგესი, ლუკას ბერნარდი, მარკოს კასერესი, იგნასიო სკოკო** – ასეთი ფეხბურთელებით „ნიუელსს“ ბევრი გუნდის გამწარება შეუძლია.

„ტიგრეს“ და „არსენალის“ შანსები, ამ მომენტისთვის მცირეა, მაგრამ ვინ იცის, ბევრი არც შარშან ელოდა იმას, რომ „ტიგრე“ კოპა სუდამერიკანას ფინალში გავიდოდა...

### სხვები

ტრადიციულად, ძლიერი გუნდები ჰყავთ „პენიაროლსა“ და „ნასიონალს“. ორივე ურუგვაულ კლუბს დამსახურებული ვეტერანები ემსახურებიან. „ნასიონალის“ ღირსებას **ალეხანდრო ლემბო**, „ესპანიოლიდან“ განათხოვრებული **ხუან ალბინი**, „შალკეს“ ყოფილი ფორვარდი **ვისენტე სანჩესი**, უბერებელი **სებასტიან „ლოკო“ აბრეუ**, „რუბინის“ ყოფილი მცველი **ანდრეს სკოტი** და თვით **ალვარო რეკობა** იცავენ.

„პენიაროლის“ რიგებში კი „შალკეს“ და „ლეჩეს“ ყოფილი ფეხბურთელი **კარლოს გროსმიულერი, ფაბიან ესტოიანოფი**, პარაგვაის ნაკრების წევრი **აურელიანო ტორესი**, კიდევ ერთი ყოფილი „შალკელი“ **დარიო როდრიგესი** და „ბარსელონა“-„რეალის“ რისხვა, **მარსელო სალაიეტა** თამაშობენ.

საინტერესო და კარგი შემადგენლობა ჰყავს ეკვადორის მოქმედ ჩემპიონ გუაიაკილის „ბარსელონას“. ეკვადორის ნაკრების წევრების გარდა (**ფრიკსონ ერასო, მაიკლ აროიო, ხუან კარლოს პარედესი**), „ბარსა“ გამოცდილი არგენტინელებით გაძლიერდა – ეკვადორელებმა „ლანუსიდან“ **გონსალო კასტილიეხოსი**, „გოდოი კრუსიდან“ **ნიკოლას ოლმედო**, ხოლო „ლდუ კიტოდან“ სანტანდერის „რასინგის“ ყოფილი ფორვარდი, არიელ **ნაუელპანი** შეიძინეს.

ბოლო ერთ წელიწადში ძალიან დასუსტდა „უნივერსიდად დე ჩილე“, რომელმაც ამ პერიოდში გუნდიდან **ედუარდო ვარგასი, მარკოს გონსალესი, გუსტავო კანალესი, მარსელო დიასი, ჯუნიორ ფერნანდესი, ანხელო ენრიკესი** და **მატიას როდრიგესი** გაუშვა. ამ ფეხბურთელების დახმარებით, ჩილეს ერთ-ერთმა გრანდმა, 2011 წელს კოპა სუდამერიკანა მოიგო. აი, დღევანდელი შემადგენლობით, გუნდს შესაძლოა ჯგუფიდან გასვლაც კი გაუჭირდეს.

ტრადიციულად, მაღალმთიან რეგიონებში თამაში რთული იქნება, თუმცა ბოლივიის, პერუს და ეკვადორის გუნდებს, ამის გამო, ტურნირის მოგების შანსი ნამდვილად არ ექნებათ.

2013 წლის კოპა ლიბერტადორესს რამდენიმე გამორჩეული გუნდი დააკლდება: „რივერ პლეიტი“, „ინდეპენდიენტე“, „კოლო კოლო“, „სანტოსი“, „ინტერნასიონალი“ „უნივერსიდად კათოლიკა“, „ლდუ კიტო“ (შესარჩევში „გრემოსთან“ წააგო)... მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტურნირი ძალიან საინტერესო უნდა გამოდგეს.

### ჯგუფები

I ჯგუფი: **„ბარსელონა“ (ეკვადორი), „ნასიონალი“ (ურუგვაი), „ბოკა ხუნიორსი“ (არგენტინა), „ტოლუკა“ (მექსიკა).**

II ჯგუფი: **„სპორტინგ კრისტალი“ (პერუ), „ლიბერტადი“ (პარაგვაი), „პალმეირასი“ (ბრაზილია), „ტიგრე“ (არგენტინა).**

III ჯგუფი: **„არსენალი“ (არგენტინა), „სტრონგესტი“ (ბოლივია), „ატლეტიკო მინეირო“ (ბრაზილია), „სან პაულო“ (ბრაზილია).**

IV ჯგუფი: **„ველეს სარსფილდი“ (არგენტინა), „პენიაროლი“ (ურუგვაი), „ემელეკი“ (ეკვადორი), „დეპორტეს იკიკე“ (ჩილე).**

V ჯგუფი: **„კორინთიანსი“ (ბრაზილია), „სან ხოსე“ (ბოლივია), „მილიონარიოსი“ (კოლუმბია), „ტიხუანა“ (მექსიკა).**

VI ჯგუფი: **„სანტა ფე“ (კოლუმბია), „სერო პორტენიო“ (პარაგვაი), „რეალ გარკილასო“ (პერუ), „დეპორტეს ტოლიმა“ (კოლუმბია).**

VII ჯგუფი: **„დეპორტივო ლარა“ (ვენესუელა), „უნივერსიდად დე ჩილე“ (ჩილე), „ნიუელს ოლდ ბოისი“ (არგენტინა), „ოლიმპია“ (პარაგვაი).**

VIII ჯგუფი: **„ფლუმინენსე“ (ბრაზილია), „უაჩიპატო“ (ჩილე), „კარაკასი“ (ვენესუელა), „გრემიო“ (ბრაზილია).**

### ყველა გამარჯვებული

1960 — პენიაროლი (ურუ)
1961 — პენიაროლი (ურუ)
1962 — სანტოსი (ბრა)
1963 — სანტოსი (ბრა)
1964 — ინდეპენდიენტე (არგ)
1965 — ინდეპენდიენტე (არგ)
1966 — პენიაროლი (ურუ)
1967 — რასინგი (არგ)
1968 — ესტუდიანტესი (არგ)
1969 — ესტუდიანტესი (არგ)
1970 — ესტუდიანტესი (არგ)
1971 — ნასიონალი (ურუ)
1972 — ინდეპენდიენტე (არგ)
1973 — ინდეპენდიენტე (არგ)
1974 — ინდეპენდიენტე (არგ)
1975 — ინდეპენდიენტე (არგ)
1976 — კრუზეირო (ბრა)
1977 — ბოკა ხუნიორსი (არგ)
1978 — ბოკა ხუნიორსი (არგ)
1979 — ოლიმპია (პარ)
1980 — ნასიონალი (ურუ)
1981 — ფლამენგო (ბრა)
1982 — პენიაროლი (ურუ)
1983 — გრემიო (ბრა)
1984 — ინდეპენდიენტე (არგ)
1985 — არხენტინოს ხუნიორსი (არგ)
1986 — რივერ პლეიტი (არგ)
1987 — პენიაროლი (ურუ)
1988 — ნასიონალი (ურუ)
1989 — ატლეტიკო ნასიონალი (კოლ)
1990 — ოლიმპია (პარ)
1991 — კოლო კოლო (ჩილ)
1992 — სან პაულო (ბრა)
1993 — სან პაულო (ბრა)
1994 — ველეს სარსფილდი (არგ)
1995 — გრემიო (ბრა)
1996 — რივერ პლეიტი (არგ)
1997 — კრუზეირი (ბრა)
1998 — ვასკო და გამა (ბრა)
1999 — პალმეირასი (ბრა)
2000 — ბოკა ხუნიორსი (არგ)
2001 — ბოკა ხუნიორსი (არგ)
2002 — ოლიმპია (პარ)
2003 — ბოკა ხუნიორსი (არგ)
2004 — ონსე კალდასი (კოლ)
2005 — სან პაულო (ბრა)
2006 — ინტერნასიონალი (ბრა)
2007 — ბოკა ხუნიორსი (არგ)
2008 — ლდუ კიტო (ეკვ)
2009 — ესტუდიანტესი (არგ)
2010 — ინტერნასიონალი (ბრა)
2011 — სანტოსი (ბრა)
2012 — კორინთიანსი (ბრა)

**სულ:** 7 – „ინდეპენდიენტე“ (არგ); 6 – „ბოკა ხუნიორსი“ (არგ); 5 – „პენიაროლი“ (ურუ); 4 – „ესტუდიანტესი“ (არგ); 3 – „ნასიონალი“ (ურუ), „ოლიმპია“ (პარ), „სან პაულო“ (ბრა), „სანტოსი“ (ბრა); 2 – „რივერ პლეიტი“ (არგ), „გრემიო“ (ბრა), „კრუზეირო“ (ბრა), „ინტერნასიონალი“ (ბრა); 1 – „პალმეირასი“ (ბრა), „ატლეტიკო ნასიონალი“ (კოლ), „კოლო კოლო“ (ჩილ), „რასინგი“ (არგ), „ფლამენგო“ (ბრა), „არხენტინოს ხუნიორსი“ (არგ), „ველეს სარსფილდი“ (არგ), „ვასკო და გამა“ (ბრა), „ონსე კალდასი“ (კოლ), „ლდუ კიტო“ (ეკვ), „კორინთიანსი“ (ბრა).

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

საფრანგეთი. ლიგა 1. სტატისტიკური შეჯამება

# უხვგოლიანი სეზონი

**ლიგა 1-ის წლევანდელი სეზონი საკმაოდ შედეგიანია და ეს ტენდენცია XXIV ტურშიც გაგრძელდა. „ლილმა“ „სტად ჟერლნაზე“ დიდი ხნის პაუზის შემდეგ მოიგო. მევლუთ ერდინჩმა კი საიუბილეო თამაში გატანილი გოლით აღნიშნა...**

### მთავარი

600 – **მატიო ბოდმერმა** წლევანდელი სეზონის მე-600 გოლი გაიტანა, მისმა „სენტ ეტიენმა“ კი „მონპელიეს“ 4:1 მოუგო. „ლილის“, „ლიონის“ და პსჟ-ს ყოფილ ფეხბურთელს, გოლი 2011 წლის 18 სექტემბრის შემდეგ არ ჰქონდა გატანილი, ახალ კლუბში კი თავის გამოჩენა მოედანზე გამოსვლიდან სამ წუთში შეძლო. წლევანდელ სეზონში, 24 ტურის შემდეგ, უკვე 617 გოლი გავიდა, რაც საშუალოდ 2.6-ს უდრის. შარშან, მაყურებელმა 38 ტურში 956 გოლი იხილა (საშუალოდ 2.5), ასე რომ, თუ ფეხბურთელები ასე გააგრძელებენ, წლევანდელი სეზონი შარშანდელზე შედეგიანი იქნება.

### გუნდური მიღწევები:

1 - „რეიმსმა“ სტუმრად „ნანსის“ 2:1 მოუგო და 15-მატჩიანი მოუგებელი საგარეო სერია შეწყვიტა. გარდა ამისა, ეს ამ სეზონში, შამპანის კლუბისთვის სტუმრად მოპოვებული პირველი გამარჯვება იყო და ასევე, „რეიმსმა“ საგარეო მატჩში სამი ქულის აღება 35-წლიანი პაუზის შემდეგ მოახერხა – უკანასკნელად, ლიგა 1-ის შეხვედრაში სტუმრად მოგება „რეიმსმა“ 1978 წლის 25 აპრილს შეძლო, როდესაც სოშოში იმარჯვა (3:2).

■ ■ ■

პირველი - „ლილმა“ 2005 წლის შემდეგ ლიონში პირველად მოიგო. „ძაღლებმა“ „ოლიმპიკი“ მაშინაც და ახლაც ერთნაირი ანგარიშით, 3:1 დაამარცხეს. ამ გამარჯვებით, **რუდი გარსიას** გუნდმა 6-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა (3 ფრე და 3 წაგება) და გარდა ამისა, 7-მდე გაზარდა იმ მატჩების რაოდენობა, რომელშიც „ლილი“ „სტად ჟერლანზე“ მინიმუმ ერთ გოლს მაინც იტანს.



ბოდმერმა საიუბილეო გოლი გაიტანა

■ ■ ■

2 - „რენმა“ სახლში „ტულუზს“ 2:0 სძლია. ბრეტონელებმა, ბოლო 13 შეხვედრიდან 10-ში მინიმუმ ორი გოლი გაიტანეს. ამ პერიოდში (უკანასკნელ 13 ტურში), **ფრედერიკ ანტონეტის** გუნდმა 24 გოლი გაიტანა და ამ მხრივ, მხოლოდ „პარი სენ ჟერმენს“ (28 გოლი) ჩამორჩება.

### ინდივიდუალური მიღწევები:

120 - „ბასტიასთან“ შეხვედრაში, რომელიც მისმა გუნდმა 3:1 მოიგო, **მარკო ვერატიმ** 120 პასი გააკეთა, აქედან 109 ზუსტი იყო. ახალგაზრდა იტალიელი ნახევარმცველი, მიმდინარე სეზონში, ორივე ამ კატეგორიის ლიდერია.

150 - „რენი“-„ტულუზის“ შეხვედრა, **მევლუთ ერდინჩისთვის** ლიგა 1-ში 150-ე გამოდგა. თურქმა, ვისაც აქამდე „სოშოსა“ და „პარი სენ ჟერმენში“ უთამაშია, საიუბილეო მატჩი გატანილი გოლით აღნიშნა. ერდინჩს „ტულუზის“ კარში უკვე 7 ბურთი აქვს გატანილი, ამდენჯერ კი მას არც ერთი სხვა კლუბის კარი არ დაულაშქრავს.

1 - „ბრესტთან“ მოგებულ შეხვედრაში (2:1), „ვალანსიენის“ კაპიტანმა, **რუდი მატერმა** სეზონის პირველი გოლი გაიტანა. ბოლო გოლი მატერს 2010 წლის 13 თებერვალს ჰქონდა გატანილი. ახლა, 32 წლის მცველის ანგარიშზე 5 გოლია (204 შეხვედრაში), აქედან 4 მატერმა საშინაო არენაზე გაიტანა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ანდრეს ინიესტა

# პეპი მიუნხენშიც მაგარი იქნება!

## ინიესტას რჩევები ბაიერნის ფეხბურთელებს: დაუჯერეთ გვარდიოლას და ყველაფერი კარგად იქნება!

მას მერე, რაც გადაწყდა, რომ ზაფხულიდან მიუნხენის „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი ხოსეპ გვარდიოლა იქნება, გერმანიაში ყველას ერთი კითხვა აწუხებს: როგორ ფეხბურთს ითამაშებს რეკორდმაისტერი „ბარსელონას" ექსთავკაცის ხელში, რომელმაც სპორტის ამ სახეობაში ფაქტობრივად ახალი სტილი შექმნა. 42 წლის გვარდიოლას „ბაიერნში" თავის გეგმებზე კომენტარები ჯერ არ გაუკეთებია - მხოლოდ ის თქვა, რომ ზაფხულამდე არც არაფერს იტყვის, რადგან არ უნდა, რომ მიუნხენური გრანდის ამჟამინდელ მწვრთნელ იუპ ჰაინკესს ხელი შეუშალოს. შესაბამისად, კითხვა, თუ როგორი იქნება გვარდიოლას ფორმაციის „ბაიერნი", უპასუხოდ რჩება. ანდრეს ინიესტა ის ფეხბურთელია, რომელიც გვარდიოლას ძალიან კარგად იცნობს და ჩვენი გერმანელი კოლეგები „ბარსას" 28 წლის ვარსკვლავს ალბათ ამიტომაც დაუკავშირდნენ. გთავაზობთ ინტერვიუს ინიესტასთან, რომელიც „ბილდში" გამოქვეყნდა და რომელშიც ანდრესი პეპის „ბაიერნში" დანიშვნაზე საუბრობს.

**- რა რეაქცია გქონდათ, როცა გვარდიოლას „ბაიერნში" დანიშვნის ამბავი შეიტყვეთ?**

- გამიხარდა, რომ პეპი დიდ ფეხბურთში ბრუნდება. ეს არა მარტო მისთვის, არამედ ზოგადად ფეხბურთისთვისაა კარგი. ასეთი კალიბრის სპეციალისტი უმუშევარი დიდხანს არ უნდა იყოს.

- არა მგონია, რომ გვარდიოლას მიუნხენში პრობლემები შეექმნას. შესაძლოა, „ბარსას" სტილი ასი პროცენტით არც გადაიტანოს. ის, რაც „ბარსელონას" მოუხდა, „ბაიერნს" შეიძლება მართლა არ მოუხდეს. ვინც ფიქრობს, რომ გვარდიოლა მხოლოდ ასეთი სტილის მიმდევარია და მას, როგორც მწვრთნელს, სხვანაირი სტრატეგიით წარმატების მიღწევა არ შეუძლია, ძალიან ცდება. ზოგადად, „ბაიერნის" ფეხბურთის იდეა „ბარსას" იდეასთან საკმაოდ ახლოსაა. რეკორდმაისტერის მონაწილეობით რამდენიმე მატჩი ამ სეზონშიც ვნახე და აშკარაა, რომ „ბაიერნიც" ბურთის დიდხანს ფლობაზე აკეთებს აქცენტს. თანაც, ფეხბურთელების კლასით მიუნხენური გრანდი ჩვენს გუნდს დიდად არ ჩამოუვარდება.

**- პეპს მიუნხენში გამოჰყვებოდით?**

- „ბარსელონაში" ძალიან კარგად ვარ.

**- რითაა განსაკუთრებული ხოსეპ გვარდიოლა?**

- ეს არის ადამიანი, რომელიც ასი პროცენტით იდენტიფიცირებულია იმ საქმესთან, რასაც ემსახურება. პეპს შეუძლია, თავი გადადოს ფეხბურთელისთვის და მოთამაშეებს სტადიონს მიღმაც ემეგობრება. დარწმუნებული ვარ, რომ „ბაიერნის" ფეხბურთელები მის ხელში ბედნიერები იქნებიან. იმავეს ვუწინასწარმეტყველებ „ბაიერნის" გულშემატკივრებსაც, რადგან პეპი მართლაც განსაკუთრებული ადამიანი და მწვრთნელია. მოკლედ,



ანდრეს ინიესტა და ხოსეპ გვარდიოლა

**- მიულოცეთ?**

- რა თქმა უნდა.

**- როგორ ფიქრობთ, გვარდიოლა „ბაიერნში" ახალ „ბარსელონას" ჩამოაყალიბებს?**

- ფაქტია, რომ ყველანაირად ეცდება, „ბაიერნის" ფეხბურთელებს თავისი ფილოსოფია ჩაუნერგოს და ისე ათამაშოს, როგორც „ბარსელონას" ათამაშებდა. რაკი „ბაიერნს" შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავს, დარწმუნებული ვარ, რომ გვარდიოლას მიუნხენში მუშაობა შედეგს გამოიღებს.

**- თქვენ შეიძლება ჩემპიონთა ლიგაში შეხვდეთ...**

- ეს ძალიან კარგი იქნებოდა. განსაკუთრებით, ჩემპიონთა ლიგის ფინალში.

**- გვარდიოლას სტილი ბურთის ფლობა და მოკლე პასებია. გერმანიაში ბევრს ეპარება ეჭვი იმაში, რომ „ბარსას" სტილი „ბაიერნშიც" გაამართლებს.**

გიხაროდენ მიუნხენელებო - გვარდიოლა „ბაიერნში" ძალიან მაგარი ამბავია!

**- როგორი ვარჯიშები აქვს ხოლმე?**

- ყველაფერს ყურადღებას აქცევს, ბევრს საუბრობს და მოთამაშეებს შეცდომებს უსწორებს. გვარდიოლა ყველა დეტალს აკვირდება!

**- რა მხრივ შეიძლება შეექმნას პრობლემა მიუნხენში?**

- ზემოთაც ვთქვი, რომ არა მგონია, გაუჭირდეს. ეცდება, თავისი საქმე ძველებურად კარგად აკეთოს და ხალხის პატივისცემა დაიმსახუროს. ეჭვი არ მეპარება, რომ ყველაფერი გამოუვა.

**- რას უნდა მიაქციონ „ბაიერნის" ფეხბურთელებმა ყურადღება იმისათვის, რომ გვარდიოლა არ გაბრაზდეს?**

- უნდა დაუჯერონ! დაუჯერონ და ყველაფერი კარგად იქნება.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მარკოს კიევში ეპატიჟებიან



მარკო არნაუტოვიჩი შეიძლება კიევის დინამოში გადავიდეს

გასულ შაბათს „ვერდერის" ავსტრიელი თავდამსხმელი **მარკო არნაუტოვიჩი** შტუტგარტის „მერსედეს-ბენც-არენას" ტრიბუნაზე „ვერდერის" ახალ გენერალურ მენეჯერ **თომას აიხინს** შეხვდა. დიდხანს არ უსაუბრიათ, ალბათ რამდენიმე ბანალური წინადადება გაცვალეს. ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ 23 წლის არნაუტოვიჩს, რომელსაც ამ სეზონში 5 გოლი აქვს გატანილი, აიხინთან უფრო ხანგრძლივი საუბარი მოუწევს.

საქმე იმაშია, რომ „ბილდის" ინფორმაციით, არნაუტოვიჩს კიევის „დინამოში" ეპატიჟებიან. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, კიეველებს ავსტრიელის გადაბირება ახლავე უნდათო. ფეხბურთელი ამბობს, რომ კიეველთა ინტერესის შესახებ არაფერი იცის, მაგრამ „ბილდი" ირწმუნება, რომ პირველი მოლაპარაკებები უკვე შედგა, ამ დღეებში კი უკრაინული გრანდი, რომლის მთავარი მწვრთნელი **ოლეგ ბლოხინია**, „ვერდერს" კონკრეტული წინადადებით, ოფიციალურად მიმართავს. უკრაინაში სატრანსფერო ფანჯარა პირველ მარტს იხურება.

შეგახსენებთ, რომ მარკო არნაუტოვიჩს „ვერდერთან" კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს. ავსტრიელი „ტრანსფერმარკტზე" 8 მილიონ ევროდაა შეფასებული. მიმდინარე სეზონში „ვერდერის" მთავარი მწვრთნელი თომას შააფი მას მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე ათამაშებს, მეორე წრეში კი მარკო ტრავმებმა შეაწუხა, რის გამოც 2013 წელს მოედანზე მხოლოდ 35 წუთი გაატარა.

მწვრთნელი



# კლოპმა ჩელსის დასცინა

იურგენ კლოპი დორტმუნდში დარჩება

## ...და დორტმუნდიდან წასვლას მინიმუმ 2016 წლამდე არ აპირებს

ლონდონის „ჩელსის" ხელმძღვანელები და თვით **რომან აბრამოვიჩიც** კი არ მალავდნენ იმას, რომ დორტმუნდის „ბორუსიას" მთავარი მწვრთნელით, **იურგენ კლოპით** დაინტერესდნენ და მომავალი სეზონისთვის პოპულარული გერმანელი სპეციალისტის გადაბირება სურდათ. 45 წლის კლოპი ამ თემას ინგლისურ პრესაში გამოეხმაურა და ლონდონურ კლუბს უარი საკმაოდ საინტერესო კომენტარებით შეუთვალა.

*„დორტმუნდის „ბორუსიასთან" კონტრაქტი 2016 წლამდე მაქვს გაფორმებული და ალბათ უკვე 20-ჯერ მაინც ვთქვი, რომ ამ ხელშეკრულებას აუცილებლად ბოლომდე შევასრულებ. ვიღაც-ვიღაცები ალბათ ფიქრობენ, რომ ამ სიტყვებს ჰაერზე ვისვრი და თუ ისეთ გუნდში დამპატიჟებენ, როგორიც „ჩელსია" ან მადრიდის „რეალი", გადაწყვეტილებას იოლად შევცვლი. კიდევ ერთხელ ვამბობ: ჩემი სიტყვები უკან არასდროს მიმაქვს. ვისაც რა უნდა, ის იფიქროს, მე ვერაფერს შევცლი, მაგრამ ალბათ დროთა განმავლობაში ყველა საბოლოოდ დარწმუნდება, რომ რასაც ვამბობ, იმას ვაკეთებ," - უთხრა კლოპმა გაზეთ „ლონდონ ივნინგ სტანდარდს".*

ხსენებული გამოცემის ჟურნალისტმა იურგენს ჰკითხა, ხომ იცით, რომ „ჩელსის" თქვენთვის ზღაპრული ხელფასის გადახდა შეუძლიაო, რაზეც კლოპმა უფრო საინტერესო პასუხი გასცა: *„არა მგონია, რომ ვინმემ ჩემი გადარწმუნება ფულით მოახერხოს. ასეთ სიტუაციებში „მაინცის" მწვრთნელობის დროსაც ვიყავი და დამერწმუნეთ, „მაინცში" ძალიან დაბალი ხელფასი მქონდა, მაგრამ თავისი ნებით ვერავინ გადამიბირა, რადგან ფული ჩემთვის მთავარი არგუმენტი არ არის. ფული საკმარისად მაქვს იმისათვის, რომ დღეში სამჯერ ვჭამო. რა თქმა უნდა, ჩემთვის დიდი პატივია ის, რომ „ჩელსის" ვუნდივარ, მაგრამ ახლა თავისუფალი არ ვარ და იმედია, რომან აბრამოვიჩი ამას გაგებით მოეკიდება!"*

იურგენის თქმით, „მაინცში" მუშაობის დროს მას სხვა ბუნდესლიგური კლუბებიდან ყოველ ზაფხულს ჰქონდა შეთავაზებები, მაგრამ „მაინცში" მანამდე დარჩა, სანამ დორტმუნდის „ბორუსიაში" მუშაობა არ შესთავაზეს: *„დორტმუნდში გადმოსვლას იმიტომ დავთანხმდი, რომ ამ გუნდმა ყველაფრით მიმიზიდა! ხელფასი ამ შემთხვევაშიც მეათეხარისხოვანი იყო. „ბორუსიას" მთავარი მწვრთნელის რანგში ბედნიერი ვარ - განსაკუთრებით მას მერე, რაც ზედიზედ ორჯერ გავხდით გერმანიის ჩემპიონები, რაც მიუნხენის „ბაიერნის" ფენომენის არსებობის კვალობაზე მართლა დიდი მოვლენაა. ქალაქი, კლუბი, გარემო - დორტმუნდში ყველაფრით ბედნიერი ვარ."*

კლოპის შესაძლო და აწ უკვე საბოლოოდ უარყოფილ ტრანსფერზე კომენტარი „ბორუსიას" სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმაც** გააკეთა: *„აბრამოვიჩს ჟოზე მოურინიოს დარი მწვრთნელი სჭირდება, კლოპის გადაბირების შანსი კი არ აქვს. იურგენი ინტელიგენტია და იცის, რომ აბრამოვიჩთან ვერ იმუშავებს."*

„ჩელსისთან" მიმართებაში კლოპზე საუბარი ინგლისურ მედიაში მას მერე დაიწყო, რაც **ხოსეპ გვარდიოლამ** ლონდონურ კლუბში მუშაობაზე უარი თქვა და „ბაიერნის" ხელმძღვანელებს დათანხმდა. ჩვენი ინგლისელი კოლეგების ცნობით, კლოპის მტკიცე უარის შემდეგ, **აბრამოვიჩი** და კომპანია ყურადღებას სხვა კანდიდატებისკენ (**ჟოზე მოურინიო, ჯანფრანკო ძოლა, გუსტავო პოიეტი, მიაქელ ლაუდრუპი, დიეგო სიმეონე, ანტონიო კონტე**) მიმართავენ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ინგლისი. პრემიერლიგა. XXVI ტურის შეჯამება

# წაგების ქრონოლოგია: პენალტი, კუთხური და კონტრშეტევა



უქმეებზე მაურისიო პოჩეტინოის საუთჰემპტონმა პრემიერლიგის საჩემპიონო ინტრიგა დაასამარა

## ბრწყინვალე რეაქცია

პრემიერლიგის **XXVI** ტურის უკანასკნელი მატჩი მოულოდნელი შედეგით დამთავრდა. „ლივერპულმა" შინ „ვესტ ბრომვიჩთან" 90 წუთი შეტევებში გაატარა, 0:0-ზე პენალტი გააფუჭა, ბოლოს კი ორი გოლი გაუშვა, ერთი სტანდარტის გათამაშებისას, მეორე – კონტრშეტევაზე. „ენფილდზე" საუკეთესო სტუმართა კარის დარაჯი **ბენ ფოსტერი** იყო. 29 წლის გოლკიპერმა რამდენჯერმე იხსნა თავისი გუნდი აშკარა გოლისგან. მისი დამსახურება **ბრენდან როჯერსმაც** აღნიშნა, თუმცა მასპინძელთა დამრიგებელს არც საკუთარ შეგირდებზე დასცდენია საყვედური: *„მიუხედავად დაჟინებული მცდელობებისა, ზეწოლისა, „ვესტ ბრომვიჩის" კარის აღება ვერ შევძელით. რაც მეტად ვცდილობდით, მეტოქე მით უფრო თავდაჯერებული ხდებოდა. ჩემს ფეხბურთელებს მოტივაციის ნაკლებობას ვერ დავწამებ. იმედგაცრუებული ვარ და ვიცი, რომ ფეხბურთელებიც ანალოგიურად გრძნობენ თავს. აშკარაა, დღეს საღამოს საუკეთესო კონდიციებში არ ვიყავით. „ვესტ ბრომვიჩმა" კარგი თამაში შემოგვთავაზა. ბენ ფოსტერმა ფანტასტიკურად ითამაშა. მისი დამაჯერებელი გამოსვლა მთელ გუნდზე აისახა. როცა პენალტი დაინიშნა, ცოტა გამიკვირდა, რადგან მომეჩვენა, რომ წესის დარღვევა არ ყოფილა, მერე ეპიზოდი გამეორებაზეც ვნახე. ასეა თუ ისე, არბიტრმა გადაწყვეტილება მიიღო. არ ვაპირებ ჯერარდის დადანაშაულებას, რადგან ეს ფეხბურთის ნაწილია. დარტყმა არ ყოფილა ცუდი, ეს ფოსტერის რეაქცია გახლდათ ბრწყინვალე".*

## ყველა ეპოქის მეგოლეები

პრემიერლიგაში რამდენიმე დამსახურებული ვეტერანი თამაშობს. ინგლისური ფეხბურთის გულშემატკივარს სულაც არ სჭირდება ინტერნეტში ასეთი სტატუსის მქონეთა ძებნა. დავფიქრდეთ, ვისი სახელები გაგვახსენდება პირველ რიგში - **რაიან გიგზი** (39 წელი), **პოლ სქოულზი** (38) და **ფრენკ ლამპარდი** (34). **რაიან გიგზმა** უნიკალური შედეგი დააფიქსირა. ლეგენდარულმა უელსელმა ზედიზედ 23-ე ჩემპიონატში მოახერხა თავის გამოჩენა. სიმბოლურია, რომ მან სწორედ იმ გუნდს გაუტანა ისტორიული ბურთი, ვისთანაც დაიწყო კიდეც მისი პრემიერლიგური ისტორია. გიგზის დებიუტი „იუნაიტედის" შემადგენლობაში 1991 წლის 2 მარტს „ოლდ ტრეფორდზე" მერსისაიდულ კლუბთან შედგა. ამას გარდა რაიანმა „იუნაიტედის" პრემიერლიგელ ბომბარდირთა შორის მეორე ადგილი წაართვა პოლ სქოულზს. მასზე მეტი ბურთი მხოლოდ **უეინ რუნის** აქვს გატანილი.

თავის მხრივ რეკორდებისკენ მიიწევს ლამპარდიც. „ჩელსის" ლეგენდამ „უიგანთან" ლონდონელთა მაისურით 198-ე ბურთი შეაგდო და პირველი ნახევარმცველი გახდა ისტორიაში, ვისაც ზედიზედ 10 სეზონია 10 და მეტი ბურთი აქვს გატანილი. ის მხოლოდ **ალან შირერს** ჩამორჩება, ვინც 11-ჯერ მიყოლებით მოახერხა ეს, მაგრამ შირერი ცენტრფორვარდი იყო. ბრაზილიის ნაკრებთან ბრწყინვალედ ჩატარებული მატჩის შემდეგ ინგლისური პრესა ალაპარაკდა, რომ „ჩელსი" მზადაა, კომპრომისზე წავიდეს და ფეხბურთელს ახალი კონტრაქტი შესთავაზოს. „სტემფორდ ბრიჯზე" გატარებული კიდევ ერთი წელიწადი გარანტია იქნება, რომ ლემპსი „ჩელსის" ყველა დროის ბომბარდირი გახდება. **ბობ ტემბლინგის** გასასწრებად მას სულ რაღაც 5 გოლი სჭირდება. ისე, გამორიცხული არც ის არის, რომ ფრენკმა ეს მიმდინარე სეზონშივე მოახერხოს.

### ბომბარდირები

19 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი)
17 - **ლუის სუარესი** (ლივერპული)
15 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი)
14 - **დემბა ბა** (ნიუკასლი/ჩელსი)

### ასისტენტები

9 - **ლუკას პოდოლსკი** (არსენალი), **ხუან მატა** (ჩელსი), **სტივენ ჯერარდი** (ლივერპული)
8 - **თეო უოლკოტი** (არსენალი), **ედენ აზარი** (ჩელსი)

### გოლი+პასი

26 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი) - 19+7
20 - **ლუის სუარესი** (ლივერპული) - 17+3
19 - **ხუან მატა** (ჩელსი) – 10+9, **თეო უოლკოტი** (არსენალი) 11+8
17 - **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი) - 10+7, **ლუკას პოდოლსკი** (არსენალი) – 8+9, მიგელ მიჩუ (სუონსი) – 15+2

### გაფრთხილებები

8 - **დინ უაიტჰედი** (სტოკ სიტი), **ჯეიმს პერჩი** (ნიუკასლი), **კრეიგ გარდნერი** (სანდერლენდი), **ლუის სუარესი** (ლივერპული)
7 – **ანხელ რანხელი** (სუონსი), **მარკ ნოუბლი** (ვესტ ჰემი), **მაიკ უილიამსონი** (ნიუკასლი), **მორგან შნაიდერლინი** (საუთჰემპტონი), **მეტიუ ლოუტონი** (ასტონ ვილა)

### სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი EA SPORTS-ის მიხედვით

1. **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი)
2. **ხუან მატა** (ჩელსი)
3. **პატრის ევრა** (მანჩესტერ იუნაიტედი)
4. **ლეიტონ ბეინსი** (ევერტონი)
5. **გარეთ ბეილი** (ტოტენჰემი)

### ზოგადი სტატისტიკა დღევანდელი დღისთვის

260 მატჩი
180 მოგება
80 ფრე
132 მშრალად შენახული კარები
25 უგოლო მატჩი
738 გოლი
6 ჰეთთრიკი
43 პენალტი
24 ჯარიმა
137 თავით
534 ფეხით (+სხვა)
2.84 საშუალო შედეგიანობა
34 ავტოგოლი
515 ფეხბურთელი
25.9 საშუალო ასაკი
335 ლეგიონერი
71 ეროვნების მოთამაშე
805 ყვითელი ბარათი
31 წითელი ბარათი
9 გაძევება ორი ყვითლით
22 გაძევება წითელი ბარათით

### ტურის მწვრთნელი

18 იანვარს „საუთჰემპტონის" პრეზიდენტმა **ნიკოლა კორტეზემ** ყველა გააოცა, როცა „სენ მერის" პუბლიკის საყვარელი სპეციალისტი **ნაიჯელ ედკინსი** პოსტიდან გაათავისუფლა და მის მაგივრად „ესპანიოლში" გამორჩეული შედეგების გარეშე მომუშავე **მაურისიო პოჩეტინიო** დანიშნა. 40 წლის არგენტინელს გულშემატკივარი ცივად შეხვდა, მით უფრო, რომ არც დებიუტი ყოფილა წარმატებული. „წმინდანები" კარგად თამაშობდნენ, მაგრამ 3 შეხვედრაში მხოლოდ 2 ქულა აიღეს. ყველაფერი შეიცვალა „მანჩესტერ სიტისთან" შეხვედრაში. მასპინძელმა გუნდმა გვიჩვენა ხარისხიც და 3 ქულაც ალალად დაიმსახურა. *„ეს გამარჯვება მნიშვნელოვანი ეტაპია ჩემს კარიერაში. დღეს ძალიან კარგად ვთამაშობდით, მეტოქეს არ მივეცით იმის საშუალება, რომ საკუთარი ფეხბურთი ეთამაშა. შედეგი ლოგიკურია. ეს ნიშნავს, რომ „უიგანთან", „იუნაიტედთან" და „ევერტონთან" ჩატარებული შეხვედრებიდან სათანადო დასკვნები გამოვიტანეთ,"* – განაცხადა მაურისიო პოჩეტინიომ.

### ტურის გმირი

ეჭვგარეშეა, რომ **გარეთ ბეილი** კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს. „ტოტენჰემის" წლევანდელ შედეგებში მისი როლის გადაფასება უბრალოდ შეუძლებელია. ასე იყო ამჯერადაც, 23 წლის უელსელმა „ნიუკასლს" ორი გოლი გაუტანა, თამაშის შემდეგ კი ჟურნალისტებთან საუბრისას მაინც საერთო გუნდურ თემაზე გააკეთა აქცენტი, ხოლო საკუთარ თავს საყვედური გამოუცხადა: *„შეცდომები კარგად გავაანალიზეთ, რისი წყალობითაც ბევრად უფრო ძლიერები გავხდით. სეზონის დასრულებამდე პოზიციების დათმობა დაუშვებელია. ამისთვის კი თავაუღებელი მუშაობაა საჭირო. დარწმუნებული ვარ, ჩვენი მონდომება შედეგს აუცილებლად მოიტანს და „ტოტენჰემი" ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს. პირადად რაც შემეხება, გაბრაზებული ვარ, რომ მიუხედავად შანსებისა, ჰეთთრიკი ვერ შევასრულე. ერთ მომენტი მარჯვენა ფეხით გავაფუჭე, რაც ნიშნავს, რომ ამ მხრივ სამუშაო მაქვს".*

### მომდევნო ტური

| 17 თებერვალი | |
|---|---|
| ლივერპული-სუონსი | 19:00 |
| **23 თებერვალი** | |
| ფულჰემი-სტოკ სიტი | 16:45 |
| არსენალი-ასტონ ვილა | 19:00 |
| ნორვიჩი-ევერტონი | 19:00 |
| ქუინზ პარკი-იუნაიტედი | 19:00 |
| რედინგი-უიგანი | 19:00 |
| ვესტ ბრომვიჩი-სანდერლ. | 19:00 |
| **24 თებერვალი** | |
| სიტი-ჩელსი | 17:30 |
| ნიუკასლი-საუთჰემპტონი | 17:30 |
| **25 თებერვალი** | |
| ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 00:00 |

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




ამბები

## ხელფასები ფინალური

ინგლისში ფინანსური ფეარპლეის იდეამ დიდი მოწონება დაიმსახურა. პრემიერლიგამ წევრ კლუბებს სახელფასო ჭერიც კი დაუდგინა. ვებგვერდმა FinancialFairPlay.co.uk-მ კი გადაწყვიტა, დაედგინა, თუ რომელი კლუბი რამდენს ხარჯავს სეზონის განმავლობაში ფეხბურთელების ხელფასებში. გრანდების შესახებ ინფორმაცია აქამდეც ცნობილი იყო. პირველად გვაქვს საშუალება, გავაცნოთ ოცივე კლუბის ფონდი. სიის შემდგენლები თავს იზღვევენ და აცხადებენ, რომ ზოგიერთი კლუბის მონაცემში შესაძლოა მცირე ცდომილება მაინც იყოს. მაშ ასე:

მანჩესტერ სიტი - 200 მლნ, ჩელსი – 172, მანჩესტერ იუნაიტედი – 162, არსენალი – 144, ლივერპული – 127, ტოტენჰემი – 93, ასტონ ვილა – 75, ქუინზ პარკი – 69, ნიუკასლი – 65, ევერტონი, სანდერლენდი – 62, სტოკ სიტი, ფულჰემი – 55, ვესტ ჰემი – 51, ვესტ ბრომვიჩი – 48, ნორვიჩი – 41, საუთჰემპტონი, უიგანი – 37, სუონსი. რედინგი – 34

## პრობლემის პოლიტიკური საფუძველი

„სუონსი" უქმეებზე „ქუინზ პარკის" განადგურების შემდეგ (4:1) 6-დღიან შეკრებაზე არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში გაფრინდა. ებრაული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, „გედების" 25 წლის ებრაელი თავდამსხმელი **იტაი შეხტერი** იძულებული გახდა, ბრიტანეთში დარჩენილიყო. წარმოშობის გამო მას ამ ქვეყანაში ჩასვლის უფლება არ აქვს. მეტიც, საამიროები ისრაელს, როგორც სახელმწიფოს, არ ცნობს და მის მოქალაქეებზე ვიზას ძნელად თუ გასცემს. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ებრაელ სპორტსმენებს პოლიტიკური მიზეზების გამო პრობლემები ექმნებათ. 2009 წელს ჩოგბურთელი **შაჰარ პეერი** დუბაის ტურნირზე იმ მიზეზით არ დაუშვეს, რომ ამ გზით ორგანიზატორებმა „დამსწრე საზოგადოების გაღიზიანება აიცილეს თავიდან". „გედებს" 17 თებერვალს „ლივერპულთან" მნიშვნელოვანი თამაში ელით, 24-ში კი ლიგის თასის ფინალში „ბრედფორდს" დაუპირისპირდებიან.

## ბენ არფა ბრუნდება

SkySports-ის ცნობით, „ნიუკასლის" 25 წლის ნახევარმცველმა **ატემ ბენ არფამ** სრული დატვირთვით ვარჯიში უკვე განაახლა და 24 თებერვალს „სენტ ჯეიმს პარკზე" „საუთჰემპტონთან" დაპირისპირებისთვის მზად იქნება. **ალან პარდიუს** თქმით, ის მოუთმენლად ელის მომდევნო ტურს, რადგან მიმდინარე სეზონში პირველად მიეცემა საშუალება, ყველა წამყვანი ფეხბურთელი ათამაშოს.

## სულშერის ამბიცია

ესპანურ „მარკასთან" ინტერვიუში „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილმა თავდამსხმელმა **ოლე-გუნარ სულშერმა** განაცხადა, რომ „ოლდ ტრეფორდზე" მთავარი მწვრთნელის რანგში დაბრუნებაზე სერიოზულად ფიქრობს. 39 წლის ნორვეგიელმა 11 წელი გაატარა „ეშმაკების" რიგებში და ამ პერიოდში 6-ჯერ გახდა პრემიერლიგის ჩემპიონი, 2-ჯერ ასოციაციის თასის გამარჯვებული, 3-ჯერ ინგლისის სუპერთასი მოიგო, თითოჯერ კი ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასი. მან სამწვრთნელო ასპარეზზეც გამოიჩინა თავი. „იუნაიტედის" დუბლებთან წარმატებული მუშაობის შემდეგ ვარსკვლავი მშობლიურმა კლუბმა „მიოლდემ" მიიწვია, სადაც ზედიზედ 2-ჯერ იმარჯვა ნორვეგიის ჩემპიონატში.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXIII ტურის შეჯამება

# არც მეტი და არც ნაკლები... ლეგენდა!

## შვილი მამის კვალზე, მილანი უკვე სტადიონზე დადის



რეალის ლეგენდები: პირი, ხენტო, რონალდო, ამანსიო, ბუტრაგენიო

**„რეალისთვის" და „ვალენსიასთვის" პრიმერას 23-ე ტური ჩემპიონთა ლიგისთვის გენერალური რეპეტიცია იყო, ორივე გუნდისთვის რეპეტიცია წარმატებული გამოდგა. აი, ევროპალიგისთვის უკანასკნელი რეპეტიციები ჩაუვარდათ მადრიდის „ატლეტიკოს" და „ლევანტეს". „ბარსა" კი უბრალოდ კოსმოსში გაიჭრა...**

### გაუსწარი ხენტოს და გახდი ლეგენდა

უცნაური რამ მოიმოქმედა „რეალის" ხელმძღვანელობამ - **კრიშტიანო რონალდო**, რომელიც ახლახან 28 წლის გახდა, ოფიციალურად „მონათლა" კლუბის ლეგენდად. „რეალის" მაისურით პორტუგალიელს 179 თამაშში 182 გოლი აქვს გატანილი. ამ ტურში მან **ხენტოს** გაუსწრო.

**მესი ვს რონი**

**ლიონელ მესიმ** 90 წუთი ითამაშა „ხეტაფესთან" 6:1 მოგებულ მატჩში. მან 7-ჯერ დაარტყა კარისკენ, 3-ჯერ ზუსტად, გაიტანა 1 გოლი და გააკეთა 1 საგოლე პასი. მესის წინააღმდეგ 3-ჯერ იუხეშეს.

**კრიშტიანო რონალდომ** 90 წუთი ითამაშა „სევილიასთან" 4:1 მოგებულ მატჩში. მან 8-ჯერ დაარტყა კარისკენ, 5-ჯერ ზუსტად, 3 გოლი გაიტანა. მის წინააღმდეგ 3-ჯერ იუხეშეს.

ჩვენს „ტურნირში" ერთხელ არ ეყო ჰეთ-თრიკი კრიშტიანოს ტურის მოსაგებად, თუმცა ამჯერად მისთვის ყველაფერი კარგად დასრულდა, პორტუგალიელმა ცოტათი შეამცირა სხვაობა: 6:10.

### 50 წლამდეო...

„ბარსელონას" გოლკიპერმა **ხოსე მანუელ პინტომ** კლუბთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა, რომელსაც ვადა 2014 წლის ზაფხულში უსრულდება.

37 წლის პინტო დიდ გულზეა და აცხადებს, რომ კიდევ დიდხანს შეუძლია მაღალ დონეზე თამაში: *„შრომამ ნაყოფი გამოიღო, ჩემი ახდენილი ოცნება 2014 წლამდე გაგრძელდება. ახლა თავს პატარა ბიჭივით ვგრძნობ, თითქოს, 37-ის კი არა, 18 წლის ვიყო. პუიოლივით არა ვარ, ფეხბურთის თამაშს 50 წლამდე ვაპირებ. რა თქმა უნდა, ამას მთელი სერიოზულობით არ ვამბობ, მაგრამ სანამ თავს მხნედ ვგრძნობ, საყვარელ საქმეს თავს არ დავანებებ. ახლა კი ვტკბები „ბარსელონაში" ყოფნის ყოველი დღით".*

### პატარა მილანი და დიდი კამპ ნოუ

ესპანეთის ჩემპიონატის 23-ე ტურის მატჩში „ბარსელონამ" 6:1 მოუგო „ხეტაფეს". მატჩის ბოლოს მე-6 გოლი **ტიაგო ალკანტარამ ჟერარდ პიკეს** გაატანინა, თანაგუნდელს ამის მიზეზიც ჰქონდა: ცხოვრებაში პირველად „კამპ ნოუზე" ჟერარდის ვაჟი, **მილან პიკე** იმყოფებოდა, რომელიც ქვეყანას 22 იანვარს მოევლინა.

პიკეს მეუღლე, კოლუმბიელი მომღერალი **შაკირა** შვილთან ერთად ტრიბუნაზე იმყოფებოდა და ჟერარდმაც გოლი (თითების კომბინაციით 22 „დახატა", როგორც 22-ში დაბადებულს) მას მიუძღვნა.

*„მილანის პირველი მისვლა სტადიონზე მამიკომ გოლით აღნიშნა"*, - დაწერა შაკირამ „ტვიტერზე" და ფოტოც გამოაქვეყნა. შეგახსენებთ, რომ ბაბუამ პატარა მილანი დაბადებისთანავე გააფორმა „ბარსელონას" კლუბის წევრად.

**ტურის ფრაზები**

**გრეგორიო მანსანო:** *„ჟერომელის გოლი მომავალში ბოლომდე ბრძოლისთვის კარგი სტიმულია. ვიცოდი, რომ რთული თამაში გველოდა. მეტოქემ სტანდარტული სიტუაციიდან გაიტანა, სადაც ჩვენ უფრო მეტი შანსი გვქონდა. საბოლოოდ, ბრძოლამ შედეგი გამოიღო, თუმცა ფრე ზე მეტს კი ვიმსახურებდით"*, - „მალიორკას" თავკაცი კლუბში მესამე დებიუტის შემდეგ.

**ხოსე ლუის მენდილიბარი:** *„საშინელი შეცდომა დავუშვით და გაგვითანაბრეს, ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ფეხბურთში ასეთები ხდება ხოლმე"*, - იშვიათად ხდება, რომ „ოსასუნას" მწვრთნელი წარუმატებლობას მსაჯს არ აბრალებს.

**პაკო ერერა:** *„ძალიან დასანანია, ასეთ დროს რომ გოლს გაუშვებ, თუმცა ბიჭებს გარჯას და მონდომებას ვერ დავუწუნებ. მეორე ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ, აგერ უკვე მერამდენედ, ბოლო წუთებზე გოლი გავუშვით"*, - „სელტას" მწვრთნელისთვის იმედი ბოლოს კვდება ხოლმე

**ერნესტო ვალვერდე:** *„მეტოქის ძალიან კარგად მესმის, ამ დროს გოლს რომ გაუშვებ, ორმაგად დასანანია. მატჩი უკვე 0:0 მთავრდებოდა"*, - პსჟ-ზე მოფიქრალი „ვალენსიას" თავკაცი.

**ხუან იგნასიო მარტინესი:** *„ინდივიდუალურად და გუნდურადაც მეტოქეზე კარგად ვითამაშეთ, რაც საბოლოო ანგარიშში არ აისახა"*, - „ლევანტეს" მწვრთნელს გუნდი კრიზისში ჰყავს.

**მანუელ პელეგრინი:** *„ამ სტადიონზე თამაში ნებისმიერ გუნდს უჭირს. პირველი ტაიმი თანაბარი იყო, მეორეში კი დიდებული ფეხბურთი ვითამაშეთ, პირველ რიგში დაცვაში"*, - „მალაგას" ჩილელი მწვრთნელი.

**აიტორ კარანკა:** *„ქარიმ ბენზემა და გონსალო იგუაინი ერთად, არ უნდა იყოს ურიგო ვარიანტი. კრიშტიანომ იცის, რა მნიშვნელოვანი მატჩი გველის წინ"* - ბჭობს **ჟოზე მოურინიოს** ასისტენტი.

**უნაი ემერი:** *„ხანდახან უბრალოდ ვერ ვცნობდი ჩემს გუნდს"*, „სევილიას" თავკაცმა პირველად წააგო.

**დომინგუშ პასიენსია:** *„არა აქვს მნიშვნელობა, როგორ გადაწყდება ჩემი საკითხი, მთავარია, გუნდს ეშველოს რამე"*, - „დეპორტივოდან" მოხსნამდე საათებით ადრე.

**ლუკას ალკარასი:** *„ანგარიში თვალს ატყუებს, ამხელა უპირატესობა ნამდვილად არ გვქონია"*, „გრანადას" თითქმის დებიუტანტი მწვრთნელი.

**ანდონი სუბისარეტა:** *„დღეს ჩვენ მოედანზე გვყავდა ნამდვილი ჯადოქარი, ფორთოხლისფერი ბუცებით და 8-ნომრიანი მაისურით. ახლა ნიუ იორკში მივფრინავ, ტიტოს მოსანახულებლად და ფეხბურთზე სალაპარაკოდ"*, - „ბარსას" სპორტული დირექტორი აღფრთოვანებულია.

**ლუის გარსია:** *„ჩვენ ორ კლუბს შორის სხვაობა კი არა უფსკრულია"*, მწარე სიმართლე „ხეტაფეს" მწვრთნელის პირით.

**ტურის საუკეთესო გოლი**

ნელსონ ვალდესი (ვალენსია) „სელტას" კარში

**ტურის საუკეთესო პასი**

ანდრეს ინიესტა (ბარსელონა) საგოლე პასი ალექსის სანჩესს.

**ტურის სტატისტიკა**

31 გოლი ტურში (3,1 მატჩში). 3 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 2 ფრედ დასრულდა და 5 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 57 ყვითელი ბარათი 6 წითელი დაარიგეს.

ჰეთ-თრიკი: კრიშტიანო რონალდო (რეალი)
დუბლი: ისკო (მალაგა)
*ვერდიუმ (ესპანიოლი) ვერ გაიტანა პენალტი (ბილბაოსთან)*
ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: ოლივერ ტორესი (ატლეტიკო, 18 წლის).
მეტი მაყურებელი: 85 610 - „კამპ ნოუ"
ნაკლები მაყურებელი: 9500 - „ტერესარივერო"
მეტი დარტყმა კარისკენ: 22 - ბეტისი
მეტი დარტყმა კარში: 10 - რეალი
მეტი ჯარიმა: 19 - რეალი, სევილია
მეტი კუთხური: 12 - მალიორკა
მეტი თამაშგარე: 10 - ვალენსია
მეტი ბურთის ფლობა: 74% - ბარსელონა

**მომდევნო ტური**

15 თებერვალი: სევილია-დეპორტივო.
16 თებერვალი: ხეტაფე-სელტა, მალაგა-ბილბაო, გრანადა-ბარსელონა, ოსასუნა-სარაგოსა.
17 თებერვალი: რეალ სოსიედადი-ლევანტე, ვალენსია-მალიორკა, ვალიადოლიდი-ატლეტიკო, ესპანიოლი-ბეტისი, რეალი-რაიო ვალეკანო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


შაკირა და მილან პიკე კამპ ნოუზე




ლეო და კრიშტიანო დაუბრუნდნენ სიმბოლურ ნაკრებს, არგენტინელი მე-17-ედ, პორტუგალიელი - მეათედ. სიმბოლურში ორი დებიუტანტია: ხორდი ამატი და ალჰასან ბანგურა

**ბომბარდირები**

35 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
24- კრიშტიანო რონალდო (რეალი)
19 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

**ასისტენტები**

13 - ანდრეს ინიესტა (ბარსელონა)
9 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
9 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)

**გოლი+პასი**

44 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
28 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
20 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

**მე-12 ფეხბურთელი**

**ანტუან გრიზმანი (სოსიედადი)**

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით






ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● რომა


პაბლო დანიელ ოსვალდო

# ოსვალდო ტრანსფერზე?

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „რომას" მესვეურები **პაბლო დანიელ ოსვალდოს** გასხვისებაზე ფიქრობენ და ამ საქმის მოგვარება ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში სურთ. 27 წლის ფორვარდი „ჯალოროსის" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია, მაგრამ მძიმე ხასიათი აქვს და ხშირად ეხვევა კონფლიქტებში. გასულ სეზონში, **ერიკ ლამელას** აუხირდა და ერთ-ერთი მატჩის შემდეგ, ახალგაზრდა არგენტინელს კეფაში მოსცხო. როგორც ჩანს, ბოლო წვეთი სერია A-ს გასულ ტურში მისი თავნებობა და თერთმეტმეტრიანის შესრულება გახლდათ მაშინ, როდესაც მოედანზე **ფრანჩესკო ტოტიც** იყო.

მართალია, ტოტიმ ოსვალდო გაამხნევა და მასმედიის კრიტიკისგან დაიცვა, მაგრამ როგორც ამბობენ, ეს ყველაფერი ფარსი იყო, გასახდელში კი ფეხბურთელებს შორის სერიოზული დაპირისპირება მოხდა. ჩესკოსთან შეტაკება რომ კარგით არაფრით სრულდება, „ტრიგორიაზე" დიდი ხანია იციან და გამომდინარე აქედან, ოსვალდოს ტრანსფერზე დაყენებასთან დაკავშირებით გავრცელებული ცნობები არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული. ითქვა ისიც, რომ ოსვალდოს ფასი 20 მილიონი ევრო იქნება.

**ლაშა ნიკლაური**

● მწვრთნელი

# მიხაილოვიჩი ინტერზე ოცნებობს

**სინიშა მიხაილოვიჩი** სერბეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელია, იქამდე კი „ფიორენტინას" ედგა სათავეში და საერთოდაც, თითქმის მთელი საფეხბურთო და სამწვრთნელო კარიერა იტალიაში აქვს გატარებული. როგორც 43 წლის სპეციალისტმა განაცხადა, ძალიან უნდა აპენინებზე დაბრუნება და ერთ მშვენიერ დღეს, სურვილს აისრულებს კიდეც. განსაკუთრებით „ინტერისკენ" მიუწევს გული, სადაც 2006-2008 წლებში **რობერტო მანჩინის** ასისტენტად მუშაობდა. მოვუსმინოთ სინიშას:

*„ახლო წარსულში, „ინტერის" მთავარ მწვრთნელად დანიშვნის ყველაზე რეალური კანდიდატი ვიყავი, მაგრამ მაშინ მილანელებმა არჩევანი სხვაზე შეაჩერეს, მე კი „ფიორენტინაში" ალმოვჩნდი. იმედია, დადგება ის დღე, როდესაც მილანურ გრანდს ჩავუდგები სათავეში, რაც ჩემი სამწვრთნელო კარიერის მწვერვალი იქნება. „ნერაძურის" ჩემს გულში განსაკუთრებული ადგილი უკავია და ეს არასდროს დამიმალავს".*


სინიშა მიხაილოვიჩი

**ლაშა ნიკლაური**

● მილანი

# ელ შაარავი პარმასთან მატჩს გამოტოვებს

„კორიერე დელო სპორტის" ინფორმაციით, „კალიარი"-"მილანის" შეხვედრაში **სტეფან ელ შაარავიმ** მსუბუქი ტრავმა მიიღო, რის გამოც სერია A-ს მომდევნო ტურის გამოტოვება მოუწევს. აქვე ვთქვათ, რომ ლომბარდიულ გრანდს „პარმასთან" მოუწევს შეტოქება. აღნიშნულ საკითხზე „როსონერის" ექიმმა გაზეთა კომენტარი და შემდეგი განაცხადა:

„ელ შაარავის მსუბუქი დაზიანება აქვს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, „პარმასთან" ვერ ითამაშებს. შესაძლოა, თამაშამდე მომჯობინდეს კიდეც, მაგრამ გუნდის მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, მას ერთმატჩიანი უქმობა გამოუწერეს".

„მილანის" მწვრთნელთა გადაწყვეტილება სულაც არაა გასაკვირი, რადგან „პარმასთან" მატჩის შემდეგ, ლომბარდიულ გრანდს „ბარსელონასთან" მოუწევს ჩემპიონთა ლიგაზე შეჭიდება, რასაც სერია A-ს ეგიდით დაგეგმილი მილანური დერბი მოჰყვება. მოკლედ, „როსონერის" ორი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი მატჩის გამართვა მოუწევს და სტეფანს დასვენება ნამდვილად არ აწყენს, თუნდაც სრულიად ჯანმრთელი იყოს.

ამასობაში, ელ შაარავიმ პრესასთან გასაუბრება გადაწყვიტა და კრიტიკოსებს მიმართა: *„მარიო ბალოტელისთან ერთად, მხოლოდ ორი მატჩი ჩავატარე და უკვე კრიტიკოსები გამოგვიჩნდნენ. შესაძლოა, ეს მატჩები უმაღლეს დონეზე ვერ ჩავატარეთ, მაგრამ არც განგაშის ატეხა ღირს. არის კომპონენტები, რომლებშიც მოსამატებელი გვაქვს, მაგრამ ასეთი კრიტიკა მაინც გადამეტებულია. მალე მოვუმატებთ და იმედია, კრიტიკოსებიც გაჩუმდებიან".*

**ლაშა ნიკლაური**


სტეფან ელ შაარავი

## ქართული სპორტი

● სამინისტრო. პრესკონფერენცია

# მინისტრმა ანგარიში ჩააბარა

## ყიფიანი ზეწოლას უარყოფს

**გუშინ** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლევან ყიფიანმა** პრესკონფერენცია გამართა, სადაც ჟურნალისტთა წინაშე სამთვიანი მუშაობის ანგარიშითაც წარდგა და სამომავლო გეგმებზეც გვესაუბრა. შეხვედრას მისი მოადგილეები - **ზურაბ აზმაიფარაშვილი, თამაზ თევზაძე** და **რატი ბრეგაძეც** ესწრებოდნენ.

*„სამი თვე თითქოს ძალიან მოკლე დროა, მაგრამ საზოგადოების გადასაწყვეტია, რამდენად შევძელით იმ ნაბიჯების გადადგმა, რომ ჩვენი სამინისტრო სწორ გზაზე შემდგარიყო.*

*დავიწყებ იმით, რომ სამინისტრო არ გახლდათ იმ ფუნქციების შემსრულებელი, რაც ევალებოდა სპორტისა თუ ახალგაზრდობის განვითარების კუთხით. მოსვლისთანავე გადავწყვიტეთ ძველი მანკიერი თვისებებისგან გათავისუფლება, რათა სამინისტრო გამხდარიყო ყველა მწვრთნელის, სპორტსმენის თუ სპორტული ორგანიზაციის შეხედულებების გამტარებელი. ეს 3 თვე არ იყო იოლი პერიოდი და შეძლებისდაგვარად შევეცადეთ, გადაგველახა აქ დახვედრილი პრობლემები. ჩვენ მუდამ ხაზს ვუსვამდით, რომ სპორტი იქნებოდა პოლიტიკისგან თავისუფალი და ამ მიმართულებით ვმუშაობთ... გვესმის, რომ ეს არაა საკმარისი, რადგან სპორტი მუდმივმოქმედი ორგანიზმია, ის ვითარდება, არაა სტაგნაციაში მოქცეული და მიზნად დავისახეთ მუშაობის სტილის შეცვლა. ამიტომ საქმიანობა სპორტულ ფედერაციებთან ურთიერთობის დამყარებით დავიწყეთ. ესეც ძალიან რთული პროცესია, რადგან იქ მომუშავე ადამიანები მიჩვეულები იყვნენ სხვადასხვანაირ მიდგომებს, დირექტივებს. მე თავიდანვე განვაცხადე, რომ ჩვენი მხრიდან ჩარევა არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რამაც მათი გაკვირვება გამოიწვია. ეს ურთიერთობები მათთან დღესაც გრძელდება და ისიც დავინახეთ, რომ ფედერაციების ნაწილი გაუმართავია. მათ სჭირდებათ სამართლებრივი რეფორმები, რაც ჯერ კანონმდებლობაში უნდა აისახოს და მერე გატარდეს ცხოვრებაში. სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი მესიჯი ისაა, რომ აბსოლუტურად გამჭვირვალე ვართ - დაწყებული ჩვენი საიტიდან, დამთავრებული თითოეული თანამშრომლით. ჩვენ არც მწვავე კითხვებს გავურბივართ და მზად ვართ ამისთვის. სწორედ ამიტომ წარვდექით დღეს თქვენ წინაშე ასე ერთი გუნდით, რათა ერთობლივად გავცეთ პასუხი დასმულ კითხვებს, რათა არ იყოს დახურული და საჩოთირო თემები"* - გვითხრა შეხვედრის დასაწყისში ყიფიანმა.

ჩაურევლობაზე აქცენტის მიუხედავად, მას მაინც მოუწია ამ თემაზე ხანგრძლივად საუბარმა, რადგან პრესკონფერენციის დიდი ნაწილი ამას დაეთმო. ჭიდაობის ფედერაციაში განვითარებული მოვლენები, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული უსიამოვნო თემები, დაპირისპირება კრივის ფედერაციაში - ეს საკითხები სპორტულ სამყაროში აქტუალური სწორედ ყიფიანის მინისტრად მოსვლის შემდეგ გახდა და აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ჟურნალისტთა ინტერესი, თუმცა კი მინისტრმა ეს სენსაციების ძებნის სურვილად შეაფასა. მან რამდენჯერმე განმარტა, რომ ფედერაციებზე მათი მხრიდან არც პოლიტიკური ზეწოლა ყოფილა და არც მათ მუშაობაში ჩარეულან. ჭიდაობის ფედერაციასთან დაკავშირებით მინისტრმა განმარტა, რომ სამინისტრო მხარს უჭერს თავისუფალი არჩევნებით მოსულ პრეზიდენტს, თუმცა დასძინა, ორივე მხარემ გადაამეტა უფლებამოსილებასო. კრივის ფედერაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მიმდინარე პროცესებში ვერანაირად ვერ ჩაერეოდა, ხოლო ფეხბურთელებთან შეხვედრა არ შეიძლება, ჩარევად შეფასდეს, რადგან როგორც მინისტრს, უფლება მაქვს, ორივე მხარე მოვიწვიო მოსალაპარაკებლადო. *„ჩარევა ისაა, ადრე რომ მოიყვანდნენ ამ შენობაში, იარაღს დაუდებდნენ და პირდაპირ ეუბნებოდნენ, ვინ სად ინიშნებოდა. მსგავსი ჩვენს სამინისტროში არც მომხდარა და არც მოხდება"* - განაცხადა ყიფიანმა. იმის დასადასტურებად, რომ არ ერევა პრეზიდენტების არჩევნებში, მან მძლეოსნობის ფედერაციის მაგალითი მოიყვანა, სადაც ისევ ძველი მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ მოყვანილი **ალექსი ახვლედიანია** პრეზიდენტად.

ეს თემა მოგვიანებით თევზაძემაც გააგრძელა, რომელმაც აღნიშნა, რომ თავის დროზე მათ მართლაც მოუწოდეს ფედერაციებს ვადამდელი არჩევნების ჩატარებისკენ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ მოწოდება-რეკომენდაცია და არა დაძალება, რაც უმეტესობამ გაითვალისწინა, მაგრამ - არა ყველამ. ამ რეკომენდაციას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში მიღებული პრაქტიკაა, რომ ფედერაციების არჩევნები ემთხვევა ოლიმპიური ციკლის დასასრულს; ვადამდელი არჩევნები უწევდათ შუა ოლიმპიურ ციკლში, ამ დროს ფედერაციის ხელმძღვანელობის შეცვლა კი თამაშებისთვის მზადების პროცესში წყვეტას გამოიწვევდა; მკვეთრად განსაზღვრული ოთხწლიანი ციკლი უმჯობესია მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად... გუშინ არაერთხელ ითქვა ისიც, რომ ამჯერად ფედერაციებში არჩევნები მართლაც ღიად, გამჭვირვალედ და დემოკრატიულად ჩატარდა, თორემ ადრე ამ სახელით ინილბებოდა, პრეზიდენტის ვინაობა კი წინასწარ იყო გარკვეულიო. ამასთან, თევზაძემ კიდევ ერთხელ მოუწოდა ფედერაციებს დებულებების გამართვის, იურიდიულად სრულყოფისკენ. საერთოდ, კანონი სპორტის შესახებ და მისი ნაკლოვანებები გუშინდელი პრესკონფერენციის მთავარ თემად იქცა - ყიფიანმაც და მისმა მოადგილეებმაც არაერთხელ დაასახელეს ის მრავალი ხარვეზის მასტიმულირებლად და ასევე არაერთხელ აღნიშნეს ამ კანონის დახვეწის აუცილებლობა.

უყურადღებოდ არც სამინისტროს სხვა მიმართულებები - ახალგაზრდობის თემატიკა, გატარებულ-გასატარებელი რეფორმები და სხვა თემები დარჩენილა. ამ კონტექსტში ბრეგაძემაც აღნიშნა კანონის ლაფსუსები, რის გამოც უფლებები ერთმანეთში იყო არეული. მისი თქმით, ბევრი რამე დახვდათ გამოსასწორებელი და ახლა ამაზე მუშაობენ. თუმცა ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტა-



მენტი სხვა კუთხითაც ზრუნავს და 12 პროექტია შემუშავებული მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის, რეგიონებში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე თუ უცხოეთში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარების, ეთნიკური უმცირესობების თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაციის, არასრულწლოვანი პატიმრების რესოციალიზაციის, სტუდენტური თვითმმართველობების მხარდაჭერის, საერთაშორისო თანამშრომლობის, სამოქალაქო და არაფორმალური განათლების, ცხოვრების ჯანსაღი წესისა და კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვის შესახებ. ამათგან სტუდენტური თვითმმართველობების გაძლიერების მხარდამჭერი პროგრამის რეალიზება უკვე დაიწყო და ითქვა, რომ იქაც ჭეშმარიტად თავისუფალი არჩევნები ჩატარდება და ხელისუფლება ადრინდელივით აღარ ჩაერევა ამ პროცესში. *„ამიერიდან ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის კომპეტენციაში შევლენ 18-წლამდე ასაკის მოზარდები, 18-დან 26-წლამდელები - უშუალოდ ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტში, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი კი დაკავებული იქნება ახალგაზრდული ორგანიზაციების დაფინანსებაზე შესაბამისი მიმართულებით"* - განმარტა ბრეგაძემ მის სფეროში შემავალი რეფორმები. აზმაიფარაშვილმა ამ გრანტების განაწილების სისტემის შეცვლაზეც ისაუბრა, რადგან ძველს თურმე ბევრი ხარვეზი ჰქონდა - იყო დროში შეზღუდული, რაც არასამთავრობოებს ცაიტნოტში აგდებდა და სამინისტროს მაშინდელ ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევდა, მათთვის სასურველ სუბიექტებს მიეღოთ გრანტიო, თქვა მან. ამიერიდან გრანტების გაცემის სისტემაც უფრო გამარტივდება და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდება, თან შეიქმნება კომისია, რომელიც ახალშექმნილ არასამთავრობოებს პროექტების შედგენაში დაეხმარება... ამის გარდა, სამინისტროში სხვა სტრუქტურული რეფორმებიც იგეგმება - იქმნება ანალიტიკური დეპარტამენტი, რომელიც სამინისტროში შესულ ყველა ინფორმაციას დაამუშავებს, რაც მოასწესრიგებს აღრიცხვიანობას და ასე შემდეგ, რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნება ინფრასტრუქტურის მონიტორინგის სამმართველო, შეიქმნა მრჩეველთა საბჭო, რომელშიც გამოჩენილი ვეტერანი სპორტსმენები შეიყვანეს, გაორმაგდა იურიდიული დეპარტამენტის საშტატო ერთეული, რომელშიც ახლა 6 თანამშრომელია, რომელთაგანაც 3 სპორტის, 3 კი ახალგაზრდული სფეროს მიმართულებით იმუშავებს და სხვა. ყიფიანმა პრესკონფერენციის დასასრულს ერთი სასიამოვნო ამბავიც გვაცნობა - დაახლოებით თვე-ნახევარში საქართველოში რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ ავსტრალიიდან კვლავ ჩამოვა გასული საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ვიქტორ სანეევი**. ოღონდ ჯერ არაა გარკვეული, დარჩება თუ არა ის საქართველოში - ეს მასზეა დამოკიდებული, თორემ ქართული მხარე ყველანაირად შეუწყობს ხელს.

**ირაკლი თავაძე**

● დიდი სპორტის კარიბჭესთან

# ნიკოლოზ ქუმსიაშვილი

ჭადრაკი

**დაიბადა** 1997 წლის 26 აგვისტოს თბილისში.

**სწავლობს** ვლადიმერ კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საჯარო სკოლა-პანსიონის მე-10 კლასში.

**ჭადრაკში** მეცადინეობა დაიწყო 2001 წლიდან მაკა ხანთაძის ხელმძღვანელობით. მერე მაია ლომინეიშვილი ავარჯიშებდა. მეორე წელიწადია, ხვიჩა სუპატაშვილთან იმაღლებს ოსტატობას.

**შედეგები.** პირველად საქართველოს ჩემპიონი გახდა 2005 წელს რვაწლიანებში.

2007 წელს მსგავსი ტიტული მოიპოვა 10-წლიანებში.

საქართველოს პირველობების ოთხგზის პრიზიორია თანატოლებში. შარშან 18-წლიანებში მე-2 ადგილი დაიკავა,



წლეულს კი ოქროს მედალი და მსოფლიო პირველობის საგზური დაიმსახურა. 2009 წელს ევროპის პირველობაზე მე-5 ადგილი დაიკავა. რამდენიმე ტურნირისა და მემორიალის გამარჯვებულია 2007 და 2009 წლებში.

საჭადრაკო კომპოზიციების ამოხსნაში 14-წლიანებში პირველი ადგილი და 16-წლიანებში მე-2 ადგილი დაიკავა.

**უყვარს** ფეხბურთი. „ლივერპულის" გულშემატკივარია.

**გატაცებულია** ფიზიკა-მათემატიკით. შარშანდელი მათემატიკის რესპუბლიკური ოლიმპიადის ფინალისტია.

**ჰობი.** სამხედრო თვითმფრინავების კონსტრუირება.

**კერპი.** გარი კასპაროვი. მსოფლიოს მე-13 ჩემპიონთან ერთდროულ სეანსში უთამაშია. მისი წიგნიც აქვს ავტოგრაფით.

**მიზანი.** ორ წელიწადში დიდოსტატობის მიღწევა და ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა.

**ვაჟა დანელია**

ოლიმპიზმი

# 2020 წლის ოლიმპიადაზე ჭიდაობა, ალბათ, არ იქნება

## საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ჭიდაობას სარმას გამოსდებს?

**გუშინ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა ისეთი რეკომენდაცია მიიღო, რომელმაც შესაძლოა, გვარიანად შეცვალოს ქართული სპორტის მომავალი - თითქმის გადაწყვეტილია, რომ 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე აღარ იქნება წარმოდგენილი ერთ-ერთი უძველესი სპორტის სახეობა - ჭიდაობა.**

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიას რეკომენდაცია გაეწია, რომ 2020 წლის თამაშებში დამტკიცდეს 25 სპორტის სახეობა. ესენია: მძლეოსნობა, ნიჩბოსნობა, ბადმინტონი, კალათბურთი, კრივი, კანოე, ველოსპორტი, ცხენოსნობა, ფარიკაობა, ფეხბურთი, ტანვარჯიში, ძალოსნობა, ხელბურთი, ბალახის ჰოკეი, ძიუდო, ცურვა, თანამედროვე ხუთჭიდი, ტაეკვონდო, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, სროლა, მშვილდოსნობა, ტრიატლონი, აფროსნობა და ფრენბურთი.

სოკ-ის აღმასკომის რეკომენდაციით, 25 ძირეულ სახეობათა სიაში აღარ არის ჭიდაობა (არც თავისუფალი, არც ბერძნულ-რომაული და არც ქალთა ჭიდაობა), რომელიც ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) ქოლგის ქვეშაა. ჭიდაობას მაინც აქვს შანსი, მოხვდეს 2020 წლის ოლიმპიადაზე, მაგრამ ამ შანსს თეორიულიც კი ძნელად ეთქმის: ჭიდაობა დაემატა 7 სხვა სახეობას (ბეისბოლი/სოფთბოლი, კარატე, გორგოლაჭებიანი სპორტი, სპორტული მეკლდეურობა, სქვოში, ვეიკბორდინგი და ვუშუ), რომელთაგანაც სოკ-ის სესია ერთს აირჩევს.

მაისში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია სანკტ პეტერბურგში გაიმართება და რვავე კანდიდატი სახეობა იქ წარადგენს თავის პრეზენტაციას. მოკლედ, ჭიდაობას შესარჩევის გავლა მოუწევს, როგორც „ევროსპორტის" რეპორტიორი წერს, აქაც ამ სახეობის შანსი მწირია, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ თავად სოკ-ის აღმასკომის რეკომენდაციით ილებენ ძირეული ოლიმპიური სახეობების სიიდან.

2009 წელს 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე დამატებით შვიდკაცა რაგბი და გოლფი ჩართეს ოლიმპიურ პროგრამაში. ეს ორი სახეობა 2020 წლის ოლიმპიადაზეც იქნება.

სოკ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა **მარკ ადამსმა** აღიარა, რომ ჭიდაობის ამოლება ძირეული სახეობების სიიდან არ იყო იოლად მისაღები გადაწყვეტილება. *„ჩვენ დეტალურად განვიხილეთ თითოეული სახეობა 26-დან და მხოლოდ ამის შემდეგ მივედით დასკვნამდე"*, - განაცხადა მან.

ოფიციალურად არავის უთქვამს, თუმცა ჭიდაობის სუსტი პოზიცია რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული - ის ნაკლებად პოპულარულია, არ არის ბევრ ქვეყანაში განვითარებული (ანუ სპორტის გეოგრაფია მოიკოჭლებს), ნაკლებად ტელეგენურია და ჩაფლულია კორუფციაში. ჭიდაობა ამოიღეს სიიდან, თუმცა იქ რჩება ისეთი სახოებები, როგორიცაა ტაეკვონდო და მაგიდის ჩოგბურთი.

საბოლოო ვერდიქტს ჭიდაობას ბუენოს-აირესის სესიაზე, სექტემბერში გამოუტანენ. იქვე გადაწყდება მასპინძელი ქალაქიც - 2020 წლის თამაშების მასპინძლობა სტამბოლს (თურქეთი), მადრიდს (ესპანეთი) და ტოკიოს (იაპონია) სურთ.

თქმა არ უნდა, ყველაზე მეტად ეს გადაწყვეტილება პოსტსაბჭოთა სივრცეს დაარტყამს: რუსეთს და კავკასიის ქვეყნებს. ბუნებრივია, პირველ რიგში, ჩვენს ქვეყანას...

რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **მიხეილ მამიაშვილი** მაინც ოპტიმისტურად არის განწყობილი: *„ჩემი ინფორმაციით, ჭიდაობა 99,99%-ით დარჩება ოლიმპიურ ოჯახში. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ფილას ძალიან ბევრი, რადიკალური ცვლილების განხორციელება მოუწევს".*

*„ეს ძალიან დასანანი გადაწყვეტილებაა, ჭიდაობა ოლიმპიადაზე თავიდანვე იყო"*, - განაცხადა ცნობილმა ინდოელმა მწვრთნელმა **სატპალ სინგჰმა**. როიტერის სააგენტო დაუკავშირდა ფილას, თუმცა ამ ორგანიზაციაში კომენტარზე თავი შეიკავეს. ლონდონის ოლიმპიადაზე ჭიდაობის სამივე სახეობაში 344 სპორტსმენი გამოვიდა.




### ქართული ზარალი - მედლების ნახევარზე მეტი

რამდენად დააზარალებს ეს გადაწყვეტილება ქართულ სპორტს, თუკი ჭიდაობას ველარ ვიხილავთ ოლიმპიადაზე? მას მერე, რაც საქართველო დამოუკიდებლად მონაწილეობს ოლიმპიადებზე, ჩვენმა სპორტსმენებმა ჯამში 25 მედალი მოიპოვეს: 6 ოქრო, 5 ვერცხლი და 14 ბრინჯაო. აქედან 15 მედალი ჭიდაობაზე მოდის: ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ **მანუჩარ კვირკველია** (პეკინი 2008) და **რევაზ მინდორაშვილი** (პეკინი 2008). ვერცხლის მედლები მოიპოვეს: **რამაზ ნოზაძემ** (ათენი 2004), **რევაზ ლაშხმა** (ლონდონი 2012), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** (ლონდონი 2012) და **დავით მოძმანაშვილმა** (ლონდონი 2012). ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ: **ლუკა კურტანიძეს** (ატლანტა 1996 და სიდნეი 2000), **აკაკი ჩაჩუას** (სიდნეი 2000), **მუხრან ვახტანგაძეს** (სიდნეი 2000), **ოთარ თუშიშვილს** (პეკინი 2008), **გიორგი გოგშელიძეს** (პეკინი 2008 და ლონდონი 2012), **მანუჩარ ცხადაიას** (ლონდონი 2012) და **დავით მარსაგიშვილს** (ლონდონი 2012).

ჩვენი გამოთვლით, ოლიმპიური მედლების 56% ჭიდაობის სახეობებზე მოდის - ანუ ქართული ზარალი ძალიან დიდი იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი



ბაადურ ჯობავა

# აეროფლოტმა სტარტი აიღო

მოსკოვში გუშინ დაიწყო ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი „აეროფლოტი-2013", რომლის საერთო საპრიზო ფონდია 150.000 ამერიკული დოლარი. როგორც გაუწყეთ, წლევანდელი შეჯიბრება უწინდელი (კლასიკური ჭადრაკი) 11 ასპარეზობისგან განსხვავებით, შეზღუდული დროის ფორმატით გაიმართება. რაპიდში (სწრაფი ჭადრაკი) თითოეულ მოთამაშეს პარტიისთვის ეძლევა 15 წუთი ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით. 299 მონაწილიდან შეირჩევა 32 საუკეთესო, რომელთაგან 15 თებერვალს ნოკაუტ-ტურნირი რვა ფინალისტს გამოავლენს. ისინი ორგანიზატორებისგან მოწვეულ მაღალი რეიტინგის მქონე რვა დიდოსტატთან (შვიდის ვინაობა ცნობილია. ესენი არიან: რუსები - ალექსანდრ გრიშჩუკი, პიოტრ სვიდლერი, დმიტრი ანდრეიკინი, სერგეი კარიაკინი, იან ნეპომნიაშჩი, ჩინელი ვან ჰაო და აზერბაიჯანელი შაჰრიარ მამედიაროვი) ერთად მთავარი პრიზისთვის 16-17 თებერვალს იბრძოლებენ ნოკაუტსისტემით. თითოეულ რაუნდში მეტოქეები ორ-ორ პარტიას ითამაშებენ. რაპიდში საპრიზო ფონდია 72.000 დოლარი, პირველი ადგილისთვის განკუთვნილია 16.000 დოლარი, მე-2 ადგილი - 10.000, მესამე-მეოთხე: 6000-6000, მეხუთე-მერვე: 3500-3500, მეცხრე-მეთექვსმეტე ადგილებისთვის 2500-2500 დოლარი.

რაც შეეხება ბლიცს (თითოეული პარტიისთვის 3 წუთი + ყოველი სვლისთვის 2 წამი), 14 თებერვალს 9 შეწყვილებული ტური გაიმართება. საპრიზო ფონდია 50.000 დოლარი (I ადგილი - 10.000, II - 7.000, III - 5500, IV - 4000, V - 3500 დოლარი. სულ 30 ფულადი ჯილდო გაიცემა.

გუშინ რაპიდში 4 ტური გაიმართა. მერვედფინალში მოსახვედრად იბრძვიან 2700-იანი კლუბის წევრები - გატა კამსკი (აშშ, 2760), ლორენ ფრესინე (საფრანგეთი, 2750), ანტონ კორობოვი (უკრაინა, 2733), ბაადურ ჯობავა (საქართველო, 2714), რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი, 2709), ასევე, ქალთა შორის ორ-ორგზის ევროპის ჩემპიონები - ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) და კატერინა ლაგნო (უკრაინა), ევროპის ჩემპიონები - ელმირა სკრიპჩენკო (საფრანგეთი), ნატალია ჟუკოვა (უკრაინა) და სხვები. **ბაადურ ჯობავამ** სტარტზე სერგეი კალუგინს სძლია, მეორეში კი ჰოვანეს გაბუზიანს დაუზავდა. მესამე ტურში ილდარ იბრაგიმოვს მოუგო, მეოთხეში კი კირილ ბრიზგალინს შეუთანხმდა ყაიმზე. ჩვენებურს 4 ტურის შემდეგ 3 ქულა აქვთ. 4-4 ქულით კი ანტონ კორობოვი, პაველ ელიანოვი, რაუფ მამედოვი, სანან სიუგიროვი, ერნესტო ინარკიევი და სურია განული დაწინაურდნენ. ანა გავაშელმა ორი პარტია წააგო, იური ბაკანოვს აჯობა, დიდოსტატ არტიომ ტიმოფეევს მშვიდობიანად დაშორდა და 1,5 ქულას მოუყარა თავი.

დღეს ხუთი ტურის პარტიები გაიმართება. ჯობავა მუსტაფა იილმაზს შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

# სამნი ორი საგზურისთვის

ყაზახეთის დედაქალაქი ასტანა 2 მარტიდან ქალთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში 10 ქვეყნის ნაკრები ჩაებმება, მათ შორის - შარშანდელი ტურნირის ბრინჯაოსმედალოსანი საქართველოს გუნდი. მისი სამი წევრის ვინაობა ცნობილია: ნაკრებში პერსონალურად მიიწვიეს **ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი** და **ლელა ჯავახიშვილი**. ორი ვაკანტური ადგილისთვის **ნინო ხურციძე, სალომე მელია** და **ნინო ბაციაშვილი** იბრძოლებენ ორ წრედ. გუშინ ხურციძისა და მელიას პაექრობა 38-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა.

**ვაჟა დანელია**

# სანიკიძემ ნეგი დაამარცხა

გერმანიის საერთაშორისო ტურნირზე ინდოელი დიდოსტატი პარიმარჯან ნეგი რეიტინგით (2638) მეორეა ფრანგი ეტიენ ბაკროს (2704) შემდეგ და საქართველოს ექსჩემპიონ **თორნიკე სანიკიძეს** (2553) კლასიფიკაციაში 85 პუნქტით უსწრებს, ამის მიუხედავად, გუშინ ქართველმა მოჭადრაკემ შესანიშნავად ითამაშა და აზიელ მეტოქეს საათი გააჩერებინა, თავად კი ხუთ ქულას მოუყარა თავი. იმარჯვა ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა ეტიენ ბაკრომ, რომელმაც ბულგარელ ბორის ჩათალბაშევს აჯობა, არგენტინელმა რუბენ ფელგაერმა რუს ალექსანდრ კარპაჩევს სძლია.

ექვსი ტურის შემდეგ სანიკიძეს, ბაკროს და ფელგაერს 5-5 ქულა აქვთ. ვიორელ იორდაჩესკუმ 4,5 ქულა მოაგროვა. დღეს მე-7 ტურში ითამაშებენ: ფელგაერი-სანიკიძე, იორდაჩესკუ-ბაკრო, ტერიკი-კარპაჩევი, ნეგი-აგრესტი.

**ვაჟა დანელია**

### მილოცვა

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს ვეტერან ფალავანს, თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების არაერთგზის პრიზიორს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, ბრწყინვალე პიროვნებას **ბესო ბესტავაშვილს**.

მკითხველის ტრიბუნა

# [illegible] რედაქციას!

**ელენე გედევანიშვილის** წარმატებები კიდევ ერთი დასტურია ქართველი ხალხის ნიჭიერებისა და შრომისმოყვარეობისა სპორტში. დამეთანხმებით, არ ვართ განებივრებული ზამთრის სახეობებში დიდი მიღწევებით, მაგრამ ამ პატარა ქვეყნის შვილებმა მსოფლიოში რომ გაიბრწყინეს, განა პატარა საქმეა? წაქაძემ, ქუმარიტაშვილმა, გედევანიშვილმა, ახმეტელმა, სხვებმა და სხვებმა ოქროს ასოებით ჩაწერეს ქართველთა მიღწევები როგორც საერთოდ ქართულ, ისე სპორტის ზამთრის სახეობების ისტორიაში.

სამწუხაროდ, თბილისის ყინულის მოედანი (სპორტის სასახლის გვერდით) ხან ერთი სამინისტროს ხელში აღმოჩნდა, ხან მეორის) ყინულის მოედნები ქუთაისში, ზუგდიდში და ბათუმშიც გახსნეს. ეს კარგია, მაგრამ თბილისიც არ უნდა მიივიწყონ და ფიგურული სრიალის სკოლის დაუმთავრებელი რემონტი დასრულდეს. არადა თბილისელი გოგო ბიჭები დიდი სიხარულით დადიოდნენ ამ მოედანზე და წარმატებებიც თვალსაჩინო ჰქონდათ. ნუთუ არავის ადარდებს ამ სკოლის ბედი? რამდენადაც ვიცით ირაკლი ჯაფარიძე (დირექტორი) უცხოეთში ავარჯიშებს სპორტსმენებს, მისი შვილი მოსკოვში ემზადება. საინტერესოა, როდის დაიწყებს ფუნქციონირებას ფიგურული სრიალის თბილისის სკოლა...

ბავშვები და მშობლები იმედით შევცქერით მომავალს და არა გვგონია, ეს საკითხი ასე უყურადღებოდ დატოვონ. სხვათა შორის, მსგავსი სკოლები ფუნქციონირებს ერევანსა და ბაქოში, ტაშკენტსა და ალმათში. რაღა თბილისში ვაქციეთ ზურგი სპორტის ამ ლამაზ და ქართველთა ნიჭის პლასტიკურად და მაღალემოციურად გამოხატვის შესაძლებლობას...

**პატივისცემით,**
**მალხაზ იაშვილი,**
**გია მერკვილიშვილი,**
**ნათია გოგლიძე**
(გულდაწყვეტილი მშობლები)

ჩოგბურთი



ეკა გორგოძე

# დღეს ქართველთა დუელია

ანტალიაში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) გუშინ პირველი წრის შეხვედრები გაიმართა. მე-7 ნომრად განთესილმა **სოფიო ქვაცაბაიამ** იოლად სძლია კვალიფიკაციის ერთ-ერთ გამარჯვებულ იი ჩენს (ტაივანი) - 6:3, 6:1 და მეორე წრეში თანამემამულე ეკატერინე გორგოძეს დაუპირისპირდება, რომელმაც გუშინ შაილა არგიელანს (უნგრეთი) პირველი ხელი 7:5 მოუგო, მეორეში 3:0 რომ დაწინაურდა, მეტოქემ ტრავმის გამო ასპარეზობის გაგრძელება ვერ შეძლო.

# მარცხი სტარტზე

დოჰაში (ყატარი) გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 2.369.000 დოლარი). 23 წლის **ანა ტატიშვილი** გუშინ პირველ წრეში 19 წლის ამერიკელს, WTA-ს რეიტინგში – მე-17 ადგილზე მყოფ სლოან სტეფანსს დაუპირისპირდა. ქართველმა ჩოგბურთელმა ერთ საათში ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით - 2:6, 2:6 წააგო და შეჯიბრებას გამოეთიშა.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ქართველები NBA-ში



# ზაზა ფაჩულიამ ნოვიცკის გამარჯვება ტეხასში აართვა

„ატლანტა ჰოქსს" მეორე მატჩია ეხმარება ტრავმამოშუშებული **ზაზა ფაჩულია.** მის გარდა გუნდს დაუბრუნდა **დევინ ჰარისი** და ჯორჯიული მექანიზმიც ჩვეულად ამოქმედდა. „ატლანტამ" დამაჯერებლად ითამაშა დალასში - „მავერიქსი" 105:101 დაამარცხა.

ვახსენეთ ფაჩულია, ჰარისი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გამარჯვებაში ლომის წილი NBA-ის ერთ-ერთ გამორჩეულ ფორვარდ **ჯოშ სმიტს** მიუძღვის, რომელმაც სირენამდე 1:25 წუთით ადრე სამქულიანით „ჰოქსის" უპირატესობა 5 ქულამდე გაზარდა (99:94). არ ნებდებოდა დალასელთა გერმანელი თავდამსხმელი **დირკ ნოვიცკი.** მანაც შორეული ტყორცნით სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა, თუმცა ბოლო წუთზე იმავე სმიტმა, **ტიგმა, კორვერმა** საჯარიმო ტყორცნები უშეცდომოდ ისროლეს და შინ გამარჯვებულები გაბრუნდნენ.

ჯოშ სმიტმა 26 ქულა და 13 მოხსნა მოაგროვა, მეორე ორმაგი დუბლი მისმა თანაგუნდელმა **ელ ჰორფორდმა** შეასრულა - 21 ქულა, 10 მოხსნა. მათზე თითქმის ორჯერ ნაკლებ სათამაშო დროში ზაზა ფაჩულიაც მიუახლოვდა „დაბლდაბლს", 8 ქულა და 10 მოხსნა გაიფორმა. 16-წუთში ასეთი შედეგი მეტად რთული მისაღწევია. მეტსაც გეტყვით, ზაზამ რვავე ქულა პირველი პერიოდის ბოლოსა და მეორის დასაწყისში, 7-წუთიან მონაკვეთში მოაგროვა. მისი კარგი თამაშის წყალობით „ატლანტა" 10-ქულიან უპირატესობას ინარჩუნებდა.

ქართველი ცენტრი მოედანზე მესამე პერიოდის ბოლოს დაბრუნდა, თუმცა ისეთივე შედეგიანი ვერ იყო, როგორიც დასაწყისში.

„ატლანტა" მომდევნო თამაშს 13 თებერვალს „ორლანდოში" გამართავს. ამ შეხვედრის ფავორიტად ჯორჯიული გუნდის მიჩნევა შეიძლება. მთავარია, „ჰოქსმა" აკრეფილი ტემპი არ დააგდოს. მისთვის თითოეულ მოგებას დიდი ფასი აქვს, რადგან პლეი ოფში მოხვედრილს (თუმცა ჯერ ეს მიზანიც მისაღწევია) რაც შეიძლება მეტ გუნდთან სჭირდება მოედნის უპირატესობა.

ამჟამად „ატლანტას" ანგარიშზე 28 მოგებაა (22 წაგება) და აღმოსავლეთის კონფერენციაში მეექვსე ადგილზეა. მეხუთეა „ბრუკლინ ნეთსი" (30 გამარჯვებით), ხოლო მეშვიდეადგილოსან „ბოსტონ სელტიკსს" „ჰოქსზე" ერთით ნაკლები მოგება უწერია.

■ ■ ■

ფასეული გამარჯვება მოიპოვა ინდიანაში **თორნიკე შენგელიას** „ბრუკლინ ნეთსმა", რომელმაც მასპინძლები ოვერტაიმში 89:84 დაამარცხა.

ორკვირიანი შესვენების შემდეგ (ტვინის შერყევის ნიშნები ჰქონდა) ბრუკლინელთა მწვრთნელმა ქართველი ფორვარდი განაცხადში შეიყვანა, მაგრამ თამაშში არ ჩაურთავს. იმედი დავიტოვოთ, რომ თორნიკეს უახლოეს მატჩში მოუწევს მოედანზე გასვლა.

13 თებერვალს „ბრუკლინი" „დენვერ ნაგეტსს" მიიღებს.

**დალასი–ატლანტა 101:105**

**ზაზა ფაჩულია:** 16 წუთი, 8 ქულა (7-დან 3 ორქულიანი, 4-დან 2 საჯარიმო), 10 მოხსნა, 1 პასი, 2 შეცდომა, 2 ფოლი.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 3:41 | ჰორფორდი შეცვალა | 22-16 |
| 1:39 | ორქულიანი: არაზუსტი | 29-18 |
| 1:04 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 | 29-20 |
| 0:58 | საჯარიმოები: 2/1 (1ქ) | 30-20 |
| 0:27 | საჯარიმოები: 2/1 (2ქ) 2 | 31-23 |
| **II პერიოდი** | | |
| 11:41 | პასი: 1 (კორვერი 3ქ) | 33-23 |
| 11:14 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 | 33-23 |
| 10:37 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 | 33-25 |
| 10:27 | ორქულიანი: არაზუსტი | 33-25 |
| 10:07 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 | 33-25 |
| 9:22 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 | 35-25 |
| 9:12 | ორქულიანი: 4ქ | 37-25 |
| 7:43 | ორქულიანი: არაზუსტი | 37-30 |
| 7:22 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 | 39-30 |
| 7:09 | ორქულიანი: 6ქ | 41-30 |
| 6:05 | ორქულიანი: 8ქ | 43-33 |
| 4:26 | ჯონსონმა შეცვალა | 45-38 |
| **III პერიოდი** | | |
| 3:01 | ჰორფორდი შეცვალა | 76-72 |
| 2:04 | მოხსნა: შეტ-2, დაც-5 | 77-74 |
| 1:20 | მოხსნა: შეტ-2, დაც-6 | 82-74 |
| 0:01 | მოხსნა: შეტ-3, დაც-6 | 82-79 |
| 0:01 | ორქულიანი: არაზუსტი | 82-79 |
| 0:00 | ფოლი: 1 | 82-79 |
| **IV პერიოდი** | | |
| 11:45 | ფოლი: 2 | 82-81 |
| 10:48 | შეცდომა: 1 | 82-84 |
| 10:38 | მოხსნა: შეტ-3, დაც-7 | 82-84 |
| 10:26 | შეცდომა: 2 | 82-84 |
| 10:03 | ტოლივერმა შეცვალა | 82-84 |

**ინდიანა–ბრუკლინი 84:89 ღ.დ.**

*თორნიკე შენგელია განაცხადში იყო, მაგრამ არ უთამაშია.*

ვაჟა სიმონიშვილი

● საქართველო. U 18

**მართვე 3–მართვე 2 31:101**

3:25, 10:19, 9:28, 9:29

**მართვე 3:** ხუჭუა (4ქ), ციცაგი (3), დგვარელი, ფეიქრიშვილი (3), გიორგაძე (5), სოზაშვილი, გოგოსაშვილი (10), ჯაფარიძე (2), გურგენიძე (2), კორძაძე (2).

**მართვე 2:** სანაია (12), ლომიძე (26), ბაქრაძე (14), გოგნაძე (17ქ, 37მ), ბალდავაძე (6), დარციმელია, ოსკოპელი (17), წიკლაური (9).

**თსსუ–რუსთავი 2 42:95**

14:23, 11:24, 13:24, 4:24

**თსსუ:** ისიანი (8), ოძელაშვილი (1), ბუთურიშვილი (4), ხითარიშვილი (2), იშხნელი, სიმონიშვილი (4), შერაზადიშვილი (5), დარსალია (16), მდივანი, მებონია (2).

**რუსთავი 2:** ბაქრაძე (12), მეტრეველი (9), ღვალაძე (6), ჩიჩუა (3), წიქარიშვილი (8), ტაბალუა (7), კორძახია (3), გიგაური (8), გოგობერიშვილი (12), კორინთელი (8), ბარამიძე (2), ალავერდაშვილი (17).

**მაქაბი–ქუთაისი 59:63**

13:15, 16:12, 14:15, 16:21

**მაქაბი:** საური (8), მჭედლიშვილი (2), ხოსიტაშვილი (16ქ, 20მ), რევაზაშვილი (28ქ, 12მ), ბლუაშვილი (1), ფოჩხუა (1), მამაგულიშვილი, ფხალაძე (3).

**ქუთაისი:** გამრეკლიძე (13), მაცაბერიძე (3), ტაბალუა (2), ლანჩავა (1), ქარციძე (18ქ, 14მ), ჯიშკარიანი (2), ბირკაია (9ქ, 25მ), გუბაევი (5), ჭოლაძე (10), ისაკაძე.

**მართვე–ჰიუნდაი 48:100**

10:16, 15:24, 9:28, 14:32

**მართვე:** მარგველაშვილი (4), საჯაია (2), მირზაშვილი (16), უშვერიძე (2), მუმლაძე, რეხვიაშვილი (6ქ, 13მ), მანავლიშვილი (4), ჩიტიძე (8ქ, 12მ), ჯაფარიძე (2), შარმიაშვილი (4).

**ჰიუნდაი:** სანაძე (25ქ, 11მ), ტომარაძე (33ქ, 10მ), ზაქრაძე (27ქ, 12მ, 11პ), ბულიავა (3ქ, 11მ), ბოლქვაძე (15ქ, 14მ), მამფორია.

**ნიკე–ჰიუნდაი 2 73:58**

18:11, 20:13, 15:18, 20:16

**ნიკე:** გაგუა (3), კუპრაშვილი (11), გორგოძე, ხვისტანი (3), კანდელაკი, ქობალავა, გეგეჭკორი (18), ყურაშვილი, ქორიძე (2), ქაჯაია (17), საგიანი, ბულიგინი (19ქ, 24მ).

**ჰიუნდაი 2:** წამალაშვილი (2), დოლიძე, მანჩხაშვილი (9), გეთია (7), გელდიაშვილი (5), ქარელიძე (5), ბეროშვილი (13ქ, 10მ), აბულაძე, კატუკია, ჩხეიძე (17), ყურაშვილი.

**რუსთავი–აკადემია 70:64**

19:17, 26:8, 16:13, 9:26

**რუსთავი:** დვალი (8), ქიტოშვილი (14ქ, 12მ), რეხვიაშვილი (2), ლორთქიფანიძე (10), ხატიაშვილი (12), წურწუმია, ნარჩომაშვილი (15ქ, 18მ), ურიდია (9ქ, 14მ).

**აკადემია:** ბერულავა, გუგუშვილი (2), ჯაყელი (6), ცქიტიშვილი (23ქ, 14მ), ქობალავა (1), გაბრიჩიძე (2), ხუციშვილი (4), ღურწკაია (23), ლომთაძე, ფაცია (3).

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შსს აკადემია | 13 | 12 | 1 | 1224/760 | 25 |
| 2. დინამო | 13 | 11 | 2 | 950/739 | 24 |
| 3. რუსთავი | 12 | 12 | 0 | 1070/765 | 24 |
| 4. აკადემია | 13 | 10 | 3 | 1074/727 | 23 |
| 5. ნაკრები 97 | 12 | 9 | 3 | 921/667 | 21 |
| 6. ჰიუნდაი | 12 | 8 | 4 | 971/779 | 20 |
| 7. ქუთაისი | 12 | 8 | 4 | 1014/856 | 20 |
| 8. აკადემია 2 | 13 | 6 | 7 | 845/744 | 19 |
| 9. მართვე 2 | 12 | 6 | 6 | 816/812 | 18 |
| 10. ნიკე | 13 | 5 | 8 | 883/1004 | 18 |
| 11. მარნეული | 11 | 7 | 4 | 848/724 | 18 |
| 12. თელავი | 13 | 5 | 8 | 847/814 | 18 |
| 13. რუსთავი 2 | 11 | 7 | 4 | 846/674 | 18 |
| 14. მაქაბი | 13 | 2 | 11 | 798/976 | 15 |
| 15. ჰიუნდაი 2 | 13 | 2 | 11 | 746/1064 | 15 |
| 16. თსსუ | 13 | 1 | 12 | 666/1047 | 14 |
| 17. მართვე | 12 | 1 | 11 | 686/979 | 13 |
| 18. მართვე 3 | 13 | 0 | 13 | 379/1453 | 13 |



● სუპერლიგა. სამედიცინო

# რატომ წავიდა კახა შენგელია სამედიცინოდან?



„სამედიცინოში" სერიოზული ცვლილებები განხორციელდა. მთავარ მწვრთნელად **კახა შენგელიას** ნაცვლად **თენგიზ ფიცხელაური** იმუშავებს. ასევე თანამდებობიდან გადადგა გუნდის პრეზიდენტი **გია აბესაძე.** ამ მოვლენებთან დაკავშირებით საიტ „მსოფლიო სპორტზე" გამოქვეყნებულ სტატიაში წერია, რომ კახა შენგელიას და მის ასისტენტ **გოდერძი კორძაძეს** შრომითი ხელშეკრულება 2012-13 წლების სეზონში არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო შეუწყდათ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით კახა შენგელიას რეაქცია ასეთია:

- სეზონის დასაწყისში, როცა გაირკვა, რომ ნაკლები ბიუჯეტი გვექნებოდა, ვისაუბრეთ და ვთქვით - შედეგზე ვერ ვიქნებოდით ორიენტირებულები. ჩვენი მიზანი ახალგაზრდული გუნდის შეკრება და კალათბურთელთა პროგრესი იქნებოდა. მართლაც, პრესკონფერენციებზეც არაერთმა სპეციალისტმა აღნიშნა, რომ საგრძნობლად მოუმატა ფერიაშვილმა, კარგად ათამაშდა რევაზაშვილი... ხელმძღვანელებს თავიდანვე ვუთხარი - ჩემს კომპეტენციას სასწორზე ვდებ-მეთქი, რადგან მეტად ახალგაზრდული შემადგენლობით ამ ჩემპიონატში წარმატებაზე ფიქრი წარმოუდგენელი იყო. თუმცა ამასწინანდელ შეხვედრაზე უნივერსიტეტის კანცლერმა ზურაბ ორჯონიკიძემ, რომელსაც მანამდე არც შევხვედრივარ, შედეგზე ჩამოაგდო სიტყვა, შედეგი მოითხოვა.

**- იქნებ შედეგში სტუდენტურ გუნდებს შორის ურთიერთდაპირისპირებებს გულისხმობდნენ?**

- უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე სტუდენტურ გუნდებთან შედარებით მწირი ბიუჯეტი გვაქვს. ბოლო შეხვედრისას ისიც მითხრეს, გუნდი დემორალიზებული რატომააო? ვუპასუხე: ბიჭებს ხელფასი ერთი კვირა რომ ჰყოფნით და მომდევნო სამი კვირა უფულოდ არიან, რა შედეგი უნდა მოვთხოვოთ-მეთქი?! ფულზე ლაპარაკი არ მიყვარს, არც იმას ვიტყვი, ვის რამდენი ხელფასი ჰქონდა და მით უმეტეს, არც სასამართლოში ვაპირებ ფულის გამო წასვლას. უბრალოდ, არავის მივცემ ჩემს კომპეტენციაში ეჭვის შეტანისა და იმის თქმის უფლებას, რომ გუნდიდან გამიშვეს. ტელევიზიებსაც სურდათ ჩაწერა, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან არ მინდოდა საჯაროდ გუნდზე მელაპარაკა, თუმცა რადგან ასე სურდათ...

**- ეს ყველაფერი განათლების სამინისტროს მიერ უნივერსიტეტების საკალათბურთო გუნდების დაფინანსების შეწყვეტას დაემთხვა...**

- რადგან გუნდის შენახვამ თავად სასწავლებელს მოუნია, იფიქრეს, რატომ ვუხადოთ ფული მწვრთნელებსო... იყო მსჯელობა, რომ კალათბურთელებს ხელფასები 30-40 პროცენტით შემცირებოდათ, სანაცვლოდ კი მწვრთნელები დავრჩენილიყავით. ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, რადგან მოთამაშეებს ისედაც მცირე ხელფასები აქვთ და კიდევ დაკლება ნამდვილად არ იქნებოდა მართებული.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატი


საქართველო-ინგლისი

# უმცროს ბორჯღალოსნებს ვოსფსი გამოცდის

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას განაგრძობს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ილია მაისურაძემ** გაფართოებული შემადგენლობა 32 მორაგბემდე შეამცირა, რომელთაგან საფრანგეთში, ელიტარული სარაგბო ქვეყნების გუნდებთან საასპარეზოდ, 26 მოთამაშე გაემგზავრება.

„უმცროსი ბორჯღალოსნები" ამჟამად „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" ვარჯიშობენ. გუნდი 10 მარტს ინგლისში გაემგზავრება ერთკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე, სადაც ჰართპურის კოლეჯის გუნდთან და ინგლისის 17-წლამდელთა ნაკრებთან ორ საკონტროლო მატჩს გამართავს.

იქამდე კი თბილისში ინგლისის „ავივა პრემიერშიპში" მოასპარეზე ლონდონის „ვოსფსის" 18-წლამდელთა გუნდი ჩამოვა, რომელთანაც საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები საკონტროლო მატჩს შაბათს, 16 თებერვალს „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" გამართავს.

შეგახსენებთ, რომ ელიტარულ გუნდებთან ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები მეორედ ასპარეზობს. შარშანდელ ტურნირზე ჩვენმა გუნდმა იტალიისა და პორტუგალიის ნაკრებებს გაუსწრო და მეექვსე ადგილი დაიკავა.

წლეულს „უმცროსი ბორჯღალოსნები" პირველ მატჩს მეოთხედფინალში ირლანდიის ნაკრებთან გამართავენ. გამარჯვების შემთხვევაში, მომდევნო მეტოქე ნახევარფინალში საფრანგეთისა და იტალიის ნაკრებებს შორის მოგებული იქნება. თუ ჩვენი მორაგბეები ირლანდიასთან დამარცხდებიან, მაშინ ბრძოლა მეხუთე ადგილისთვის მოუწევთ და აქაც პირველი მეტოქე ფრანგულ-იტალიურ დაპირისპირებაში ხელმოცარული იქნება.

### საქართველოს ნაკრები

**პირველი ხაზი**: ერეკლე მაღრაძე (ხარები), ბადრი ალხაზაშვილი (ინგლისი), თორნიკე მათარაძე (ტორნადო), ბექა კაკაბაძე (ლოკომოტივი), ზაური ხარებავა (რაინდები), დავით ფხაკაძე (ივერია), გიორგი ტორაძე (აია).

**მეორე ხაზი**: როლანდ კვაჭაძე (ლელო), გუგა ხანთაძე (აია), თორნიკე ზოიძე (აკადემია), ბესო ბარბაქაძე (ივერია).

**მესამე ხაზი**: ბადრი დანგაძე, ოთარ გიორგაძე (ორივე-აია), ბექა გორგაძე (ხარები), გიორგი ხვისტანი (ყოჩები), თორნიკე ბუბუტეიშვილი (ლელო), ჟორა მღებრიშვილი (ხარები), დავით პაპავაძე (ჯიქები).

**№9**: დავით გულიტაშვილი (ხარები), ვასილ ლობჟანიძე (არმაზი), თეიმურაზ თუთბერიძე (აია).

**№10**: გურამ ლაფერაშვილი (ლელო), რევაზ ჯინჭველაშვილი (აია).

**№11-14**: იოსებ კიკვაძე (აია), დევი დევსურაშვილი (ხულიგანა), ბადრი ლიპარტელიანი (ივერია), დავით ლობჟანიძე (არმაზი).

**№12-13**: სანდრო ილურიძე (აკადემია), იოსებ ჯაფარიძე (ხულიგანა), ლევან გიკაშვილი (ლელო).

**№15**: ირაკლი სვანიძე (ხულიგანა), გიორგი ბაბუნაშვილი (აია).

### 1/4 ფინალი

საქართველო-ირლანდია, ინგლისი-პორტუგალია, საფრანგეთი-იტალია, უელსი-შოტლანდია

საქართველოს ჩემპიონატი

# ორი გარკვეულია, ორიც გასარკვევი

■ ■ ■

საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში მორიგი ტურის შეხვედრები გაიმართა. აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონაში, რეგულარული გათამაშების დასრულებამდე სამი ტურით ადრე პლეი ოფის თითო მონაწილე უკვე გარკვეულია. თბილისის „თიბისის" და ქუთაისის „ბაგრატს" პირველობას ვერავინ შეეცილება. დარჩენილი ორი საგზურისთვის კი ჯერ კიდევ სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს.

აღმოსავლეთ ზონაში, როგორც უკვე ვთქვით, „თიბისის" კონკურენციას ვერავინ უწევს. ამ გუნდმა ყველა მატჩი დამაჯერებლად მოიგო და ამჯერადაც თბილისის „დინამოს" დიდი ანგარიშით სძლია - 70:0.

მეორე ადგილისთვის ერთბაშად სამი გუნდი - პატარძეულის „ვეფხვები", თბილისის „ხულიგანა" და თბილისის „ივერია" იბრძვიან. „ვეფხვებმა", რომლებიც დღესდღეობით 44 ქულით მეორე ადგილზე არიან, აუტსაიდერ თბილისის „უნივერსიტეტს" სტუმრად მშრალი ანგარიშით მოუგეს - 44:0.

„ხულიგანა" და „ივერია" კი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. გამარჯვება ივერიელებს დარჩათ - 26:14. შედეგად „ივერიას" 36 ქულა დაუგროვდა და ახლა მეოთხე ადგილზეა, მას „ხულიგანა" მხოლოდ ორი ქულით უსწრებს. გამორიცხული არ არის, ეს მარცხი ამ გუნდისთვის საბედისწერო გამოდგეს, რადგან მთავარ კონკურენტს, „ვეფხვებს" საგრძნობლად დაწინაურების შანსი მისცეს.

კიდევ ერთ შეხვედრაში სამოყვარულო გუნდმა თბილისის „დევებმა" სტუმრად მოუგო გარდაბნის „მგლებს" - 55:13.

### I ლიგა

### აღმოსავლეთი

### XIV ტური

მგლები-დევები 13:55, ხულიგანა-ივერია 14:26, უნივერსიტეტი-ვეფხვები 0:48, თიბისი-დინამო 70:0.

**სატურნირო მდგომარეობა**: 1. თიბისი - 57 ქულა, 2. ვეფხვები - 44, 3. ხულიგანა - 38, 4. ივერია - 36, 5. დინამო - 30, 6. მგლები - 23, 7. დევები - 20, 8. ტორნადო - 15, 9. უნივერსიტეტი - 6.

### XV ტური

ტორნადო-ხულიგანა, დინამო-დევები, უნივერსიტეტი-მგლები, ივერია-თიბისი.

დასავლეთ ზონაში დაუმარცხებლად ასპარეზობს ქუთაისის „ბაგრატი", რომელმაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკვე გაინაღდა მეორე ეტაპზე თამაშის უფლება. ქუთაისელმა მორაგბეებმა მეშვიდე ტურში სტუმრად დიდი ანგარიშით მოუგეს ოზურგეთის „არწივებს" - 49:13.

პლეი ოფის მეორე საგზურის მოპოვების ყველაზე რეალური შანსი ფოთის „რაინდებს" აქვს, რომელმაც შინ სძლია აუტსაიდერ „მარტვილს" - 43:5. ფოთელთა კონკურენტმა ბათუმის „დელფინებმა" კი მოულოდნელად სტუმრად წააგო საჩხერის „ჯრუჭთან" - 15:25 და საგრძნობლად გაირთულა სატურნირო მდგომარეობა.

### დასავლეთი

### VII ტური

რაინდები-მარტვილი 43:5, ჯრუჭი-დელფინები 25:15, არწივები-ბაგრატი 13:49.

**სატურნირო მდგომარეობა**: 1. ბაგრატი - 34 ქულა, 2. რაინდები - 27, 3. დელფინები - 17, 4. არწივები - 14, 5. ჯრუჭი - 8, 6. მარტვილი - 1.

### VIII ტური

რაინდები-ჯრუჭი, მარტვილი-არწივები, ბაგრატი-დელფინები.

ტრანსფერები

# შარიქაძე მონპელიეს სურს

კარგად არის ცნობილი, რომ ქართველ მორაგბეებზე, განსაკუთრებით კი შერკინების პირველხაზელებზე, საფრანგეთში დიდი მოთხოვნაა. თუმცა ვითარება ნელ-ნელა იცვლება და უცხოელი სკაუტების ყურადღების არეალში უკანახაზელებიც ექცევიან.

ამჟამად, საფრანგეთის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე „მონ დე მარსანში" თამაშობს საქართველოს ნაკრების გარემარბი **თამაზ მჭედლიძე**. უკვე ვწერდით, რომ მის მიმართ დაინტერესება საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერმა „ტულონმა" გამოთქვა.

ახლახან კი, ცნობილი გახდა, რომ კიდევ ერთი უკანახაზელით, **მერაბ შარიქაძით** (ამჟამად ინგლისურ „ჰართპურის კოლეჯში" თამაშობს), ფრანგული „მონპელიე" დაინტერესდა. შარიქაძე საქართველოს ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა და იმედისმომცემი მორაგბეა. ამჟამად, „ბორჯღალოსნების" შუამარბი მონპელიეში იმყოფება სინჯებზე, სადაც გუნდთან ერთად ერთი კვირის განმავლობაში ივარჯიშებს.



მერაბ შარიქაძე (ბურთით)

ექვსი ერი



ენდრიუ კუმსი-სტიუარტ ჰოგი-ბენ იანგზი

ექვსი ერის გათამაშების მეორე ტური პირველის მსგავსად საკმაოდ საინტერესო გამოდგა. თამაშის დონე ამჯერადაც უმაღლესი ხარისხის იყო. Planetrugby-მ, ტრადიციულად, ტურის სიმბოლური ნაკრები დაასახელა, რომელშიც ირლანდიისა და იტალიის ნაკრების მორაგბეები ვერ მოხვდნენ.

საუკეთესოთა შორის ყველაზე მეტი - ხუთ-ხუთი მოთამაშე მიავლინეს უელსისა და ინგლისის ეროვნულმა გუნდებმა, ოთხი მორაგბე მოხვდა სიმბოლურ გუნდში შოტლანდიის ნაკრებიდან, ერთიც საფრანგეთის მთავარი გუნდიდან.

მოწინავეთა შორის ზედიზედ მეორედ სამი მორაგბე დასახელდა. ესენი არიან: შოტლანდიის ნაკრების ფულბეკი **სტიუარტ ჰოგი,** ინგლისის ნაკრების ცხრა ნომერი **ბენ იანგზი** და უელსელი მეორეხაზელი **ენდრიუ კუმბსი.**

# ჰოგი, კუმსი და იანგზი მეორედ

„სკოტების" ფულბეკს მეორე ტურში სერიოზული კონკურენცია გაუწია უელსელმა **ლი ჰალპფენმა** და ინგლისელმა **ალექს გუდმა,** თუმცა სტიუარტ ჰოგმა თავისი თითქმის ასმეტრიანი სოლო გარღვევით ყველა და ყველაფერი დაჩრდილა. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მართლაც უნიჭიერესი მოთამაშეა.

მოულოდნელი არ ყოფილა საუკეთესოთა შორის „პომების" ცხრა ნომრის მეორედ მოხვედრა. ბენ იანგზი შესანიშნავად გაისარჯა გასულ უქმეებზე. მისი გააზრებული თამაში და ფეხით შესრულებული ტაქტიკური დარტყმები უმაღლესი პილოტაჟისა იყო.

უელსელთა ახალგაზრდა მეორეხაზელი **ენდრიუ კუმსი** ორივე ტურში ისე გამოიყურებოდა, თითქოს მრავალნაცადი და ბევრის მნახველი ვეტერანი ყოფილიყო. მას არც ერთი ბოჭვა არ გაუცუდებია და ბურთისთვის ბრძოლაშიც საუკეთესო იყო. კუმბსი ექვსი ერის წლევანდელი გათამაშების აღმოჩენაა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ინგლისელთა 21 წლის მგეზავი **ოუენ ფარელი.** ირლანდიელი **ჯონათან სექსტონი** მასთან დაპირისპირებაში სასაცილოდ გამოიყურებოდა. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელმა 31-ე წუთზე ტრავმის გამო მოედანი დატოვა, თუმცა ფარელს ის უკვე საკმაოდ ჰყავდა დაჩაგრული.

ოუენ ფარელმა ოთხი საჯარიმო გაიტანა და ორი გააცუდა, მაგრამ გუნდს უნარიანად, საკმაოდ წყნარად და აუღელვებლად გეზავდა.

ცოტა უცნაური იყო საუკეთესოთა შორის ფრანგი მორაგბის მოხვედრა. „ლე ბლო" მეორე ტურში კიდევ უფრო უნიათოდ გამოიყურებოდა, ვიდრე პირველში. მაგრამ ამ გუნდში აშკარად გამოირჩეოდა გიგანტი შუამარბი **მატიო ბასტარო,** რომლის შეჩერებას მინიმუმ ხუთი მოწინააღმდეგის ძალისხმევა სჭირდება. ფრანგთა თავკაცი **ფილიპ სენტ-ანდრე** უნდა დაფიქრდეს და გუნდის თამაში მასზე ააწყოს.

ინგლისელთა ფლანკერმა და კაპიტანმა **კრის რობშომ** ტიტანური სამუშაო გასწია. შესაშურია მისი შრომისუნარიანობა და გამძლეობა. ალარაფერს ვამბობთ შემართებაზე, რომელიც კიდევ უფრო მუხტავს ისედაც საბრძოლველად განწყობილ მის თანაგუნდელებს. „პომების" თავკაცს **სტიუარტ ლანკასტერს** ალლომ არც კაპიტნის არჩევისას უმტყუნა.

შოტლანდიური რაგბის ახალ ამომავალ ვარსკვლავს, გარემარბ **შონ მეთლენდს** იტალიელებისთვის ლელო არ გაუტანია, თუმცა მისი გარჯა შეტევისას შეუფასებელია. შონის აქტიურობის შედეგი იყო **მეთ სკოტის** ლელო. მან თითქმის ყველა სალელოვე იერიშში მიილო მონაწილეობა.

უელსის ნაკრების შერკინების შემკვრელმა (№8) **ტობი ფალეტაუმ** დაამტკიცა, რომ როცა ფორმაშია ვარსკვლავურად თამაში შეუძლია. მისი გარჯა საფრანგეთის ნაკრებთან მხოლოდ ქების ღირსია. ტობიმ სრულიად დაჩრდილა ისეთი მესამეხაზელები, როგორებიც არიან **ლუი პიკამოლი** და **სერჯო პარისე.**

**სემ ვერბარტონს** შეუძლია ორი კვირის შემდეგ იტალიის ნაკრებთან მატჩში გუნდში დაბრუნდეს, თუმცა კაპიტნობის დაბრუნება ძალიან გაუჭირდება. ფრანგებთან მატჩში მის პოზიციაზე მოთამაშე **რაიან ჯოუნზი** შეუდარებელი გახლდათ.

### სიმბოლური ნაკრები

15. სტიუარტ ჰოგი, 14. შონ მითლენდი (ორივე - შოტლანდია), 13. მატიო ბასტარო (საფრანგეთი), 12. ჯიმი რობერტსი, 11. ჯორჯ ნორსი (ორივე - უელსი), 10. ოუენ ფარელი, 9. ბენ იანგზი (ორივე - ინგლისი).

1. ჯო მარლერი (ინგლისი), 2. როს ფორდი, 3. ევან მურეი (ორივე - შოტლანდია), 4. ანდრიუ კუმბსი (უელსი), 5. ჯეფ პერლინგი (ინგლისი), 6. რაიან ჯოუნზი (უელსი), 7. კრის რობშო (ინგლისი), 8. ტობი ფალეტაუ (უელსი).

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



რასელ უესტბრუკი

# კვირის მოთამაშეები

„მაიამი ჰიტის" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და „ოკლაჰომა სიტის" მცველი **რასელ უესტბრუკი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ჯეიმსი თავის გუნდს ოთხიდან ოთხი მატჩის მოგებაში დაეხმარა. ლებრონი საშუალოდ მატჩში 31.3 ქულას (მეორე ადგილი აღმოსავლეთ კონფერენციაში), 6.5 მოხსნასა და 5.8 შედეგიან პასს აგროვებდა. „მაიამის" ლიდერმა თამაშიდან 73.8 პროცენტის სიზუსტით ისროლა და თითოეულ შეხვედრაში მინიმუმ 30 ქულას იხვეჭდა.

უესტბრუკის კარგი თამაშის წყალობით, "ოკლაჰომამ" გასულ კვირას ოთხიდან ოთხი მატჩი მოიგო. გამთამაშებელმა 21.8 ქულა დააგროვა, რასაც 6.0 პასი, 3.3 ჩაჭრა და 3.0 მოხსნა დაუმატა. „ოკლაჰომამ" თითოეული შეხვედრა მინიმუმ 20 ქულის სხვაობით მოიგო.

### ჯეიმსის კვირა

**4 თებერვალი. მაიამი-შარლოტი 99:94.** 31 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი.

**8 თებერვალი. მაიამი-კლიპერსი 111:89.** 30 ქულა, 5 მოხსნა, 6 პასი.

**10 იანვარი. მაიამი-ლეიკერსი 107:97.** 32 ქულა, 7 მოხსნა, 4 პასი, 3 ჩაჭრა.

### დურანტის კვირა

**4 თებერვალი. ოკლაჰომა-დალასი 112:91.** 24 ქულა, 7 პასი, 3 მოხსნა, 3 ჩაჭრა.

**6 თებერვალი. ოკლაჰომა-გოლდენ სტეიტი 119:98.** 22 ქულა, 5 პასი, 4 ჩაჭრა, 3 მოხსნა.

**10 იანვარი. ფინიქსი-ოკლაჰომა 69:97.** 24 ქულა, 6 პასი, 4 ჩაჭრა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **კევინ გარნეტი** („ბოსტონი"), **პოლ პირსი** („ბოსტონი"), **ჯეიმს ჰარდენი** („ჰიუსტონი"), **დევიდ უესტი** („ინდიანა"), **გრეივის ვასკესი** („ნიუ ორლეანი"), **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა"), **ტონი პარკერი** („სან ანტონიო"), **რუდი გეი** („ტორონტო") და **მარტელ უებსტერი** („ვაშინგტონი").

### აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. მაიამი* | 48 | 34 | 14 | 70.8 |
| 2. ნიუ იორკი* | 49 | 32 | 17 | 65.3 |
| 3. ინდიანა* | 52 | 31 | 21 | 59.6 |
| 4. ჩიკაგო | 51 | 30 | 21 | 58.8 |
| 5. ბრუკლინი | 52 | 30 | 22 | 57.7 |
| 6. ატლანტა | 50 | 28 | 22 | 56.0 |
| 7. ბოსტონი | 51 | 27 | 24 | 52.9 |
| 8. მილუოკი | 50 | 25 | 25 | 50.0 |
| 9. ფილადელფია | 50 | 22 | 28 | 44.0 |
| 10. დეტროიტი | 53 | 20 | 33 | 37.7 |
| 11. ტორონტო | 51 | 19 | 32 | 37.3 |
| 12. კლივლენდი | 52 | 16 | 36 | 30.8 |
| 13. ვაშინგტონი | 50 | 15 | 35 | 30.0 |
| 14. ორლანდო | 51 | 15 | 36 | 29.4 |
| 15. შარლოტი | 51 | 12 | 39 | 23.5 |

### დასავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. სან ანტონიო* | 53 | 41 | 12 | 77.4 |
| 2. ოკლაჰომა* | 51 | 39 | 12 | 76.5 |
| 3. კლიპერსი* | 54 | 37 | 17 | 68.5 |
| 4. მემფისი | 50 | 32 | 18 | 64.0 |
| 5. დენვერი | 52 | 33 | 19 | 63.5 |
| 6. გ. სტეიტი | 51 | 30 | 21 | 58.8 |
| 7. იუტა | 52 | 28 | 24 | 53.8 |
| 8. ჰიუსტონი | 53 | 28 | 25 | 52.8 |
| 9. პორტლენდი | 51 | 25 | 26 | 49.0 |
| 10. ლეიკერსი | 52 | 24 | 28 | 46.2 |
| 11. დალასი | 51 | 22 | 29 | 43.1 |
| 12. მინესოტა | 49 | 19 | 30 | 38.8 |
| 13. საკრამენტო | 52 | 19 | 33 | 36.5 |
| 14. ნიუ ორლეანი | 52 | 18 | 34 | 34.6 |
| 15. ფინიქსი | 52 | 17 | 35 | 32.7 |

* - დივიზიონის ლიდერი

### ქულა

| | |
|---|---|
| კარმელო ენტონი (ნ-იორ) | 29.0 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 28.9 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 27.4 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 27.0 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 26.1 |
| კაირი ირვინგი (კლივ) | 23.9 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 22.5 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 21.1 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 21.0 |
| სტივენ კარი (გ-სტ) | 20.9 |

### მოხსნა

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 11.7 |
| ნიკოლა ვუჩევიჩი (ორლ) | 11.6 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 11.6 |
| ომერ აშიქი (ჰიუ) | 11.5 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 11.3 |
| ტაისონ ჩენდლერი (ნ-იორ) | 11.2 |
| დევიდ ლი (გ-სტ) | 10.8 |
| ჯეი ჯეი ჰიქსონი (პორ) | 10.6 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 10.0 |

### პასი

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 11.1 |
| კრის პოლი (კლიპ) | 9.5 |
| გრეივის ვასკესი (ნ-ორლ) | 9.4 |
| ჯრიუ ჰოლიდეი (ფილ) | 8.8 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 8.1 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 7.7 |
| დერონ უილიამსი (ბრუკ) | 7.6 |
| ჯამირ ნელსონი (ორლ) | 7.5 |
| ხოსე კალდერონი (დეტ) | 7.4 |
| ტაი ლოუსონი (დენ) | 7.0 |

### ჩაჭრა

| | |
|---|---|
| კრის პოლი (კლიპ) | 2.6 |
| მაიკ კონლი (მემ) | 2.3 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 2.0 |
| კემბა უოკერი (შარ) | 1.9 |
| ბრენდონ ჯენინგსი (მილ) | 1.9 |
| მონტა ელისი (მილ) | 1.9 |
| ჯერემი ლინი (ჰიუ) | 1.9 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 1.8 |
| პოლ ჯორჯი (ინდ) | 1.8 |

### დაფარება

| | |
|---|---|
| ლარი სანდერსი (მილ) | 3.2 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 2.8 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 2.7 |
| როი ჰიბერტი (ინდ) | 2.7 |
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 2.4 |
| ბრუკ ლოპესი (ბრუკ) | 2.2 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.1 |
| ჯაველ მაკგი (დენ) | 2.0 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 2.0 |
| ენტონი დევისი (ნ-ორლ) | 1.9 |

# ბოსტონი შარლოტმა გააჩერა

„ბოსტონ სელტიქსმა", რომელმაც **რაჟონ რონდოს** დამტვრევის შემდეგ ზედიზედ შვიდი მატჩი მოიგო, ეს ბრწყინვალე სერია იმ გუნდთან მატჩში შეწყვიტა, რომელთანაც, წესით, მოგება არ უნდა გასჭირვებოდა. თუმცა „კელტების" „შარლოტთან" მარცხი მაინც მოსალოდნელი იყო, რადგან წინადღეს, ვეტერანებით სავსე გუნდმა სამი ოვერტაიმი ითამაშა „დენვერის" წინააღმდეგ და „ბობკეტსთან" მატჩს დაღლილი შეხვდა.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ **დოკ რივერსის** შეგირდებს შეეძლოთ მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა. ბოლო ათ წამში, როცა სტუმრები სამი ქულით იყვნენ ჩამორჩენილი, „ბოსტონმა" ორი სამქულიანის შესრულება მოასწრო, მაგრამ ვერც **პოლ პირსმა** და ვერც **ეივერი ბრედლიმ** ბურთი კალათში ვერ მოათავსა და „შარლოტმა" ბოლო რვა მატჩში პირველ გამარჯვებას მიაღწია.

■ ■ ■

ცენტრალური მატჩი გაიმართა ჩიკაგოში, სადაც „სან ანტონიო" ჩავიდა სათამაშოდ. „სპურსის" გამარჯვების არავის სჯეროდა, რადგან **გრეგ პოპოვიჩის** გუნდმა სამი მთავარი ვარსკვლავის გარეშე ითამაშა. გუნდს უკვე დიდი ხანია აკლია **ტიმ დანკანი** და **მანუ ჯინობილი**, გუშინ კი დასვენების საშუალება მიიღო **ტონი პარკერმა**. მართლაც, „სან ანტონიო" ამ ტრიოს გარეშე განწირული ჩანდა.

მაგრამ ტეხასელებმა დაამტკიცეს, რომ დღეს ლიგაში ყველაზე კარგი სათადარიგოთა სკამისა და ღრმა შემადგენლობის პატრონები არიან. „სპურსმა" ისევ მოიგო, თანაც ეს ძალიან დამაჯერებლად გააკეთა. სტუმრებმა მხოლოდ ერთხელ - მეოთხე მეოთხედის დასაწყისში მისცეს მეტოქეს ერთი ქულით მიახლოების საშუალება, მაგრამ შემდეგ, მათთვის დამახასიათებელი მეთოდურობით მოუსპეს ყველა შანსი „ხარებს". როგორც ჩანს, ამ გუნდისთვის მართლაც სულერთია, რა შემადგენლობით გადის მოედანზე.

**კავაი ლეონარდმა** კარიერის რეკორდი დაამყარა შედეგიანობის მხრივ (26 ქულა), **დენი გრინი** და **გერი ნილი** დამაჯერებლად უტევდნენ შორი მანძილიდან, **ნანდო დე კოლომ** კი ბრწყინვალედ შეასრულა ძირითადი გამთამაშებლის როლი. დაუმატეთ ამას წინა ხაზის მოთამაშეების - **ტიაგო სპლიტერისა** და **ბორის დიაოს** ხარისხიანი თამაში და ცხადი გახდება, რის ხარჯზე მიაღწია „სპურსმა" საჭირო შედეგს.

„ჩიკაგოს" მთავარმა მწვრთნელმა **ტომ ტიბოდომ** კი თავისი გუნდის წაგება 19 შეცდომას დააბრალა, რომელიც „სან ანტონიომ" 29 ქულაში გარდასახა.

**ფილადელფია-კლიპერსი 90:107**

22:30, 11:26, 26:32, 31:19

**ფ:** ნ. იანგი (29+5 პასი+3 ჩაჭრა), ჰოლიდეი (10+9 პასი), ტერნერი (10+5 მოხსნა), პარგო (10), ჰოიესი (5+10 მოხსნა).

**კ:** პოლი (21+11 პასი+5 ჩაჭრა), გრიფინი (20+9 მოხსნა+5 პასი), კროუფორდი (20), ბარნსი (11), ბლედსოუ (10+5 პასი), ჯორდანი (8+10 მოხსნა).

**შარლოტი-ბოსტონი 94:91**

24:26, 18:22, 33:24, 19:19

**შ:** მალენსი (25+18 მოხსნა), სეშენსი (19), უოკერი (18+6 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), ჰენდერსონი (16).

**ბ:** გრინი (18), გარნეტი (16+13 მოხსნა), პირსი (13+8 მოხსნა+8 პასი), ტერი (12+6 პასი).

**კლივლენდი-მინესოტა 92:100**

27:25, 19:24, 19:23, 27:28

**კ:** ირვინგი (20+7 პასი), ტომპსონი (16+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), უეიტერსი (12), გი (11), სპეიტსი (10), ელინგტონი (10).

**მ:** რიდნური (21), პეკოვიჩი (16+10 მოხსნა), რუბიო (13+10 პასი+5 ჩაჭრა), უილიამსი (12+5 მოხსნა), შვედი (12), ჟულაბალი (11+6 მოხსნა).

**ინდიანა-ბრუკლინი 84:89 (ო)**

13:20, 27:15, 14:23, 22:18, 8:13

**ი:** ჰილი (22+6 პასი), სტივენსონი (14), პენდეგრაფი (14+10 მოხსნა), ჰიბერტი (12+10 მოხსნა+3 დაფარება).

**ბ:** ლოპესი (25+8 მოხსნა), ჯონსონი (17), ტეილორი (12), უოლასი (11+11 მოხსნა), ევანსი (8+22 მოხსნა).

**დეტროიტი-ნიუ ორლეანი 86:105**

23:27, 18:28, 20:22, 25:28

**დ:** სტაკი (19), მონრო (17+11 მოხსნა), სინგლერი (14+5 მოხსნა), კალდერონი (13+9 პასი+4 ჩაჭრა).

**ნ-ო:** ანდერსონი (31), ლოპესი (23+10 მოხსნა), მეისონი (14+5 მოხსნა), ამინუ (12+14 მოხსნა), ვასკესი (9+13 პასი).

**ჩიკაგო-სან ანტონიო 89:103**

24:20, 18:31, 29:25, 18:27

**ჩ:** რობინსონი (20+7 პასი+3 ჩაჭრა), ჰემილტონი (16), ბუზერი (14+8 მოხსნა), დენგი (11+11 მოხსნა), ნოა (7+15 მოხსნა+5 პასი).

**ს-ა:** ლეონარდი (26), გრინი (18+6 მოხსნა), სპლიტერი (16+5 მოხსნა), ნილი (16), დიაო (10+3 ჩაჭრა).

**მილუოკი-ვაშინგტონი 90:102**

32:29, 15:26, 24:19, 19:28

**მ:** ელისი (24+7 მოხსნა+8 პასი+6 ჩაჭრა), ილიასოვა (19+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), დანლივი (11).

**ვ:** ბილი (28), ნენე (21+13 მოხსნა+6 პასი), უოლი (14+10 პასი), ოკაფორი (12+10 მოხსნა).

**დალასი-ატლანტა 101:105**

23:31, 25:18, 33:33, 20:23

**დ:** ნოვიცკი (24+7 მოხსნა), მაიო (19), კოლისონი (14+5 მოხსნა+10 პასი), კარტერი (13+5 მოხსნა), რაიტი (11+5 მოხსნა), მერიონი (10+5 მოხსნა).

**ა:** სმიტი (26+13 მოხსნა+6 პასი), ჰორფორდი (21+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ტიგი (20+9 პასი), ჰარისი (15+5 პასი), კორვერი (10), ფაჩულია (8+10 მოხსნა).



ჩიკაგო-სან ანტონიო

# ისევ ტრავმები

## ბოსტონს სეზონის ბოლომდე მეორე კალათბურთელი გამოაკლდა



ლეანდრო ბარბოზა

გუშინ, "ბოსტონ სელტიქსის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა **ლეანდრო ბარბოზამ** სერიოზული დაზიანება მიიღო "შარლოტთან" მატჩში. შეხვედრის შემდეგ სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ ბარბოზამ მუხლი დაიზიანა და ამ სეზონში მოედანზე ველარ დაბრუნდება.

შეგახსენებთ, რომ "კელტებს" ასევე ტრავმის გამო, სეზონის ბოლომდე გამოაკლდათ ძირითადი გამთამაშებელი **რაჟონ რონდო**.

მიმდინარე სეზონში ბარბოზამ 40 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 5.3 ქულა და 1.4 შედეგიანი პასი დააგროვა.

■ ■ ■

"ბრუკლინ ნეტსს" ერთი კვირით გამოაკლდა სასტარტო ხუთეულის გამთამაშებელი **დერონ უილიამსი**. რეგულარული ჩემპიონატის ორი მატჩის გარდა, დერონი გამოტოვებს "ყველა ვარსკვლავის მატჩს" და მოედანზე სწორედ „ვარსკვლავური უქმეების" შემდეგ დაბრუნდება. უილიამსი უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში ვერ ითამაშებს "ინდიანასა" და "დენვერის" წინააღმდეგ.

წლევანდელ რეგულარულში უილიამსის საშუალო სტატისტიკა 16.7 ქულა და 7.6 პასია.

■ ■ ■

„ფილადელფის სიქსერზის" ცენტრი **ენდრიუ ბაინუმი**, სავარაუდოდ, ვერ დაბრუნდება მოედანზე თებერვალში, როგორც ამას წინასწარ ვარაუდობდნენ. კალათბურთელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ვარჯიშის დროს ისევ იგრძნო ტკივილი მუხლის არეში და უკვე ეჭვი ეპარება იმაში, რომ ამ თვეში შეძლებს „ფილადელფიას" რიგებში დებიუტს.

ამასთან, ბაინუმმა აღნიშნა, რომ აგრძელებს ვარჯიშებს და თუ ტრავმის რეციდივს არ ექნება ადგილი, ის მოახერხებს მიმდინარე სეზონში მოედანზე გასვლას.

# გრეინჯერი მზად არის

„ინდიანა პეისერსის" ლიდერი, ფორვარდი **დენი გრეინჯერი** სრულად გამოჯანმრთელდა მუხლის ტრავმისგან და მზად არის დღეს „შარლოტ ბობკეტსის" წინააღმდეგ სათამაშოდ", - წერს სააგენტო AP.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ხუთ სეზონში „პეისერსის" საუკეთესო ბომბარდირმა ჯერ კიდევ საწვრთნელი ბანაკის წინ დაიზიანა მუხლი და ოპერაცია გადაიტანა. თუმცა გამორიცხული არ არის, „ინდიანას" ხელმძღვანელობამ გადადოს ამ სეზონში გრეინჯერის დებიუტი და ის მოედანზე „ვარსკვლავური უქმეების" შემდეგ შეუშვას. როგორც იცით, „ყველა ვარსკვლავის მატჩი" 17 თებერვალს ჰიუსტონში გაიმართება.

■ ■ ■

კარგი ამბავი შეიტყო „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მძიმე ფორვარდმა **პაუ გასოლმა** - მას მარჯვენა ტერფის სამკურნალოდ ოპერაცია არ ესაჭიროება. გუშინ, ესპანელი კალათბურთელი დაესწრო თავისი გუნდის ვარჯიშს, თუმცა ყავარჯნების დახმარებით მოძრაობდა.



დენი გრეინჯერი

შეგახსენებთ, რომ ექიმების პროგნოზით, გასოლი მოედანზე ორი თვის შემდეგ დაბრუნდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ქვირის სამი ვარსკვლავი



პატრიკ კეინი

გასული კვირის პირველი ვარსკვლავი გახდა "ჩიკაგოს" ფორვარდი **პატრიკ კეინი**, რომელიც ლიგის ლიდერი იყო ხუთი გოლით და ამას ერთი შედეგიანი პასიც დაუმატა. ის "ბლეკ ჰოქსს" სამიდან სამი მატჩის მოგებაში დაეხმარა. კეინი ექვსი მატჩია, უქულოდ არ ტოვებს მოედანს და ზედიზედ ხუთი შეხვედრაა მინიმუმ ერთ გოლს იტანს. ჩიკაგოელი 19 ქულით (9+10) მეორე ადგილზეა ბომბარდირთა სიაში.

მეორე ვარსკვლავად დასახელდა "დალასის" ფორვარდი **ჯეიმი ბენი**, რომელმაც სამ მატჩში 6 ქულა (4+2) დააგროვა. "სტრაზმა" სამივე მატჩი მოიგო და დასავლეთ კონფერენციაში მერვე ადგილზე გადანაცვლა.

მესამე ვარსკვლავის სტატუსი ერგო "ნიუ ჯერსის" ლეგენდარულ მეკარეს, **მარტინ ბროდოს**, რომელსაც გასულ კვირას სამიდან სამი მატჩი მოიგო, საშუალოდ 1.33 ქულა დააგროვა და მეტოქეთა დარტყმების 94.2 პროცენტი მოიგერია. "ნიუ ჯერსის" ზედიზედ ხუთი მოგება აქვს და პირველ ადგილზეა აღმოსავლეთ კონფერენციაში. გასულ კვირას, 40 წლის მეკარემ კარიერაში 1200-ე მატჩი ჩაატარა. ის NHL-ის ყველა დროის ლიდერია მოგებებისა (663) და "შათაუტების" (120) რაოდენობით.

**ტორონტო-ფილადელფია 5:2**

1:1, 3:0, 1:1

**გოლები:** 0:1 სიმონდსი-3 (შენი-2, ტიმონენი-7), 1:1 ფანოფი-2 (კომაროვი-3, კულმინი-7), 2:1 ორი-1 (მაკლარენი-1, ფრანსონი-6), 3:1 ფრატინი-7 (კადრი-7, ფრანსონი-7), 4:1 მაკარტური-2 (კადრი-8, ფრატინი-3), 5:1 ვან რიმსდიკი-8 (კესელი-9, ბოზაკი-5), 5:2 მაკგინი-2 (ფოსტერი-3, ფედოტენკო-3).

**კოლამბუსი-სან ხოსე 6:2**

1:0, 2:1, 3:1

**გოლები:** 1:0 დუბინსკი-1 (კალვერტი-1, ტიუტინი-9), 2:0 ვიშნიევსკი-3 (ბრასარი-5, უმბერგერი-2), 3:0 გოლუბეფი-1 (მაკენზი-1, ფოლინო-3), 3:1 მარლო-10 (კუტური-6, მიურეი-1), 4:1 ნიკიტინი-1 (კალვერტი-2, დუბინსკი-6), 5:1 პროსპალი-4 (ფოლინო-4, ჯ. ჯონსონი-4), 6:1 ლეტესტუ-5 (ანისიმოვი-2), 6:2 პაველსკი-6 (დ. ბოილი-6, ტორნტონი-12).

**სტ. ლუისი-ლოს ანჯელესი 1:4**

0:1, 1:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ჯ. კარტერი-5 (ვოინოვი-3, მ. რიჩარდსი-5), 0:2 ჯ. კარტერი-6 (ელერბი-1), 0:3 დრიუსკი-1 (დ. ბრაუნი-3, კოპიტარი-3), 1:3 სტინი-2 (შატენკირკი-12, ენდი მაკდონალდი-7), 1:4 სტოლი-2 (ვოინოვი-4, პენერი-1).

**აილენდერსი-კაროლინა 4:6**

1:1, 2:1, 1:4

**გოლები:** 1:0 ნილსენი-1 (ბეილი-1, ჰამონიკი-4), 1:1 ჟოლასი-1 (მაკბეინი-2, ნოდლი-1), 2:1 ტავარესი-7 (მოულსონი-7, ვიშნოვსკი-1), 2:2 სკინერი-7 (ჯ. სტაალი-10), 3:2 მოულსონი-5 (ბოიესი-6, ტავარესი-8), 3:3 ტლუსტი-2 (სიომინი-6, ე. სტაალი-6), 3:4 სიომინი-3 (ტლუსტი-3), 3:5 ე. სტაალი-8 (ტლუსტი-4, ჰარისონი-3), 4:5 მოულსონი-6 (ვიშნოვსკი-2, შტრაიტი-3), 4:6 ტლუსტი-3 (სიომინი-7, ფოლკი-2).

**კოლორადო-ფინიქსი 2:3 (ო)**

0:1, 2:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 დოუნი-3 (ჩიპჩურა-2), 1:1 ოლვერი-1 (ჰეიდუკი-4, ო'ბირნი-1), 2:1 დუშენი-3 (პარენტო-3), 2:2 ეკმან-ლარსონი-3 (კორპიკოსკი-3, დოუნი-3), 2:3 დოუნი-4 (ჩიპჩურა-3).

**კალგარი-მინესოტა 1:2 (ბ)**

0:0, 0:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ბროძიაკი-1 (სეტოგუჩი-3, რ. სატერი-7), 1:1 ჰუდლერი-3 (ჩერვენკა-2).

**ბულიტები გაიტანეს:** პარიზე (მინესოტა), ჰუდლერი (კალგარი), მ. კოივუ (მინესოტა).

# ვნახავთ სოჭში ვარსკვლავებს?

## ჰოკეის ეროვნულ ლიგაზე ზემოქმედება მხოლოდ NBC-ს შეუძლია

ხუთშაბათს, ნიუ იორკში დაიწყება მოლაპარაკებები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ - ჰოკეის ეროვნული ლიგა, მოთამაშეთა პროფკავშირები, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია. განსახილველი საკითხია NHL-ის ჰოკეისტების მონაწილეობა სოჭის ოლიმპიურ თამაშებში. ბევრი ექსპერტის აზრით, მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეები ზამთრის ოლიმპიადაზე არ იქნებიან, რადგან ოლიმპიური კომიტეტი არ დგამს შემხვედრ ნაბიჯებს ლიგის ბოსების მიმართულებით.

თუმცა ამ პესიმიზმს არ იზიარებს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **რენე ფაზელი**: *„ვფიქრობ, NHL-ის კომისარ გერი ბეტმენს სხვა გამოსავალი არ აქვს - მან უნდა გამოუშვას მოთამაშეები სოჭში".*

შესაძლოა, ფაზელი მართალი იყოს. როგორც ცნობილია, ამერიკულმა ტელეკომპანია NBC-მ 2020 წლამდე შეიძინა ოლიმპიადების ტრანსლაციის უფლება და ამაში სარეკორდო თანხა - 4.38 მილიარდი დოლარი გადაიხადა. ამავდროულად, NBC-მ NHL-ისთან 10-წლიანი გარიგება დადო ასევე სარეკორდო თანხად - 2 მილიარდ დოლარად. ცნობილია, რომ ჰოკეი ზამთრის ოლიმპიადის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა და სოჭში NHL-ის ვარსკვლავების არყოფნა შესამჩნევად დააგდებს 2014 წლის თამაშების ტელერეიტინგს. და რთული წარმოსადგენია, რომ NBC Universal Media-ს ხელმძღვანელობა NHL-ის შეფობას საშუალებას მისცემს დააკარგვინოს მოსალოდნელი ფინანსური მოგება. თუ ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციასა და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს NHL-ის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუძლიათ, NBC-ის ამისთვის საჭირო ბერკეტები გააჩნია.

აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ NBC თავისუფლად იარსებებს NHL-ის მატჩების გარეშე, რადგან ამ ტელეკომპანიას აქვს ამერიკული ფეხბურთის პროფესიული ლიგის



გერი ბეტმენი და რენე ფაზელი

შეხვედრების ტრანსლაციის უფლება. სამაგიეროდ, ჰოკეის ეროვნულ ლიგას ძალიან გაუჭირდება, თუ NBC-ის დონის პარტნიორს დაკარგავს.

ეს ყველაფერი კარგად ესმის ლიგის ხელმძღვანელობას და ამის გამო, მაქსიმალური სარგებლობის ნახვა უნდა თავისი ჰოკეისტების ოლიმპიადაზე გაშვებისგან. ლიგის ბოსები აცნობიერებენ, რომ ამ ბრძოლაში მარცხდებიან, ამიტომაც სხვა მხრიდან მიუდგნენ საკითხს. NHL-ის კომისარმა **გერი ბეტმენმა** საკუთარი გამოცდილებიდან იცის, რომ ოლიმპიადა ახალი გულშემატკივრების მოზიდვის კარგი საშუალებაა. ამიტომაც, აპირებს შეუთანხმდეს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს და საკუთარი მედიაპლატფორმებით გააშუქოს ოლიმპიური თამაშების ჰოკეის ტურნირი - ლაპარკია NHL.com-სა და NHLPA.com-ის ვებგვერდებზე. ეს ლიგას დამატებით შემოსავალს მოუტანს და ყველა მხარე კმაყოფილი დარჩება.

კრივი

# უკმაყოფილო მძიმეწონოსნები



ვლადიმერ კლიჩკო

უკრაინელმა **ვლადიმერ კლიჩკომ** და რუსმა **ალექსანდრ პოვეტკინმა** პროტესტით მიმართეს მსოფლიოს საკრივო ასოციაციას (WBA) ერთმანეთის წინააღმდეგ გასამართი ბრძოლის პირობებზე. ამის შესახებ ჟურნალისტებს განუცხადა რუსი მოკრივის პრომოუტერმა **კალე ზაუერლანდმა**.

კლიჩკოს ხელს არ აძლევს ის, რომ WBA აიძულებს გააფორმოს პოვეტკინთან ბრძოლის კონტრაქტი იქამდე, სანამ უკრაინელი ნებაყოფლობით არ დაიცავს საჩემპიონო ტიტულს. ეს ბრძოლა 2013 წლის 6 აპრილს არის დანიშნული და უმცროსი კლიჩკოს მეტოქე შეიძლება გახდეს იტალიელი **ფრანჩესკო პიანეტა**.

ზაუერლანდმა განაცხადა, რომ მან ასევე შეიტანა პროტესტი WBA-ში. პოვეტკინის უკმაყოფილებას იწვევს კლიჩკოსთან მომავალი ბრძოლის ფინანსური პირობები. ასოციაციამ დაადგინა, რომ უკრაინელი საერთო ჰონორარის 75 პროცენტს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ თავდაპირველი გეგმის მიხედვით, კლიჩკოსა და პოვეტკინის ბრძოლა 26 თებერვლამდე უნდა გამართულიყო, მაგრამ 30 იანვარს უკრაინელმა შეხვედრის გადატანისა და თავისი საჩემპიონო ტიტულის ნებაყოფლობით დაცვის უფლება მიიღო. თუ ვლადიმერი შეძლებს მოგებას, მაშინ მისი ბრძოლა რუსის წინააღმდეგ უნდა გაიმართოს არა უგვიანეს 31 ივლისისა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ტომი-სკა ენერგია | 0:0 |
| ატ. პარანაენსე-ოცელული | 1:1 |
| ლევადია-დაუგავა | 3:2 |
| ბალტიკა-ნეფტეხიმიკი | 1:1 |
| ლეჩია-შახტარი (ყ) | 1:2 |
| ლიბერეცი-ბოტევი | 7:1 |
| შენიცა-პოლონია | 2:2 |
| რაპიდი-რუჟომბეროკი | 2:0 |
| ჰორსენსი-სლავია | 1:0 |
| ბელხატოვი-ლკს | 0:0 |
| დიორი-კრილია | 0:2 |
| ლეგია-ყუბანი | 1:1 |
| რუსენბორგი-რანჰაიმი | 0:1 |
| რამბლერსი-ლიმერიკი | 3:2 |
| **ინგლისის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| ლესტერი-ჰადერსფილდი | 1:2 |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ბრაიტონი-ბლექბერნი | 1:1 |
| ჰალი-დერბი | 2:1 |
| მიდლსბრო-ლიდსი | 1:0 |
| **I ლიგა** | |
| ბრენტფორდი-სტივენეიჯი | 2:0 |
| ბერი-შეფილდი | 0:2 |
| ძრიუ-ბორნმუთი | 1:2 |
| დონკასტერი-მილტონი | 0:0 |
| ჰარტლპული-პორტსმუთი | 0:0 |
| სკანთორპი-კარლაილი | 3:1 |
| იეოვილი-პრესტონი | 3:1 |
| **II ლიგა** | |
| მორეკამბი-ალდერშოტი | 2:1 |
| ოქსფორდი-ფლიტვუდი | 1:2 |
| საუთენდი-ჩელტენემი | 1:2 |
| ტორკი-როტერჰემი | 1:3 |
| უიკომბი-ბრედფორდი | 0:3 |
| იორკი-ჯილინგემი | 0:0 |
| **კონფერენსი** | |
| კემბრიჯი-ალფრეტონი | 0:3 |
| დარტფორდი-ლუტონი | 1:0 |
| ფორესტ გრინი-ბრენტრი | 4:1 |
| ჰერეფორდი-რექსჰემი | 0:1 |
| ნიუპორტი-მენსფილდი | 2:0 |
| საუთპორტი-ბაროუ | 5:2 |
| სტოკპორტი-ლინკოლნი | 2:0 |
| ტამუორტი-გრიმსბი | 0:0 |
| ტელფორდი-ჰაიდი | 1:3 |
| **გერმანია** | |
| **III ბუნდესლიგა** | |
| უნტერჰახინგი-ვეენი | 0:2 |
| ბურგჰაუზენი-ალემანია | გადაიდო |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| სედანი-დიჟონი | 0:1 |
| **ნასიონალი** | |
| კევილი-შერბური | 0:0 |
| **შოტლანდია** | |
| **I დივიზიონი** | |
| კოუდენბითი-დანფერმლაინი | 4:2 |
| **III დივიზიონი** | |
| სტირლინგი-ისტ სტირლინგი | 1:1 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ევროთასი** | |
| ვეფ რიგა-ვალენსია | 96:103 (ო) |
| ნიმბურკი-ბილბაო | 69:83 |
| სევილია-სტელმეტი | 81:85 |
| **[illegible]** | |
| გაზ-მეთანი-შინარი | 77:69 |
| ხიმიკი-თოფასი | 69:62 |
| ვენტსპილსი-კატაია | 75:61 |
| ნორჩოპინგი-კრ. კრილია | 68:93 |
| ჰაპოელი (ჰ)-პარიზი | 84:101 (ო) |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| კიოლნი-მანჰაიმი | 2:3 |
| **დანია** | |
| კოპენჰაგენი-როდოვრე | 2:6 |
| ოდენსე-ჰერნინგი | 1:2 |
| სონდერიისკი-ესბერგი | 3:4 |
| ფრედერიკშავენი-ჰერლევი | 4:3 |
| **ნორვეგია** | |
| ლილეჰამერი-სტავანგერი | 5:4 (ო) |
| რუსენბორგი-ფრისკ ასკერი | 5:4 |
| ლორენსკოგი-ვოლერენგა | 3:5 |
| სტორჰამარი-სტრიერნენი | 7:2 |
| ტონსბერგი-სპარტა | 2:9 |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-კერპეტი | 2:6 |
| ილვესი-ლუკო | 2:1 (ბ) |
| იოკერიტი-ესეტი | 1:3 |
| კალპა-პელიკანსი | 0:3 |
| ჰპკ-ტპს | 3:1 |
| იუვიასკიულა-საიპა | 4:3 (ბ) |
| **შვედეთი** | |
| ბრიუნესი-ტიმრა | 3:4 (ბ) |
| ლინჩოპინგი-შელეფტეო | 3:5 |
| მოდო-ვექსიო | 4:5 (ბ) |
| ფერიესტადი-ფრიოლუნდა | 3:2 |
| აიკ-ჰვ71 | 4:2 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. როტერდამი** | |
| დე ბაკერი-იუჟნი | 7:6, 4:1 უარი |
| ბენეტო-კამკე | 6:3, 6:2 |
| გულბისი-ჰაასე | 6:2, 6:1 |
| მონფილსი-დელ პოტრო | 3:6, 4:6 |
| ნიემინენი-გოფენი | 6:0, 6:0 |
| **ATP. სან ხოსე** | |
| დონსკოი-პოსპიშილი | 5:7, 1:6 |
| **ATP. სან პაულუ** | |
| ფონინი-პელა | 6:7, 6:1, 1:6 |
| რამოსი-გარსია ლოპესი | 6:3, 7:5 |
| ხიმენო ტრავერო-ვოლანდრი | 3:6, 6:3, 6:7 |
| **WTA. დოჰა** | |
| მაკჰეილი-დუშევინა | 6:1, 6:2 |
| კირსტეა-ჟაბორი | 2:6, 6:3, 6:0 |
| მაიერიჩი-ჰსიე | 4:6, 4:6 |
| ჰლავაჩკოვა-პეტროვა | 2:6, 3:6 |
| უ. რადვანსკა-კიჩენოკი | 6:1, 6:0 |
| დანილიდუ-საფაროვა | 2:6, 3:6 |
| ზაკოპალოვა-ლეპჩენკო | 7:6, 6:0 |
| სუარეს ნავარო-მაკაროვა | 1:6, 2:6 |
| ვინჩი-ვიკმაიერი | 6:2, 6:1 |
| პირონკოვა-ოპრანდი | 6:7, 5:7 |
| ნიკულესკუ-იანკოვიჩი | 6:4, 6:1 |
| სკიავონე-ბარტოლი | 6:7, 3:6 |
| გარსია-შარაპოვა | 3:6, 2:6 |
| რობსონი-ჰანტუხოვა | 4:6, 1:6 |
| ელ თაბახი-ბაბოში | 2:6, 3:6 |
| სტივენსი-ტატიშვილი | 6:2, 6:2 |
| გავრილოვა-ს. უილიამსი | 2:6, 1:6 |
| კირილენკო-ბიჩკოვა | 0:6, 0:6 |
| ბარტელი-კერბერი | 6:1, 6:2 |

TV პროგრამა

**13 თებერვალი. ოთხშაბათი**

**I არხი**

**23:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. შახტარი-დორტმუნდი (LIVE).

**რუსთავი 2**

**23:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. რეალი-მანჩესტერ იუნ (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ვალენსია-პსჟ
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXI ტური. დორტმუნდი-ჰამბურგი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXII ტური. ვიტესი-ეინდჰოვენი.
**16:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXI ტური. ბორუსია (მ)-ლევერკუზენი.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXVI ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXVI ტური. მანჩესტერ იუნ-ევერტონი.
**21:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. ტურის მიმოხილვა.
**21:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXVI ტური. ტოტენჰემი-ნიუკასლი.
**00:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXI ტური. ფრაიბურგი-დიუსელდორფი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. გუარანი-სან პაულუ.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-ოკლაჰომა.
**15:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. არგენტინოს ხუნიორსი-ველესი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ალსტერი-კასტრი.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუთჰემპტონი-მანჩესტერ სიტი.
**22:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ჰიუსტონ როკეტსი. 1994-95 წლები. I ნაწილი.
**23:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-ოკლაჰომა.
**01:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მემფისი. აშშ.
**15:15** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. კაცები. მე-3 ადგილისთვის. ხორვატია-სლოვენია.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აუგსბურგი-მაინცი.
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-პორტლენდი.
**21:45** საჩოგბურთო მიმოხილვა - მატჩ-პოინტი.
**22:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მემფისი. აშშ.

ჩოგბურთი

# დოჰაში პირველობა გადაწყდება

## ვიქტორია აზარენკას მსოფლიოს რეიტინგში პირველობის შენარჩუნების მცირე შანსი აქვს

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, ამ კვირას დოჰაში დაიწყო უმაღლესი კატეგორიის ტურნირი ქალთა შორის და ისიც აღვნიშნეთ, რომ მომავალ ორშაბათს, WTA-ის კლასიფიკაციის უმაღლეს საფეხურზე, შესაძლოა, ახალი ჩოგბურთელი ვიხილოთ.

თუმცა, სანამ ამ საკითხზე კონკრეტულად ვილაპარაკებდეთ, მიმოვიხილოთ რეიტინგში აზარენკას ლიდერობა. ორი დღის წინ გამოქვეყნდა WTA-ის ახალი რეიტინგი და ბელარუსი ჩოგბურთელის ბატონობა ზედიზედ 32 კვირას გაუტოლდა, რაც მე-20 შედეგია სპორტის ისტორიაში.

ამ მხრივ, რეკორდის მფლობელია **შტეფი გრაფი**, რომელმაც პირველი ადგილი ზედიზედ 186 კვირის განმავლობაში შეინარჩუნა. ლეგენდარული გერმანელისთვის ეს იყო პირველი მოხვედრა კლასიფიკაციის უმაღლეს საფეხურზე, როცა 18 წლისამ თვით **მარტინა ნავრატილოვა** დააქვეითა. სამ-ნახევარი წლის განმავლობაში მას ბადალი არ ჰყავდა ქალთა ტურში. ამ ხანგრძლივი პერიოდის ბოლოს, მას სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა **მონიკა სელეშის** სახით და სწორედ იუგოსლაველმა შეძლო გრაფისთვის ლიდერობის ჩამორთმევა.

მეორე ადგილი უკავია ნავრატილოვას. ამერიკელი ცხრაჯერ გახდა მსოფლიოს პირველი ნომერი, მაგრამ ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა მისი მეშვიდე აღმასვლა. იმ მომენტში, მარტინას დიდ კონკურენციას უწევდა **კრის ევერტი**. ისინი დიდი ხანი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ პირველ პოზიციაზე, მაგრამ 1982 წელს, მარტინამ ხელთ იგდო ინიციატივა. ხანდახან, დიდი ტურნირების ფინალებში ევერტი ამარცხებდა ნავრატილოვას, მაგრამ მარტინა უფრო სტაბილური იყო და პირველ ადგილზე ზედიზედ 156 კვირა გაატარა. ბოლოს, ის კვლავ ევერტმა შეავიწროვა.

თავად კრისს ხანგრძლივობის მიხედვით მესამე სერია აქვს. ევერტი ქალთა ჩოგბურთის ისტორიაში პირველი ლიდერი იყო. 1976 წელს, მას მხოლოდ ორი კვირით გაასწრო **ივონ გულაგონგმა**, რის შემდეგაც, ამერიკელი ორი წელი არავის უთმობდა პირველობას. მისი ბატონობა ნავრატილოვამ დაამხო, როცა 1978 წელს, პირველად მოიგო უიმბლდონი.



ვიქტორია, სერენა და მარია

სულ ამ რეიტინგის პირველ ათეულში ხუთი ჩოგბურთელის სერიაა შესული. უკვე ჩამოთვლილი ჩოგბურთელების გარდა, აქ მოხვდნენ მონიკა სელეში და **მარტინა ჰინგისი**. აღსანიშნავია, რომ გრაფის ერთბაშად სამი სერიაა შესული პირველ შვიდეულში.

ბოლო 10 წლის განმავლობაში, მხოლოდ ორმა ჩოგბურთელმა შეძლო პირველი პოზიციის წელიწადზე მეტხანს შენარჩუნება. **სერენა უილიამსი** 2002-2003 წლებში 57 კვირა იყო ლიდერი, **ჟუსტინ ანენმა** 2007-08 წლებში 61 კვირა შეინარჩუნა პირველობა. ამ სერიის გაგრძელებაც შეიძლებოდა, მაგრამ ბელგიელმა ის თავისი სურვილით შეწყვიტა, როცა პირველად წავიდა დიდი სპორტიდან.

| | |
|---|---|
| **1. შტეფი გრაფი** | **186 კვირა** |
| **2. მარტინა ნავრატილოვა** | **156** |
| **3. კრის ევერტი** | **113** |
| **4. შტეფი გრაფი (2)** | **94** |
| **5. მონიკა სელეში** | **91** |
| **6. მარტინა ნავრატილოვა (2)** | **90** |
| **7. შტეფი გრაფი (3)** | **87** |
| **8. მარტინა ჰინგისი** | **80** |
| **9. კრის ევერტი (2)** | **76** |
| **10. მარტინა ჰინგისი (2)** | **73** |

■ ■ ■

ახლა კი იმ ვარიანტების შესახებ, რომლის მიხედვითაც შეიძლება შეიცვალოს რეიტინგის ლიდერი დოჰას ტურნირის შემდეგ. **ვიქტორია აზარენკა** ისევ მოხვდა ისეთ სიტუაციაში, როცა მასზე ბევრი რამ არ არის დამოკიდებული. იმის გათვალისწინებით, რომ ბელარუსი დოჰაში ტიტულს იცავს, ის თავისი ქულების მონაგარს ვერაფერს შემატებს. სერენა უილიამსსა და **მარია შარაპოვას** კი შარშან აქ არ უთამაშით.

კატარის ტურნირზე დაახლოებით იგივე სიტუაციაა, რაც ავსტრალიის ღია პირველობაზე იყო. სერენას ნახევარფინალში გასვლა ეყოფა ვიქტორიასთვის გასასწრებად და ფინალი შარაპოვას უკან ჩამოსატოვებლად. ოღონდ, ამჯერად ბადე ისეა შედგენილი, რომ მარია და სერენა ერთ ნახევარში მოხვდნენ და შესაბამისად, ერთმანეთს ნახევარფინალში შეხვდებიან. რა თქმა უნდა, ასეთი ინტრიგა მხოლოდ ამშვენებს ტურნირს.

ამ ბრძოლაში ფავორიტად ისევ სერენა მოჩანს, თუნდაც იმიტომ, რომ ის არავისზეა დამოკიდებული. თუმცა ეს მარიასაც ეხება, რადგან თუ ტურნირზე გაიმარჯვებს, გარანტირებული ექნება პირველი ადგილი. აზარენკას კი იმის იმედი უნდა ჰქონდეს, რომ ვინმე შეძლებს უილიამსის შეჩერებას, ამასთან, თავად უნდა გამოვიდეს კარგად. თუ ის ფინალზე ადრე დატოვებს ტურნირს, ნებისმიერ შემთხვევაში დაკარგავს პირველ ადგილს.

კრივი

# ლეგენდა დოპინგზე ჩავარდა

ლეგენდარულმა მექსიკელმა მოკრივემ **ერიკ მორალესმა**, შესაძლოა, უახლოესი ორი წელი რინგის მიღმა გაატაროს. ამის შესახებ გამოაცხადა ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტომ. განცხადებაში წერია, რომ **დენი გარსიასთან** ბრძოლის შემდეგ, მორალესის დოპინგსინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა.

აშშ-ის ანტისადოპინგო სააგენტომ განიხილა მორალესის აპელაცია, მაგრამ თავისი პოზიცია არ შეცვალა და ვერდიქტიც გამოიტანა: ორწლიანი დისკვალიფიკაცია. ამ დღეებში ამის შესახებ ოფიციალურად გამოცხადდება.

■ ■ ■

როგორც ადრე ვიტყობინებოდით, ცნობილი ზელანდიელი **დევიდ ტუა** რინგზე დაბრუნებას აპირებს. მოკრივის პრომოუტერ **დეივ ჰიგინსის** თქმით, ისინი ბრძოლის შეთავაზებას გეგმავენ **სონი ბილი უილიამსისთვის**, რომელიც ახალი ზელანდიის ჩემპიონია სუპერმძიმე წონაში და მოკრივეობას რაგბისტის კარიერას უხამებს. თუმცა თავად ჰიგინსმა აღნიშნა, რომ უილიამსი, სავარაუდოდ, არ დათანხმდება ამ ბრძოლას.

აღვნიშნავთ, რომ უილიამსმა ექვსი ბრძოლა ჩაატარა პროფესიულ რინგზე და ყველა მოიგო. ბოლო შეხვედრაში მან ცნობილი **ფრანსუა ბოთა** დაამარცხა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ველოსპორტი



მარიო ჩიპოლინი

# მარიოს დევნა დაიწყო

იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ დაიწყო გამოძიება იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც "გაძეტა დელო სპორტმა" გაავრცელა. ავტორიტეტულმა გამოცემამ დოპინგის გამოყენებაში დაადანაშაულა სახელოვანი იტალიელი ველომრბოლი **მარიო ჩიპოლინი**, რომელმაც რამდენიმე წლის წინ დაასრულა კარიერა.

გაზეთის ცნობით, ჩიპოლინი კარიერის განმავლობაში იყენებდა სისხლის გადასხმას, ერითროპოეტინსა და სტეროიდებს. კერძოდ, მან დოპინგი მიიღო მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე, როცა ოქროს მედალი მოიპოვა ჯგუფურ რბოლაში. "გაძეტა დელო სპორტმა" ისიც დაწერა, რომ ჩიპოლინი კონსულტაციებს იღებდა სკანდალურად ცნობილი ექიმისგან **ეუფემიანო ფუენტესისგან**, რომელიც 2006 წელს დააპატიმრა ესპანურმა პოლიციამ "ოპერაცია პუერტოს" დროს.

გუშინ, "გაძეტამ" დამატებითი ინფორმაცია გაავრცელა ამ ახალ სკანდალთან დაკავშირებით. კერძოდ, ჩიპოლინიმ ფუენტესს ჯამში 130 ათასი ევრო გადაუხადა გაწეული სამსახურის სანაცვლოდ, მათ შორის, პრეპარატების მიწოდებისთვის. გაზეთი ამ ინფორმაციას მის ხელთ არსებული დოკუმენტების საფუძველზე ავრცელებს.




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი; მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გოტფრიდ ლენცი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:20
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608